პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდო მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხებს, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

შაბათი, 9 ივნისი 1928 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 132 (2175)

დ ღ ი უ რ ი

- — დერბში (ინგლისი) გაიხსნა დამოუკიდებელ მუშათა პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის კონფერენცია.
- — დარბაზობა ტანაკასთან ამხ. ტროიანოვსკის პატივსაცემად.
- — ახალი კანონი პროფკავშირების შესახებ ავსტრალიაში.
- — 8 ივნისს გაიხსნა ახალი შემადგენლობის პრუსიის ლანდტაგი.
- — მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი პროფ. ჯონსონი.
- — 6 ივნისს ფადიშაჰი ამანულა ჩავიდა პეხლევში.

საქართველოს კომპარტიის (ბ)
მეხუთე მოწვევის ცეკას
მესამე პლენუმი
გაიხსნება **11 ივნისს, დილის 10 საათზე**
საქ. პროფსაბჭოს დიდ დარბაზში.
საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას მდივანი მ. კახიანი

არავითარი კომპრომისები

ივნისის ბოლოს გადის ექვსი თვის ვადა, რომელიც მისცა პარტიის მე-15 ყრილობამ ყოფილი ოპოზიციის აქტიურ მოღვაწეთა განცხადებების შესახებ. ამ ვადის შემდეგ ცენტრ. საკონტროლო კომისია შესძლებს არსებითად განიხილოს მთელი რიგი განცხადებები, რომლებიც აკმაყოფილებს პარტიის მე-15 ყრილობის გადაწყვეტილებას. რეზოლიუციაში „ოპოზიციის შესახებ“ მე-15 ყრილობა მოითხოვს ოპოზიციისაგან, რომ ის განიარაღდეს იდეურადაც და ორგანიზაციულადაც და დაგმოს ის შეხედულებანი, რომლებსაც იცავდა ოპოზიცია მე-15 ყრილობამდე, როგორც ანტი-ლენინური და როგორც მენშევიკური შეხედულებანი.

ყველასთვის, ვინც იცნობს ჩვენს პარტიას, აშკარაა, რომ ასეთ საკითხებში პარტია კომპრომისებზე არ წავა, რომ ის ერთი ნაბიჯითაც არ დაიხევს უკან მე-15 ყრილობის ამ სავსებით სწორ გადაწყვეტილებებიდან და რომ მხოლოდ ამ გადაწყვეტილებათა საფუძველზე პარტიას უფლება აქვს განიხილოს საკითხი ამა თუ იმ ყოფილ ოპოზიციონერის აღდგენის შესახებ პარტიის რიგებში. ამიტომ პარტიამ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოს ყოველივე იმ ცდას, რომლის მიზანს შეადგენს საკითხის სწორად დაყენების გვერდის ავლა და მე-15 ყრილობის მოთხოვნილებათა მიფუჩეჩება და მიჩქმალვა.

ამავე დროს განვლილმა რამოდენიმე თვემ უკვე ურყევად დაამტკიცა მე-15 ყრილობის ამ გადაწყვეტილებათა სისწორე. პარტიამ შეასრულა ყრილობის დირექტივა იმის შესახებ, რომ ტროცკისტული ოპოზიციის უბრალო წევრების მიმართ საჭიროა მიღებულ იქნას იდეურ ზეგავლენის ყველა ზომები. „მათი დარწმუნების მიზნით და რომ ამავე დროს პარტია გაწმენდილი უნდა იქნას ტროცკისტული ოპოზიციის ყველა აშკარად გაუსწორებელ ელემენტებისაგან“. უკვე ცენტრალურ საკონტროლო კომისიის აპრილის პლენუმზე ჩვენ ვიუწყებოდით, რომ პარტიის წევრთა რიცხვიდან, ვინც ემხრობოდა ოპოზიციას, მე-15 ყრილობიდან 1928 წლის 1-ლ თებერვლამდე შემოიტანა განცხადება ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ 3.381 კაცმა. თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ამავე ხნის განმავლობაში ფრაქციულ მუშაობისათვის პარტიულ პასუხისმგებლობაში მიცემული იყო 5.755 კაცი, ხოლო პასუხისგებაში მიცემულთა რიცხვიდან გამორიცხულ იქნა 3.258 კაცი (დაახლოებით ერთი მესამედი მთელი პარტიის ერთი პროცენტისა), ოპოზიციიდან ჩამოშორებულთა ეს რიცხვი, რომელიც დღეისთვის თვალსაჩინოდ არის გაზრდილი, მოწმობს იმას, რომ ოპოზიციას ჩამოშორდა ოპოზიციონერთა უდიდესი მასა. ოპოზიციის მომხრეთა უდიდესი მასისათვის პარტიის იდეური ზეგავლენა უფრო ძლიერია, ვიდრე მენშევიზმის ჭაობში ჩაფლულ იმ „ბელადების“ ავტორიტეტი, რომლებსაც დღესაც არ შეუწყვეტიათ თავისი ჩხირკედელაობა, რაც გამოიხატება დაუსრულებელ „თეზისების“ შედგენაში, თეზისების, რომლებიც წარმოადგენენ მომენტის „საკუთარი“ შეფასების პრეტენზიას.

ცენტრალური საკონტროლო კომისია ყურადღებით ეკიდება ყოფილ ოპოზიციონერების ყოველ განცხადებას ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ. საკმაოა ითქვას, რომ მხოლოდ ადგილობრივ საკანტროლო კომისიების გადაწყვეტილებათა გასაჩივრების და ოპოზიციიდან ჩამოშორების შესახებ შემოტანილ განცხადებების მიხედვით „ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ აღადგინა უკვე ასამდე ყოფილი ოპოზიციონერი, რომელთა შორის არიან ყოფილ „ლენინგრადის“ ოპოზიციის მომხრეებიც და „1923 წლის ოპოზიციის“ (ტროცკისტების) მომხრეებიც! ამ რიცხვზე რამოდენიმეჯერ მეტი ყოფილი ოპოზიციონერები, პარტიის უბრალო წევრები აღადგინეს ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა.

პარტიის მიერ მიღებული ყველა გაკვეთილების შემდეგ შეუწყნარებელი იქნებოდა მექანიკურად მიდგომა პარტიაში აღდგენის საკითხისადმი, საჭიროა უაღრესად სერიოზულად მოვეპყრათ იმ პირობებს, რომლებიც წამოაყენა ყრილობამ: სრული იდეური და ორგანიზაციული განიარაღება და სრული დარწმუნება პარტიისა იმაში, რომ ჩვენს წინაშე ამხანაგი, რომელმაც გულწრფელად და საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი ოპოზიციასთან. პარტიას შეგნებული აქვს მდგომარეობის უდიდესი სიძნელენი. პარტია მთლიანია ისე, როგორც არასოდეს. პარტიას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ებრძოლოს პარტიული ხაზის ყოველგვარ იდეოლოგიურ და ყოფა-ცხოვრებით გადამახინჯებებს. ეს მან დაუმტკიცა მთელ მსოფლიოს. ის მით უფრო კარგად შეასრულებს ამ ამოცანას, რამდენადაც უფრო სრულად და სწორად დაიცავს ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ყოველივე ეს აღვნიშნოთ სწორედ იმიტომ, რომ ოპოზიციონერების მიერ განცხადებათა შემოტანის დღიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ, ჩვენ შეგვეძლება უახლოეს დროში არსებითად დავსვათ საკითხი საკავშირო კომპარტიის რიგებში მთელ რიგ ყოფილ წევრების დაბრუნების შესაძლებლობის შესახებ, იმ ყოფილ წევრების, რომლებიც გამორიცხული არიან პარტიიდან ფრაქციულ მუშაობისათვის და ოპოზიციონური ფრაქციის მომხრეობისათვის. ამის აღნიშვნა მით უფრო საჭიროა, რომ ყოფილი ოპოზიციონერების მთელმა ჯგუფმა (საფაროვი და სხ.) შემოიტანა და შემოაქვს განცხადებები, რომლებიც სრულებით არ აკმაყოფილებს [illegible]რტიის გადაწყვეტილებებს და მოთხოვნილებებს. ასეთ განცხადებათა შინაარსი ჩვეულებრივად განისაზღვრება შემდეგი ხასიათის მსჯელობით. მიმდინარე მომენტი გვიკარნახებს მთლიანობას (თითქოს პერიოდი მე-14 და მე-15 ყრილობებს შორის და მე-14 ყრილობის წინ არ მოითხოვდა ამ მთლიანობას?) პარტიის პოლიტიკა მე-15 ყრილობის შემდეგ სწორია. კომინტერნის აღმასკომის პოლიტიკა მე-15 ყრილობის შემდეგ აგრეთვე სწორია. პარტიამ აიღო გეზი მარცხნივ. ჩვენ, ოპოზიციონერები ვეთანხმებით პარტიას და არ ვეთანხმებით ტროცკისტებს. არც ერთი სიტყვა იმ შეცდომების დასაგმობად, რომლებიც დაუშვეს მათ მე-14 ყრილობიდან მე-15 ყრილობამდე გასული დროის განმავლობაში. არც ერთი სიტყვა 83-ის და 13-ის პლატფორმის უარყოფის შესახებ. ჩვენ არ შეგვიძლია სხვანაირად განვიხილოთ ეს განცხადებები, თუ არა როგორც მე-15 ყრილობის იმ გადაწყვეტილებების უყურადღებოდ დატოვება, რომლებიც მოითხოვს ოპოზიციის იდეურ და ორგანიზაციულ განიარაღებას და ოპოზიციის შეცდომების დაგმობას. ამ ამხანაგებს სურთ დაბრუნდენ პარტიაში ისე, რომ შეინარჩუნონ თავისი ერთგულება „პლატფორმისადმი“, არ უარჰყონ და არ დაგმონ იგი. მათ სურთ დაბრუნდენ ამაყად, როგორც გამარჯვებულნი: „ჩვენ მართალი ვიყავით, თქვენ ჩვენს პოზიციებზე დადექით, ჩვენ სადაო არაფერი გვაქვს და ამიტომ ვბრუნდებითო“. ეს ასე არ გაუვათ. საჭიროა, რომ ამ საკითხში იყოს სრული გარკვეულობა. ყოველი მუშა გაიგებს, თუ ჩვენ ყრილობის გადაწყვეტილების თანახმად აღვადგენთ ამხ. ზინოვიევს, კამენევს, სარქისს და პიატაკოვს მათ მიერ გაკეთებულ სრულიად გარკვეული განცხადებების შემდეგ. მაგრამ ვერავინ ვერ გაიგებს, რომ ჩვენ პარტიის რიგებში აღვადგინოთ ისეთი ამხანაგები, რომლებმაც არ სცნეს თავისი შეცდომები, არ აღიარეს თავისი დანაშაული პარტიის წინაშე და აშკარად არ უარყოფენ პარტიის მიერ დაგმობილ შეხედულებებს.

არავითარი კომპრომისები— ასე სდგას საკითხი პარტიისათვის. ჩვენი ბრალი არ არის, თუ ესა თუ ის ამხანაგი ჩამოშორდა პარტიას და დაიბნა ფრაქციულ პლატფორმების და თავის შეცდომების ქსელში ამ შეცდომების აშკარად დაგმობის და ამ პლატფორმების უარყოფის სრული იდეური განიარაღების და პარტიის პოზიციებზე სავსებით დაბრუნების ნაცვლად. სხვა გზა პარტიაში დაბრუნებისათვის არ არსებობს. ეს მტკიცედ უნდა შეითვისონ იმ ყოფილმა ოპოზიციონერებმა, რომლებსაც შემოაქვთ განცხადებები პარტიის რიგებში აღდგენის შესახებ.

ე. იაროსლავსკი.

მოსკოვი, 8 ივნისი.

დადასტურდა ცნობა ჩან-ძო-ლინის გარდაცვალების შესახებ

რეიტერის სააგენტოს ცნობით ენ-სი-შანსა და ფინ-იუი-სიანს შორის უთანხმოება დაიწყო

მემაღაროეთა გაფიცვა რუმინეთში.--შეტაკება მუშებსა და ჟანდარმერიას შორის

ბრძოლა ჩინეთში

ხმები ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ დადასტურდა

შანხაი, 7 ივნისი. ცნობების უმრავლესობა ადასტურებს ხმებს ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ.

ნანკინის მთავრობის წრეებში მიღებულ ცნობების თანახმად, ჩან-ძო-ლინი გარდაიცვალა სამშაბათს, 5 ივნისს.

ჩან-ძო-ლინის მდგომარეობა

ხარბინი, 7 ივნისი. დღემდე არ არის სწორი ცნობები აფეთქების დროს დაჭრილ ჩან-ძო-ლინის მდგომარეობის შესახებ. აღმოსავლეთის სამი პროვინციის განსაკუთრებული რაიონის მთავარმმართველმა ჩან-ხუან-სინმა, რომელიც ეხლახანს დაბრუნდა მუკდენიდან, პრესის წარმომადგენელთან საუბარში განაცხადა, რომ „ჩან-ძო-ლინს არავითარი საშიშროება არ მოელისო“. მაგრამ ახლო ნათესავებს გარდა არავის უნახავს ჩან-ძო-ლინი კატასტროფის მომენტიდან.

პრესის ცნობით, ჩან-ძო-ლინმა დაჰკარგა ბევრი სისხლი. მას შეერყა ტვინი, ჩაექცა სისალი, დაშავებული აქვს ფეხები. მას უშხაპუნენ კამფარას.

იაპონიის [illegible] ერთმანეთთან ადარებს სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ ცნობებს და სწორად მიაჩნია ცნობა ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ. ტოხოს სააგენტო იუწყება:

„თუ მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ ჩან-ძო-ლინის ბინაზე შესვლა სასტიკად აკრძალულია, და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ტელეგრაფით გამოიწვიეს ჩან-სიუე-ლიანი და სხვა უახლოესი ნათესავები, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჩან-ძო-ლინი ყოველ შემთხვევაში უიმედო მდგომარეობაშია“.

ხმები ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შესახებ ისევ დაჟინებით ვრცელდება და ამ ხმებს გადაჭრით უკვე აღარავინ უარყოფს (ადს).

უთანხმოება ენ-სი-შანსა და ფინ-იუ-სიანს შორის

შანხაი, 7 ივნისი. რეიტერის სააგენტოს ცნობით, ენ-სი-შანსა და ფინ-იუ-სიანს შორის წარმოიშვა უთანხმოება. თავის დროზე მათ შორის დადებული იყო შეთანხმება, რომლის მიხედვით კამპანიის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში ფინ-იუ-სიანს უნდა მიეღო შანდუნი. ვინაიდან იაპონელებმა მოახდინეს შანდუნის ოკუპაცია, ფინ-იუ-სიანი ახლა მოითხოვს ტიანძინის გადაცემას მისთვის. (ადს).

ნანკინის მთავრობის ნოტა

შანხაი, 7 ივნისი. ნანკინის მთავრობამ დიპლომატიურ კორპუსის უხუცესს პეკინში—უდენდეიკს გაუგზავნა საპასუხო ნოტა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მან მიიღო ყველა საჭირო ზომები წესრიგის დასაცავად პეკინ-ტიანძინის რაიონში. (ადს).

იაპონელები და მუკდენის ლიდერების ბრძოლა

ტოკიო, 7 ივნისი. გაზეთ „ცუგაი სიოგიო“-ს სიტყვით, იაპონიის მთავრობას გადაწყვეტილი აქვს არ ჩაერიოს მუკდენის ლიდერთა შინაურ ბრძოლაში, რომელიც შეიძლება დაიწყოს ჩან-ძო-ლინის სიკვდილის შემდეგ. თუ ამ ბრძოლასთან დაკავშირებით საფრთხეში იქნება იაპონელთა ქონება, იაპონიის მთავრობა მიიღებს საჭირო ზომებს.

კომუნისტების დაპატიმრება

შანხაი, 7 ივნისი. შანხაის საერთაშორისო უბნის ტერიტორიაზე დააპატიმრეს 12 ჩინელი, რომელთაც ბრალს სდებენ კომპარტიის წევრობაში. დაპატიმრებულნი გადასცეს ჩინეთის სამხედრო ხელისუფლებას. (ადს).

გაფიცვა შანხაის ფაბრიკებში

შანხაი, 7 ივნისი. დაიწყო აბრეშუმის სართავ ფაბრიკების მუშების გაფიცვა, რომელშიაც მონაწილეობას იღებს 8.500 მუშა. გაფიცვა გამოცხადდა ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ რომ სასამართლომ არ გამოუტანა საკმაოდ მკაცრი განაჩენი პოლიციელს, რომელსაც ბრალდებოდა მუშის მოკვლა. (ადს).

ვინ დაესხა თავს ჩან-ძო-ლინს

ხარბინი, 7 ივნისი. ტოხოს ცნობით, იაპონელთა პოლიციამ მუკდენში ჩან-ძო-ლინის მატარებლის აფეთქებასთან დაკავშირებით დააპატიმრა ვინმე ლი პი-ჩე, გუანდუნის პროვინციალური მთავრობის ყოფილი მომხრე, რომელიც მოსყიდვით მიემხრო მუკდენის პარტიას. იაპონური პრესა მანჯურიაში ისევ აქვეყნებს იმ ვერსიას, რომ ჩან-ძო-ლინის მატარებელი ააფეთქეს ჩან-ძო-ლინის მოწინააღმდეგეებმა მუკდენის პარტიის შიგნით (ადს).

ერთა ლიგის საბჭოს სესია

სენ-გოტარდის ინციდენტი

ჟენევა, 7 ივნისი. ერთა ლიგის საბჭოს სესიის სხდომაზე ჰოლანდიის დელეგატმა ვან-ბეროკლანდმა გააკეთა მოხსენება სენ-გოტარდის ინციდენტის გამომკვლევი კომისიის მუშაობის შესახებ. მომხსენებლის სიტყვით, კომისიის ამოცანას არ შეადგენდა გამოძიება; მისი მიზანი იყო მხოლოდ შემოწმება უნგრეთის მთავრობის მიერ წარმოდგენილი მასალებისა.

ჩემბერლენმა აღნიშნა, რომ ერთა ლიგის საბჭოს მიერ მარტში მიღებული პროცედურა საკმაო არ აღმოჩნდა.

„აქედან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა,—სთქვა ჩემბერლენმა,—რომ თუ ამგვარი შემთხვევა განმეორდა, ერთა ლიგის საბჭო იძულებული იქნება უფრო ენერგიული ზომები მიიღოს საქმის გამოძიებისათვის“.

გერმანიის დელეგატი შუბერტიც აცხადებს, რომ კომისიამ არ გამოაშკარავა, თუ ვინ არის დამნაშავე ამ ინციდენტში.

თავმჯდომარემ შეიტანა წინადადება, რომ ერთა ლიგის გენერალურ მდივანს მიეცეს რწმუნება ამგვარ შემთხვევებში დაუყოვნებლივ ჩაერიოს საქმეში და მიიღოს საჭირო ზომები საკითხის სრული გამორკვევის მიზნით. თავმჯდომარემ წარადგინა რეზოლიუცია, რომელიც მწუხარებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ უნგრეთის მთავრობამ თავისი მოქმედებით არ დაუშვა სენ-გოტარდის ინციდენტის სრული გამორკვევა.

ჩეხო-სლოვაკიის, სამხრეთ-სლავიის და რუმინეთის წარმომადგენლებმა მკაცრად გააკრიტიკეს კომისიის მუშაობა. ორატორები აღნიშნავდნენ, რომ მოხსენება გაუმუქებლად სტოვებს სამხედრო მოწყობილობათა ტვირთის ადრესატის საკითხს და იმ სამხედრო მოწყობილობათა საკითხს, რომლებიც როგორღაც გაჰქრა უნგრეთში. ორატორები აცხადებენ, რომ კომისიის მუშაობა, რომელმაც არ გამოარკვია საკითხის ეს მხარე, ნდობას უკარგავს ერთა ლიგის მთელ მუშაობას.

საფრანგეთის წარმომადგენელმა პოლ-ბონკურმა წარმოსთქვა დიდი სიტყვა, რომელშიც სავსებით დაუჭირა მხარი მცირე ანტანტის ქვეყნების წარმომადგენელთა თვალსაზრისს. პოლ-ბონკურმა აღნიშნა, რომ კომისიამ ნორმალურად სცნო სენ-გოტარდში დაკავებული ტრანსპორტიდან 4 ტონა იარაღის დაკარგვა. მას შემდეგ, რაც ერთა ლიგამ გამოძიება დანიშნა ამ საქმეზე.

„ტყვიისმფრქვეველთა ეს რაოდენობა,—ამბობს პოლ-ბონკური,—საკმაოა 15 დივიზიის შეიარაღებისათვის“.

კომისიის მუშაობის ასეთი მეთოდი,—პოლ-ბონკურის აზრით,—ძირს უთხრის ერთა ლიგის ავტორიტეტს.

„ეს მით უფრო საშიშია,—ამბობს პოლ-ბონკური,—იმ მომენტში, როცა ერთა ლიგამ აღძრა საყოველთაო განიარაღების საკითხი, მისი ავტორიტეტი განსაკუთრებით საჭიროა დაცულ იქნას ყველა ძალებით“ (ადს).

მოითხოვენ საბჭოთა კავშირის წინადადებების მიღებას

პარიზი, 7 ივნისი. რუსეთის სახელმწიფო ქაღალდების ინდივიდუალურ მეპატრონეთა უფლების დამცველმა კომიტეტმა პუანკარეს მიმართა წერილით, რომელშიაც აცხადებს, რომ იგი იღებს რუსეთის სესხის ვალდებულებათა მოწესრიგების იმ პირობებს, რომელიც საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე იქნა წარდგენილი. კომიტეტი მწუხარებას გამოსთქვამს კონფერენციის შეწყვეტის გამო და მოუწოდებს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, გამოიყენოს თავისი გავლენა იმისათვის, რომ დაჩქარებულ იქნას ამ კონფერენციის მუშაობის განახლება. (ადს).

დამოუკიდებელი მუშათა პარტიის ახალგაზრდათა ორგანიზაციის კონფერენცია

ლონდონი, 7 ივნისი. დერბში შესდგა ინგლისის დამოუკიდებელ მუშათა პარტიასთან არსებული ახალგაზრდათა ორგანიზაციის კონფერენცია. კონფერენციამ უარყო წინადადება ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირთან მთლიანი ფრონტის შექმნის შესახებ. მაგრამ კონფერენციამ დაადგინა არ იქნან გამორიცხული ორგანიზაციიდან ის წევრები, რომლებიც მთლიანი ფრონტის ტაქტიკას ატარებენ საერთო მიტინგების მოწყობით ახალგაზრდათა კომუნისტურ კავშირთან ერთად.

ფაშისტების დემონსტრაცია

წითელი დღის წინააღმდეგ

პრაღა, 7 ივნისი. ჩეხთა ფაშისტური ორგანიზაციები მოუწოდებენ თავის წევრებს და „ყველა ჩეხელებს, რომელთაც აქვთ ნაციონალური გრძნობა“, გამოვიდნენ წითელი დღეების წინააღმდეგ, რომელსაც კომუნისტური პარტია 5-6 ივლისს აწყობს პრაღაში. ფაშისტებს განზრახვა აქვთ 5 ივლისს მოაწყონ მასიური მიტინგი, ხოლო 6 ივლისს—მასიური დემონსტრაცია კომუნისტების წინააღმდეგ.

მ უ შ ა თ ა ბ რ ძ ო ლ ა

პარიზის ტრანსპორტელთა გაფიცვა

პარიზი, 7 ივნისი. პარიზის რაიონის კომუნალური ტრანსპორტის სამმართველომ დაითხოვა ხუთი მოსამსახურე, რომლებიც ეხმარებოდნენ ტრანსპორტელთა უნიტარულ პროფკავშირს. ტრანსპორტელთა დელეგაციამ სენის დეპარტამენტის პრეფექტს განუცხადა პროტესტი მათი დათხოვნის წინააღმდეგ. დეპარტამენტის პრეფექტმა უყურადღებოდ დასტოვა ეს პროტესტი. ამის გამო ტრანსპორტელთა მრავალრიცხოვან მიტინგზე მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომლის თანახმად 7 ივნისს პარიზის რაიონის ტრანსპორტზე გამოცხადებულ იქნება გაფიცვა ერთი დღით. (ადს).

მემაღაროეთა გაფიცვა რუმინეთში

ვენა, 7 ივნისი. ბუქარესტიდან მიღებული ცნობით, შილის ქვა-ნახშირის რაიონში, სადაც გაიფიცნენ მემაღაროები, უსასტიკესი პოლიტიკური ტერორი მძვინვარებს. გამოცხადებულია საალყო წესები. ლუპენში შეტაკება მოხდა მუშებსა და ჟანდარმერიას შორის. დააპატიმრეს მრავალი მუშა. (ადს).

კანონი პროფკავშირთა შესახებ ავსტრალიაში

ლონდონი, 7 ივნისი. ავსტრალიის დეპუტატთა პალატამ მეორე წაკითხვით მიიღო ახალი კანონი პროფკავშირთა შესახებ. ეს კანონი ისეთივეა, როგორიც ამას წინად მიიღო ინგლისის პარლამენტმა. (ადს).

გაფიცვა ავსტრიის მაღაროებში

პარიზი, 7 ივნისი. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ ასტურის მაღაროებში დაიწყო მემაღაროეთა საყოველთაო გაფიცვა. (ადს).

რუმინელი გენერლები ვარშავაში

ვარშავა, 7 ივნისი. რუმინელ გენერლების ჩამოსვლასთან დაკავშირებით გაზეთი „კურიერ ილიუსტროვანი“, ემყარება რა ავტორიტეტულ წყაროებს, იუწყება, რომ პოლონეთის ხელისუფლებასა და ჩამოსულ რუმინელ გენერლებს შორის სწარმოებს თათბირი „ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხებზე“. რუმინეთის დელეგაცია მიიღო პილსუდსკიმ; ფიქრობენ, რომ დელეგაციას მიიღებს პრეზიდენტი (ადს).

„დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“-ს კომენტარიები

ბერლინი, 7 ივნისი. უკეთებს რა კომენტარიებს რუმინეთის სამხედრო მისიის ჩასვლას ვარშავაში, „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგ“-ი სწერს:

„ეს ვიზიტი დაკავშირებულია პოლონეთ-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავებასთან ლიზარევზე თავდასხმის შემდეგ და იმ მოლაპარაკების უშედეგოდ დამთავრებასთან, რომელიც სწარმოებდა პოლონეთ-საბჭოთა თავდაუსხმელობის პაქტის დადების შესახებ. რუმინეთის გენერალურ შტაბის მოღვაწეთა ვარშავაში ჩასვლა წარმოადგენს დემონსტრაციას, მაგრამ ამას აქვს აგრეთვე გარკვეული პოლიტიკური მიზნებიც, რომლებიც მიმართულია პოლონეთის მხრივ ლიტვის, საბჭოთა კავშირის და გერმანიის წინააღმდეგ, ხოლო რუმინეთის მხრივ უწინარეს ყოვლისა უნგრეთის წინააღმდეგ. რუმინელ გენერლების ვარშავაში ჩასვლა ერთხელ კიდევ მიუთითებს ევროპას ომის საშიშროებაზე. ეს საშიშროება იფარება იმ აუტანელ პოლიტიკურ პირობებში, რომლებიც გამეფებულია აღმოსავლეთში. რუმინელ გენერლების ვარშავაში ჩამოსვლა ძალაუნებურად გვაგონებს იმ მოლაპარაკებას, რომელიც სწარმოებდა მსოფლიო ომის წინ საფრანგეთის და ინგლისის გენერალურ შტაბებს შორის“.

საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური მოლაპარაკება

ბერლინი, 7 ივნისი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან ახლო მდგომ „ტეგლიხე რუნდშაუ“-ს ცნობით, საფრანგეთ-გერმანიის ეკონომიური მოლაპარაკება, რომელიც პარიზში სწარმოებს, შეეხება მხოლოდ და მხოლოდ ზოგიერთ ტეხნიკურ საკითხებს. სავაჭრო ხელშეკრულების ძირითადი პუნქტები, გაზეთის სიტყვით, არ იქნება შეცვლილი. (ადს).

მენშევიკები ხელს უწყობენ პოლიციას

კომპარტიის დევნაში

ბერლინი, 7 ივნისი. მიუნხენში (ბავარია) „კავშირთა სახლის“ სოციალ-დემოკრატიულმა გამგეობამ აცნობა კომპარტიას, რომ ამიერიდან „კავშირთა სახლის“ შენობაში კომუნისტებს აღარ შეუძლიათ კრებების მოწყობა. ამით სოციალ-დემოკრატები ეხმარებიან ბავარიის მთავრობას, რომელმაც კომპარტია ბავარიაში ნახევრად ლეგალურ მდგომარეობაში ჩააყენა. მთავრობის მიზანია, რომ კომუნისტებს არ მიეცეთ არავითარი შენობები მიტინგებისა და კრებების მოსაწყობათ. (ადს).

მოველით გადამჭრელ ზომებს

პოლონეთის უკვე გამოქვეყნებული ნოტა წარმოადგენს პასუხს ჩიჩერინის და ბოგომოლოვის ნოტებზე, რომლებიც გაეგზავნა პოლონეთის მთავრობას ამხ. ლიზარევზე თავდასხმის შემდეგ. პოლონეთის ნოტა ეხება საკითხს, რომელსაც საბჭოთა საზოგადოებრიობა დიდის ინტერესით ადევნებს თვალ-ყურს. ეს საკითხი მდგომარეობს იმაში—თუ სანამდის იქნება ჩვენი მეზობელი პოლონეთი რუს ემიგრანტთა ტერორისტულ ორგანიზაციების საქმიანობის ასპარეზი, ემიგრანტების, რომლებიც, სარგებლობენ რა პოლონეთის მთავრობის სტუმართ მოყვარეობით, ჩაიდენენ ისეთ „საგმირო“ საქმეებს, როგორის მოწმე ჩვენ უკვე ვიყავით კავერდასა და ვოიცეხოვსკის მხრივ. რომ ამ საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობისათვის—ეს ყველასათვის აშკარაა.

პოლონეთის ნოტა აცხადებს, რომ პოლონეთის მთავრობამ დაუყოვნებლივ გადასდგა ენერგიული ნაბიჯები არა მარტო თავდასხმის ფონის გასაშუქებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად, არამედ აგრეთვე იმ მიზნითაც, რომ შეუძლებლად გაეხადა შემდეგში ასეთი აქტები. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ასეთი განცხადება ნიშნავდეს უაღრესად სერიოზულ და მნიშვნელოვანი პრობლემის გადაჭრას. თვით პოლონეთის მთავრობა მოგვაგონებს ჩვენ, რომ ვოიკოვის საზიზღარ მკვლელობის შემდეგ მან წარსული წლის 14 აგვისტოს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიაც აფრთხილებდა ემიგრანტებს ბოროტად არ გამოეყენებიათ თავშესაფარის უფლება. ამასთან დაკავშირებით, პოლონეთიდან გადაასახლეს მთელი რიგი ემიგრანტები. (სხვათა შორის, მხოლოდ პოლონეთის უკანასკნელ ნოტიდან ვგებულობთ ჩვენ, რომ ყველა ამ ემიგრანტებმა დასტოვეს პოლონეთის ტერიტორია. აქამდის პოლონეთის პრესა სრულიად საწინააღმდეგოს იტყობინება). მაგრამ ჰქონდა თუ არა პოლონეთის მთავრობის ყველა ამ ზომებს რაიმე პრაქტიკული შედეგი? გააგებია თუ არა მიღებულ ზომებმა რუსული ემიგრაციის ტერორისტულ წრეებს, რომ პოლონეთში არ შეიძლება საბჭოთა წარმომადგენლებზე თავდასხმა, რომ ასეთი საქმეებისათვის ისინი სასტიკ პასუხს აგებენ? სრულიადაც არა. საკმარისია მოვიგონოთ, რომ მხოლოდ გუშინ შესრულდა წელიწადი ვოიკოვის ტრაგიკული სიკვდილის დღიდან და კავერდას უკვე მიჰბაძეს ტრაიკოვიჩმა და ვოიცეხოვსკიმ.

ვოიცეხოვსკის მიერ მოხდენილ თავდასხმის შემდეგ საკმაო დრო გავიდა იმისთვის, რომ პოლონეთის მთავრობას მიეღო ზომები, როგორც „თავდასხმის ფონის გასაშუქებლად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად“, ისე აგრეთვე იმ მიზნით, რომ ასეთი ბოროტმოქმედება „შეუძლებელი“ გამხდარიყო. რა ზომები მიიღო პოლონეთის მთავრობამ? რუს ემიგრანტთა კომიტეტის თავმჯდომარე სემიონოვს, რომელიც გარეულია ვოიცეხოვსკის საქმეში, პოლონეთიდან ასახლებენ ჯერ კიდევ გამოძიების დამთავრებამდე. შეიძლება თუ არა ითქვას რომ ასეთი ღონისძიება მიმართულია ემიგრაციის წინააღმდეგ? არავითარ შემთხვევაში, ვინაიდან ყველასათვის აშკარაა, რომ ასეთ ბოროტმოქმედებაში გარეულ პირის გადასახლება საუკეთესო გამოსავალს წარმოადგენს მისთვის.

საპასუხო ნოტის გამოგზავნის წინ პოლონეთში გაანთავისუფლეს ცხრა ემიგრანტი, რომლებიც დაპატიმრებული იყვნენ თავდასხმასთან დაკავშირებით. უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად სასამართლოს გამომძიებელმა და საოლქო სასამართლომ შესაძლოდ ვერ სცნეს მათი განთავისუფლება 10.000 ზლოტის საწინდარის შეტანითაც კი, იმ მოსაზრებით, რომ მათი განთავისუფლება გავლენას მოახდენდა გამოძიების მსვლელობაზე და ხელს შეუწყობდა ბოროტმოქმედების კვალის დაფარვას. ამასთანავე ერთად, პრესა იუწყება, რომ ვოიცეხოვსკის პროცესი გადადებულ იქნება შემოდგომამდე და რომ მისი საქმე გამოყოფილი იქნება იმ პირთა საქმისაგან, რომლებიც დაპატიმრებული არიან თავდასხმასთან დაკავშირებით.

პრესაში კანტი-კუნტათ იყო აგრეთვე ცნობები, რომ პოლონეთის ხელისუფლება აპირებს ტერორისტული საქმიანობის მთავარი ცენტრების „რუსთა კომიტეტის“ და „რუს ახალგაზრდობის კავშირის“ დახურვას. მიუხედავათ ამისა, ჯერჯერობით შეწყდა მხოლოდ „რუს ახალგაზრდობის კავშირის“ ვარშავის კომიტეტის საქმიანობა.

ყველა ეს ფაქტები მოწმობს, რომ პოლონეთის მთავრობის სიტყვებსა და საქმეს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებაა, და გვაიძულებს ჩვენ დავიკავოთ პოლონეთის უკანასკნელი ნოტის მიმართ მოლოდინის პოზიცია.

საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი დარწმუნებულია, რომ საკავშირო მთავრობა ამ საკითხს ამოწურულად არ ჩასთვლის იქამდე, სანამ პოლონეთში ჩვენი წარმომადგენლებისათვის არ უზრუნველყოფენ უშიშროებას და ნორმალური მუშაობის პირობებს.

საჭიროა აღინიშნოს, რომ პოლონეთში ამ ბოლო დროს იზრდება აგრესიული, საბჭოთა კავშირისადმი მტრული ტენდენციები. ჩვენს პრესაში უკვე მოყვანილი იყო პოლონეთის გამოჩენილ დიპლომატის წერილი, რომლის ავტორი ეფარება „სპექტატორის“ ფსევდონიმს. ეხლა ამ ტენდენციებმა, რომლებიც ჩვენ დავახასიათეთ, როგორც 1920 წლის განწყობილებისაკენ დაბრუნება, თავისი გამოხატულება ჰპოვა პოლონეთის სეიმში, სადაც აშკარად ლაპარაკობდენ პოლონეთსა და საბჭოთა კავშირს შორის რიგის ხელშეკრულებით დაწესებულ საზღვრების რევიზიის აუცილებლობის შესახებ. უნდა აღინიშნოს აგრეთვე პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრის ზალესკის გამოსვლები საგარეო ვაჭრობის მონოპოლიის წინააღმდეგ. ეს გამოსვლები განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვინაიდან მათ ადგილი აქვთ მომენტში, როცა პოლონეთი იმყოფება ჩვენთან სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ წინასწარი მოლაპარაკების სტადიაში. ზალესკიმაც საჭიროდ დაინახა შეხებოდა რიგის ხელშეკრულებას და, ამავე დროს, ვერ გამონახა სხვა სიტყვები, თუ არა, წინააღმდეგ ისტორიული სინამდვილისა, ეწოდებია მისთვის „ზომიერების აქტი დამარცხებულ მოწინააღმდეგის მიმართ ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ“. ჩვენ აქ უკვე არაფერს ვიტყვით გოლუვკოს განცხადებების შესახებ.

ჩვენ საწინააღმდეგო განწყობილებათა ზრდა პოლონეთში არ შეიძლება არ იქნეს დაკავშირებული ინგლისის იმპერიალიზმის ღონისძიებებთან ანტისაბჭოთა ბლოკის შესაქმნელად. გენერალ კონორჟევსკის საიდუმლო მგზავრობა, რუმინეთის მთელი სამხედრო დელეგაციის ჩასვლა ვარშავაში, ყველაფერი ეს ცალკე ეტაპებია იმ თამაშის, რომელიც დიდ საფრთხეს წარმოადგენს მშვიდობიანობისთვის. ზალესკის თავდასხმა საგარეო ვაჭრობის მონოპოლიაზე არ შეიძლება სწორად იქნეს გაგებული, თუ მას არ დაუკავშირებთ საერთო კამპანიას ჩვენი ეკონომიური სისტემის წინააღმდეგ, კამპანიას, რომელიც უკანასკნელ დროს მნიშვნელოვნად გაძლიერდა.

არ შეგვიძლია გვერდი აუხვიოთ აგრეთვე იმ თავდასხმას, რომელსაც შეიცავს პოლონეთის უკანასკნელი ნოტა ჩვენი საბჭოთა პრესის მისამართით. პირველ ყოვლისა სრულ გაუგებრობას იწვევს პოლონეთის მთავრობის პროტესტი ჩვენი პრესის „ტონისა და პოზიციის“ წინააღმდეგ. ჩვენ მხოლოდ შეგვიძლია ვისურვოთ, რომ პოლონეთის პრესამ, რომელიც ჩვენი სრულუფლებიანი წარმომადგენლობის გარშემო ქმნის ყოველგვარ ბოროტმოქმედთა თავდასხმისათვის ხელშემწყობ ატმოსფერას, თუ გინდ მცირეოდნათ მაინც შეითვისოს ის „ტონი და პოზიცია“, რომლითაც განირჩევა საბჭოთა პრესა.

თუ პოლონეთში განმტკიცდა აგრესიული ტენდენციები, მაშინ საეჭვო გახდება, რომ პოლონეთის მთავრობა მართლა იღებს რაიმე ზომებს თეთრგვარდიელ ტერორისტების წინააღმდეგ. იმედი ვიქონიოთ, რომ საკუთარი ინტერესების შეგნება სძლევს და პოლონეთის მთავრობა მართლაც ნებას არ მისცემს, როგორც ის ამბობს თავის ნოტაში, „მესამე ფაქტორებს საფრთხეში ჩააგდონ კეთილმეზობლური ურთიერთობა საბჭოთა კავშირსა და პოლონეთს შორის“. პოლონეთი ეკუთვნის იმ სახელმწიფოთა რიცხვს, რომელთა საზღვრების ცნობას დიდი დაბრკოლებები გადაეღობა სხვადასხვა მხრიდან და ამიტომ ის დაინტერესებული უნდა იყვეს როგორც იმაში, რომ საეჭვოთ არ დარჩეს დაწესებული საზღვრები, ისე ნორმალურ ურთიერთობის შენარჩუნებაში თავის მეზობელთან, რომლის მშვიდობიანი პოლიტიკა საკმაოდ ცნობილია. კეთილმეზობლურ ურთიერთობის წინასწარ პირობას კი წარმოადგენს იმ პირობის გადაჭრით გატარება ცხოვრებაში, რომლებსაც შეიცავს პოლონეთის უკანასკნელი ნოტა.

„პრავდა“ 8 ივნისი.

უკანასკნელი ცნობები

ამხ. ა. ენუქიძე სომხეთში

ერევანი, 7 ივნისი. 6 ივნისს სომხეთში ჩამოვიდა საკავშირო ცაკის მდივანი ამხ. ა. ენუქიძე. ამხ. ენუქიძე გაემგზავრა სევანის ტბაზე, საიდანაც დაბრუნდება თბილისში.

პროფ. ჯონსონი მოსკოვში

მოსკოვი, 8 ივნისი. მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი და სასოფლო მეურნეობის საკითხების გამოჩენილი მცოდნე სპეციალისტი პროფ. ჯონსონი. საბჭოთა კავშირში იგი ჩამოვიდა მსხვილი ამერიკული ფირმების დავალებით და მინდობილი აქვს შეისწავლოს ყველა ის პირობები, რაც აუცილებელია ამერიკასა და საბჭოთა კავშირ შორის სავაჭრო ურთიერთობის განსავითარებლად (ადს.)

პრუსიის ლანდტაგის გახსნა

ბერლინი, 8 ივნისი. დღეს შესდგა პრუსიის ახალი შემადგენლობის ლანდტაგის გახსნა. პრეზიდიუმის არჩევნები, მთავრობის ოფიციალურად შედგენა და მთავრობის დეკლარაციის მოსმენა, რომელსაც წაიკითხავს პრემიერი, სოც.-დემოკრატი ბრაუნი—გადადებულია 9 ივნისისათვის (ადს).

იაპონია აფრთხილებს

ტოკიო, 7 ივნისი. სიმბუნ რენგოს სააგენტოს ცნობით იაპონიის სარდლობას პეკინში და ტიან-ცზინში, იაპონიის მთავრობამ დაავალა გააფრთხილოს სამხრეთელები და ჩრდილოელები, რომ იმ რაიონებში სამხედრო მოქმედება, რომლებიც დაცულია იაპონელებისაგან—არ იქნება დაშვებული.

ამასთანავე სარდლობას წინადადება მიეცა მოახდინოს იაპონელების ევაკუაცია და განაიარაღოს ჩინელები, თუ სამხედრო მოქმედება გადატანილ იქნება აღნიშნულ რაიონებში.

სოც.-დემოკრატებმა გადასწყვიტეს მონაწილეობა მიიღონ დიდ კოალიციაში

ბერლინი, 8 ივნისი. „ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკამ 54 ხმის უმრავლესობით 50-ის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება დიდი კოალიციის მთავრობის შედგენის შესახებ.

სოციალ-დემოკრატები კოალიციაში

ბერლინი, 7 ივნისი. პოლიტიკურ წრეების აზრით საკითხი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადის ჰერმან მიულერის რეიხსკანცლერად დანიშვნის შესახებ შეიძლება გადაჭრილად ჩაითვალოს. გარდა ამისა, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ კიდევ სამ პორტფელს—შინაგან საქმეთა, ფინანსთა და იუსტიციის—ზევერინგისა, გილფერდინგისა და ლანდსბერგისათვის (ადს).

ამანულა ფეხლევში

თეირანი, 7 ივნისი. 6 ივნისს ფეხლევში ჩამოვიდა ავღანისტანის ფადიშაჰი. საბჭოთა გემები და სპარსეთის ბატარეები სალუტით მიესალმენ ერთმანეთს. თეირანში ფადიშაჰს მოელიან 9 ივნისს (ადს).

დარბაზობა ტანაკასთან ამხ. ტროიანოვსკის პატივსაცემად

ტოკიო, 7 ივნისი. პრემიერმა ტანაკამ გამართა დარბაზობა საბჭოთა კავშირის ტროიანოვსკის და საელჩოს წევრების პატივსაცემად იაპონია-საბჭოთა კავშირის შორის თევზის ჭერის შესახებ დადებულ შეთანხმების რატიფიკაციის გამო (ადს).

ვოიცეხოვსკის საქმის გარშემო დაპატიმრებულები გაანთავისუფლეს

ვარშავა, 7 ივნისი. თეთრგვარდიელების გაზეთი „ზა სვობოდუ“ იტყობინება, რომ ლიზარევზე თავდასხმასთან დაკავშირებით დაპატიმრებული მაკარეევი და პშეხორა გაანთავისუფლეს.

ამგვარად, ვოიცეხოვსკის საქმის გარშემო ყველა დაპატიმრებულები განთავისუფლებული არიან (ადს).

თურქეთ-სპარსეთის ხელშეკრულება

თეირანი, 8 ივნისი. „ეტელაატის“ ცნობით ამ დღეებში თეირანში მოელიან თურქეთის ელჩს საბჭოთა კავშირში, რომელიც ხელს მოაწერს თურქეთ-სპარსეთს შორის დადებულ ხელშეკრულებაზე, როგორც თურქეთის მთავრობის საგანგებო წარმომადგენელი.

თავდასხმა იტალიის საელჩოზე ბერლინში

ბერლინი, 8 ივნისი. როგორც პოლიტიკური წრეები იუწყებიან, გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა იტალიის ელჩს ბერლინში მიმართა წერილით, რომელშიაც მწუხარებას გამოსთქვამს იტალიის საელჩოზე თავდასხმის გამო (ადს).

„იტალიამ“ ავარია განიცადა

ნიუ-იორკი, 8 ივნისი. ერთ-ერთმა რადიომოყვარულმა ალტუნში (პენსილვანიის შტატი), რომელიც მუშაობდა ძლიერი რადიომიმღებით, იტყობინება, რომ გუშინ საღამოს რადიოთი მან მიიღო შემდეგი ცნობა: SOS. ნობილე. არავითარი თავშესაფარი, გარდა „იტალიის“ ნამსხვრევებისა, რომელიც დაიმტვრა მთაზე დაჯახებით. ვიმყოფებით მე-84 გრადუსზე 15 წუთზე და 10 წამზე ჩრდილოეთით და მე-15 გრადუსზე 20 წუთზე და 40 წამზე აღმოსავლეთით. სიცივეში იყინება და ფუჭდება სურსათი. ყველანი ცოცხლები ვართ. რამდენიმე კაცი დაიჭრა. არ გვესმის არავითარი გამომწვევი სიგნალი. ნობილე“.

ფაქტი აღნიშნული რადიოს ნობილედან მიღების შესახებ კიდევ არაა შემოწმებული.

თავდასხმა ტანაკაზე

ტოკიო, 9 ივნისი. სიმბუნ რენგოს სააგენტო იუწყება:

„8 ივნისს დილით თავს დაესხნენ იაპონიის პრემიერ ტანაკას. პრემიერი მიემგზავრებოდა სიმოდზეკის პრეფექტურაში, სეიუკაის პარტიის კონფერენციაზე. სადგურ უზანში პრემიერს მიუახლოვდა მუშის ტანსაცმელში გამოწყობილი კაცი და შეეცადა ხანჯალი დაერტყა მისთვის, მაგრამ პოლიციის და პრემიერის პირადი მცველების ჩარევით განზრახვა სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი. თავდამსხმელი დააპატიმრეს“ (ადს).

კულიჯის წერილი

ნიუ-იორკი, 7 ივნისი. „ნიუ-იორკ ტელეგრამ“-ის ცნობით, კულიჯმა რესპუბლიკანური პარტიის თავმჯდომარე ბეტლერს გაუგზავნა წერილი, რომელშიაც უარს აცხადებს იმაზე, რომ მისი სახელი შეტანილ იქნას პარტიის მიერ პრეზიდენტის პოსტზე წამოყენებულ კანდიდატების სიაში. თუ ეს ცნობა სინამდვილეს შეეფერება, გუვერის დანიშვნა უზრუნველყოფილად შეიძლება ჩაითვალოს. არაპირდაპირ „ნიუ-იორკი ტელეგრამ“-ის ცნობა იმით დასტურდება, რომ პარტიის ორმა გავლენიანმა მოღვაწემ, რომლებიც გუვერის კანდიდატურის წინააღმდეგი იყვნენ, ეხლა გამოსთქვეს აზრი მის სასარგებლოდ. კულიჯის მიერ ფერმერთა ბილზე ვეტოს დადება და მის მიერ კონგრესისადმი გაგზავნილ მიმართვაში ბილის დაგმობა უიმედოდ ხდის დაუესის და ლოუდენის კანდიდატურას, რომლებიც მხარს უჭერენ ბილს. (ადს).

„იტალია“-ს მოსაძებნად

საბჭოთა ექსპედიცია

მოსკოვი, 8 ივნისი. დირიჟაბლ „იტალიის“ გადასარჩენად ექსპედიციის მომწყობ კომისიის თავმჯდომარემ, გროზამ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელს განუცხადა:

„ყინულის მჭრელი გემი „მალიგინი“ არხანგელსკიდან გავა 10 ივნისს. ჩვენ გადავწყვიტეთ ჩვენი ექსპედიცია გავგზავნოთ ფრანც იოსების მიწისაკენ. საბჭოთა ექსპედიციის გემები და აეროპლანები უზრუნველყოფილი არიან ტეხნიკური მასალებით და სურსათ-სანოვაგით სამი თვით. ჩვენი პირველი ექსპედიციის მთავარი მიზანია—ნობილეს პოვნა, მასთან კავშირის დაჭერა და სურსათის მიწოდება. ნობილეს ბაზამ გემ „ჩიტა და მილანომ“ შეგვატყობინა პირობითი სიგნალები ნობილეს გამოსაძახებლად, თუ ის აღმოვაჩინეთ.

მოსკოვი, 8 ივნისი. 7 ივნისს საკოლნიკოვის რადიო-სადგურმა მოსკოვში ორი მხრიდან გააბა კავშირი ნობილეს ბაზასთან—„ჩიტა დი მილანო“-სთან.

მოსკოვი, 8 ივნისი. საბჭოთა კავშირის რადიომოყვარულნი ცდილობენ კავშირი გააბან „იტალიასთან“, რის გამო ეთერში შეიქმნა არაჩვეულებრივი ქაოსი, რაც ძლიერ ხელს უშლის ყველა რადიო-სადგურების მუშაობას. ნობილეს დამხმარე კომიტეტი მიმართავს საბჭოთა კავშირის ყველა რადიო-მოყვარულთ თხოვნით თავი შეიკავონ თავიანთი რადიო-გადამცემით „იტალიის“ გამოძახებისაგან და მთავარი ყურადღება მიაქციონ რადიოგრამის მიღებას მისგან.

მოსკოვი, 8 ივნისი. 7 ივნისს მოსკოვიდან არხანგელსკში გაემგზავრა საბჭოთა კავშირის რადიოს მეგობართა საზოგადოების ორი რადიო-ოპერატორი ამხ. კოჟევნიკოვი და გრაჟიზოვსკი, რომლებიც თავიანთი მოკლეტალღიანი სადგურებით იმუშავებენ „მალიგინზე“.

რადიო „იტალიიდან“?

მოსკოვი, 8 ივნისი. ნობილეს დამხმარე კომიტეტმა სოფელ ვოზნესენსკაიდან (ჩრდილოეთ დვინის გუბერნია) რადიო-მოყვარულ შმიდტისაგან მიიღო დეპეშა, რომელშიაც იგი იუწყება, რომ მან კვლავ მიიღო რადიო „იტალიიდან“. რადიოდეპეშა შეიცავს უბედურების ნიშნებს, ისევ ისმის სიტყვა „პეტერმანი“. ამ სიტყვის ქვეშ იგულისხმება მთელი რიგი კუნძულები და ყურეები, როგორც ახალ მიწაზე, ისე ფრანც იოსების მიწაზე, შპიცბერგენზე და გრენლანდიაში (ადს).

შვეციის დახმარება ნობილეს ექსპედიციას

სტოკჰოლმი, 7 ივნისი. შვეციის ექსპედიცია სამი ჰაეროპლანის შემადგენლობით ნარვიკში გაფრინდა. მონადირეებს გარეის კონცხის რაიონში შპიცბერგენზე არ შეუმჩნევიათ რაიმე ნიშანი იმისა, რომ „იტალია“ იქ იმყოფება (ადს).

სიგნალები „იტალია“-დან

რომი, 7 ივნისი. სტეფანის სააგენტო იუწყება: „7 ივნისს ნობილეს ექსპედიციის მცურავმა ბაზამ „ჩიტა დი მილანო“-მ „იტალია“-სადმი მიმართულ ჩვეულებრივ სიგნალების შემდეგ დაიჭირა სიგნალები, რომლებიც „იტალია“-დან უნდა იყოს გამოგზავნილი. „ჩიტა დი მილანო“ ცდილობდა დაეკავებია კავშირი „იტალიას“-თან და ეკითხებოდა „იტალია“-ს რადიო-სადგურს, თუ სად იმყოფება ექსპედიცია. რამოდენიმე ხნის შემდეგ „ჩიტა დი მილანო“-მ დაიჭირა ახალი, მეტად სუსტი სიგნალები, რომელთა შორის „ჩიტა დი მილანო“-ს რადიო-სადგურმა თითქმის დანამდვილებით გაარჩია ფრანგული სიტყვები (ადს).

მ ო ს კ ო ვ ი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

უძლიერესი ელექტროსადგური საბჭოთა კავშირში

მოსკოვი, 8 ივნისი. მოსახლეობასა და მრეწველობის შეუჩერებელ ზრდის გამო მოსკოვის ელექტროსადგურები ვერ ასწრებენ არსებულ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. უკანასკნელი წლების განმავლობაში ელექტროენერგიის გაძლიერების საკითხი მწვავედ დგას მოსკოვის სამეურნეო ორგანოების წინაშე.

გამოდის რა აქედან, საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო აყენებს საკითხს მოსკოვის რაიონში უძლიერეს ელექტროსადგურის აშენების შესახებ. სათანადო მოხსენება უკვე წარდგენილია შრომისა და თავდაცვის საბჭოში.

ახალი ელექტროსადგური იქნება ამჟამად საბჭოთა კავშირში არსებულ ყველა ჰიდროელსადგურებზე უფრო ძლიერი, მისი ძალოვნობა ედრება 300.000 კილოვატს.

შრომისა და თავდაცვის საბჭომ მიიღო აღნიშნულ ჰიდროელსადგურის აგების პროექტი და დაადგინა ასეთი სადგური აშენებულ იქნას ბობრიკოვის ქვანახშირის რაიონში.

ღვინის ექსპორტი გერმანიაში

მოსკოვი, 8 ივნისი. რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი შეუდგა ღვინის ექსპორტის ორგანიზაციას გერმანიაში. საექსპორტო ღვინოში განსაკუთრებული ადგილი დაეთმობა ამიერ-კავკასიის და კერძოთ საქართველოს ღვინოებს.

უკვე დადებულ ხელშეკრულების თანახმად ამიერ-კავკასიიდან მიმდინარე სამეურნეო წლის განმავლობაში უნდა გატანილ იქნას 65 ათასი გრადუსი არაყი და სხვა მაგარი სასმელებიც.

რუსეთის სახელმწიფო ვაჭრობის კომისარიატი გზავნის ამიერ-კავკასიაში სპეციალისტებს, რომელნიც ადგილობრივად შეამოწმებენ საექსპორტო ღვინის ხარისხს.

შინამრეწველობის მექანიზაცია უნდა გატარდეს

მოსკოვი, 8 ივნისი. საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭო მიაქცევს მოკავშირე რესპუბლიკათა სახალხო მეურნეობის საბჭოების ყურადღებას იმაზე, რომ დღემდე შესრულებული არაა დირექტივა შინამრეწველობის მექანიზაციის შესახებ.

სარეწაო კოოპერაციას წინადადება ეძლევა მოამზადოს საკითხი შინამრეწველობის იარაღების დაკვეთების შესახებ.

შახტის კონტრ-რევოლიუც. გასამართლება

ბრალდებულ კუზმას დაკითხვა

მოსკოვი, 7 ივნისი. 7 ივნისის დილის სხდომაზე გაგრძელდა კუზმას დაკითხვა, რომელიც უარყოფს ყველა მის წინააღმდეგ წამოყენებულ ბრალდებებს, როგორც კონტრ-რევოლიუციონურ ორგანიზაციებში, ისე საზიანო მუშაობაში მონაწილეობას. მთელი ჩემი მუშაობა, ამბობს იგი,—ატარებდა მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა მრეწველობისათვის სასარგებლო ხასიათს, და ამ მუშაობის შედეგი იყო მხოლოდ და მხოლოდ მიღწევანი.დამცველი ლევენბერგი შეეცადა კიდევ უფრო მეტად დაესაბუთებია კუზმას ჩვენება იმის შესახებ, რომ მან ქვა-ნახშირის ამოღების დარგში მიაღწია წარმატებებს და ტეხნიკურ გაუმჯობესებას, ამისათვის ლევენბერგმა ითხოვა ნებართვა რამოდენიმე კითხვა მიეცა ამის შესახებ ბერეზოვსკისათვის: „იცოდით თუ არა კუზმას ამ მიღწევების შესახებ? „დიახ ვიცოდი“ უპასუხებს ბერეზოვსკი, მაგრამ განმარტავს, რომ არსებითად ვლასოვკაში მიღწევების გარეშე შეუძლებელი იყო მუშაობა. მაღარო იყო მეტად ცენტრალიზაციაქმნილი და მას სერიოზულ ყურადღებას აქცევდნენ. შეუძლებელი იყო მავნებლობის აქტების ჩადენა დაუფარავად და ამა თუ იმ მიღწევების გარეშე რომელიმე რაიონში, ასეთ რაიონად არჩეულ იქნა ვლასოვკა.

სასამართლო კვლავ უბრუნდება საკითხს იმის შესახებ, თუ როგორ ცნობებს აგროვებდა კუზმა საზღვარგარეთ მივლინებისათვის მზადების დროს. ზოგიერთ განმარტებებს ამის შესახებ იძლევიან მატოვი და ბოიარინოვი. ყველა უმთავრესი ცნობები, რომლებიც შეეხებოდა მაღაროებს, თავმოყრილი იყო დონუგოლში და თითქოს ადვილი იყო ამ ცნობების მიღება სწორედ დონუგოლში და საჭირო აღარ იყო მაღაროების შემოვლა. მატოვი ამბობს, რომ დონუგოლის ცნობები ატარებდა სუმარულ ხასიათს და მთელი რიგი ცნობები ცალკე მაღაროების შესახებ არ შეიძლებოდა მიღებული ყოფილიყო დონუგოლში. კერძოდ, შეუძლებელი იყო იმ ცნობების მიღება, თუ როგორ სწარმოებდა მოსამზადებელი მუშაობა.

„რატომ წახვედით თქვენ შჩეგლოვის მაღაროს სამმართველოდან?“—ეკითხება ბრალდებულ კუზმას როგინსკი. კუზმა უპასუხებს, რომ მას უთანხმოება მოუვიდა მაღაროს მმართველთან.

„ძველ მეპატრონეებთან კავშირის საკითხი ხომ არ იყო თქვენი წასვლის ერთ-ერთი მიზეზი“?

კუზმა უპასუხებს, რომ ეს საკითხი არავის არ აღუძრავსო. კუზმა ამბობს, რომ ის ერთხელ მიიწვია ივანოვმა—რუხიმოვიჩის თანაშემწემ, რომელმაც მისცა წინადადება გადასულიყო ვლასოვკაში ბრალდებულს პირისპირ უყენებენ ოჭარეკს. ოჭარეკი ამბობს, რომ უკვე ნესვეტაევში ჰქონდა მას საუბარი კუზმასთან დაპატიმრებათა შესახებ, რომლებიც იმ დროს დაიწყო დონეც-გრუშევსკის მაღაროს სამმართველოში, ოჭარეკი ეუბნებოდა მას, რომ მთელი ეს საქმე წარმოიშვა იმიტომ, რომ მაღაროში მუშაობდა ხალხი, რომელიც იქ იყო რევოლიუციამდე; მათ შეიძლება მიიტანონ ეჭვი, რომ კავშირი აქვთ ძველ მეპატრონეებთან. კუზმამ სთქვა, რომ ამგვარი ეჭვების შესახებ მას გაგონილი ჰქონდა; ამაზე მას ელაპარაკა რუხიმოვიჩმა, რუხიმოვიჩი დიდი ხნის განმავლობაში არწმუნებდა მას დათანხმებულიყო ვლასოვკაში გადასვლაზე. როცა კუზმამ გაიგო ამგვარი ეჭვების შესახებ, იგი დასთანხმდა ვლასოვკაში წასვლაზე. კუზმა არ უარჰყოფს ამ საუბარს ოჭარეკთან, მაგრამ ამბობს, რომ ამ უკანასკნელმა მას გააცნო ლაპარაკი არა რუხიმოვიჩთან, არამედ ივანოვთან.

სასამართლოს წევრი ვასილიევ-უჟინი ბრალდებულს უსვამს უკანასკნელ საკითხს: გუშინ და დღეს თქვენ ათზე მეტმა მოწმემ გამხილათ პირდაპირ თუ არაპირდაპირ. შეიძლება ეჭვი შევიტანოთ ერთი, ორი, სამი პირის ჩვენებაში, მაგრამ რით უნდა ავხსნათ ის, რომ თქვენს მუშაობას ამხილებენ როგორც თქვენი ყოფილი უფროსები, ისე თქვენს ხელს ქვეით მყოფი პირები და აგრეთვე ისეთი პირები, რომლებიც თქვენ გიცნობდნენ მხოლოდ გვარით? ყველა მათი ჩვენებანი ხომ ერთგვარია“?

„ის პირები, რომლებიც ერთმანეთთან იყვნენ დაკავშირებული საზიანო იდეებით,—ამბობს კუზმა,—დაკავშირებული იყვნენ ორგანიზაციასთან და ამავე დროს მეც მხედავდნენ თავის წრეში, ისინი ჩემზე ლაპარაკობენ ისე, როგორც თავის თავზე. ყოველი მათგანი ფიქრობს, რომ თუ იგი ასე თუ ისე ეწეოდა საზიანო მუშაობას, მაშინ კუზმასაც მიუძღვის რაიმე წილიო“. კუზმა სცნობს, რომ იგი დონბასის საერთო ფონზე მეტად ნათელ ფიგურას წარმოადგენდა. იგი მუშაობდა მაღაროებში, იმყოფებოდა ხოლმე დონუგოლში, ყველგან აწინაურებდნენ. ყველა ის პირნი, რომლებიც საზიანო მუშაობას აწარმოებდნენ და რომელთა წრეშიაც იგი იმყოფებოდა, ფიქრობდნენ, რომ კუზმაც ეწევა საზიანო მუშაობასო.

„რატომ მოხდა, რომ თქვენ იმყოფებოდით ამ წრეში და ვერ ამჩნევდით საზიანო მუშაობას“?—ეკითხებიან მას.

„არა, მე ვამჩნევდი და ვხედავდი ამ საზიანო მუშაობას,—უპასუხებს კუზმა. მე ვცდებოდი იმაში, რომ საზიანო მოქმედებას ვსთვლიდი საერთო გულგრილობის შედეგად“.

შემდეგ დამცველებმა აღძრეს საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი მნიშვნელობა ჰქონდა ქვა-ნახშირის დამუშავების მეთოდს, რომელიც კუზმამ შემოიღო არტემის სახელობის ქარხანაში ქვა-ნახშირის ხარისხების შეფარდების შემცირების გამო. მოწმე ჩემიჩევი—დონუგოლის კომერციული დირექტორი, რომელიც წინად ვლასოვკაში მუშაობდა, ამაზე უპასუხებს, რომ ქვა-ნახშირის ხარისხების შეფარდების შეცვლამ დამღუპველი გავლენა მოახდინა არა მარტო ვლასოვკის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის კომერციულ მდგომარეობაზეო. ვლასოვკაში რაციონალიზაციის გატარების გამო ვლასოვკის საქონელმა დაჰკარგა თავისი ღირებულება ბაზარზე და ჩვენ გვქონდა მომხმარებელთა, კერძოდ მოსკოვტოპის განცხადება იმის შესახებ, რომ მათთვის არ გაეგზავნათ ეს საქონელიო.

ბრალდებულ ოჭარეკის დაკითხვა

სასამართლო შეუდგა შემდეგი ბრალდებულის—ინჟენერ ოჭარეკის დაკითხვას. ოჭარეკი იყო სამთა-მადნო სამუშაოთა გამგე ვლასოვკაში იმ დროს, როცა მთავარ ინჟენერად იქ იყო კუზმა. შემდეგში ოჭარეკი 3—4 თვის განმავლობაში მუშაობდა ნესვეტაევში. ოჭარეკი არ სცნობს თავს დამნაშავედ მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებებში. ამხ. კრილენკო ეკითხება ბრალდებულს: „კისრულობს თუ არა იგი სრულ პასუხისმგებლობას იმ მუშაობისათვის, რომელსაც იგი ეწეოდა ვლასოვკაში კუზმასთან ერთად და მის დავალებებით“?

„დიახ,—უპასუხებს ოჭარეკი,—იმ ნაწილში, რომელსაც მე ვასრულებდი“. შემდეგ კრილენკო გადადის იმ საკითხის გამორკვევაზე, თუ როგორი მონაწილეობა მიუძღვის ოჭარეკს კნაპის ფირმის საბურღავი მანქანების მიღებაში. ოჭარეკის ჩვენებაში, რომელიც მან მისცა წინასწარი გამოძიების დროს, ნათქვამია, რომ მან ხელი მოაწერა აქტს, რომელიც ადასტურებდა, რომ კნაპის ფირმის მანქანები გამოსადეგია მაღაროში არსებულ პირობებში მუშაობისათვის.

„კარგი იყო თუ არა ეს მანქანები“?—ეკითხება ბრალდებულს ამხ. კრილენკო. ბრალდებული უპასუხებს, რომ ამ მანქანებს ჰქონდა მთელი რიგი დეფექტები, მაგრამ მანქანები მაინც აკმაყოფილებდა მოთხოვნილებებსო.

„თქვენ მიერ ხელმოწერილ აქტში მოიხსენიეთ თუ არა ამ დეფექტების შესახებ“?

„არა, არ მომიხსენებია,—უპასუხებს ბრალდებული,—მე ამ მხრივ შეცდომა დავუშვი“.

ოჭარეკის ჩვენებასთან დაკავშირებით ამხ. როგინსკი სთხოვს სასამართლოს, რათა დართოს ნება რამდენიმე შეკითხვა მისცეს ბრალდებულ გორლეცს.

„როგორი იყო ოჭარეკის როლი საზიანო მუშაობაში,—ეკითხება იგი გორლეცს,—უშუალო და თუ ხელმძღვანელობითი?

„ხელმძღვანელობითი“—უპასუხებს გორლეცი.

„აქტიური?—ეკითხება როგინსკი. გორლეცი დადებითად უპასუხებს, გორლეცი აცხადებს, რომ იგი ოჭარეკისაგან იღებდა ტეხნიკური ხასიათის დავალებათა პროექტებს, რომლებსაც იგი ატარებდა ცხოვრებაში. საზიანო მუშაობა არტემის სახელობის მაღაროში განსაკუთრებით გაძლიერდა და გაფართოვდა ოჭარეკის მოსვლის შემდეგ.

იღებდა თუ არა ოჭარეკი „პრემიებს“, გორლეცს არა ახსოვს. ამხ. როგინსკი ამის შესახებ კითხვას აძლევს მეორე ბრალდებულ ბაშკინს:

„სცნობდით თუ არა ოჭარეკს იმ საზიანო მუშაობის მონაწილედ, რომელშიაც თვითონ იღებდით მონაწილეობას“?

„დიახ, ვსცნობდი“,—უპასუხებს ბაშკინი. ბრალდებულის შეკითხვაზე, იღებდა თუ არა ოჭარეკი ფულს, ბაშკინი უპასუხებს: „მე მგონია, რომ ოჭარეკი ფულს იღებდა“

სახელმწიფო ბრალმდებელი გადადის შემდეგ საკითხზე—მაღაროების ახალი ნიადაგზე მოწყობა ნესვეტაევში.მაღაროების ახალ ნიადაგზე მოწყობის პროექტებს ადგენდა ოჭარეკი. მას ბრალად ედება, რომ იგი ამ პროექტებს ადგენდა იმგვარად, რომ გაეჭიანურებია მუშაობა მაღაროებში (გამოტოვებულია). ოჭარეკი პროტესტს აცხადებს ასეთი ბრალდების წინააღმდეგ. მას მოაგონებს ბოიარინოვის ჩვენებას, რომელიც გარკვეულად ამბობს, რომ მაღაროებს ასეთი ამოცანა მართლაც ჰქონდათ დასახულიო. კერძოდ, ბოიარინოვი ამბობს, რომ პასუხისმგებლობა ამ მაღაროებში მუშაობის გაჭიანურებისათვის ეკისრება კუზმას. გამოწვეულ იქნა ბოიარინოვი. ოჭარეკი ეკითხება ბოიარინოვს: ამტკიცებთ თუ არა თქვენ იმას, რომ მე, ოჭარეკი, ვეკუთვნოდი მავნებლობის ორგანიზაციაში ნესვეტაევში?—მე ამის შესახებ გარკვეული რამ არ ვიცი,—უპასუხებს ბოიარინოვი. იგი აცხადებს, რომ მას გამოჰყავდა მხოლოდ დასკვნები. მუშაობა ბრკოლდებოდა და შეიძლებოდა, ვინაიდან ვიცოდი მავნებლობის ორგანიზაციის არსებობა, ვფიქრობდი, რომ ყოველივე ეს ხდება დავალების მიხედვითო.

ბრალდებულ კალინინის დაკითხვა

შემდეგ სასამართლო შეუდგა ბრალდებულ კალინინის მოქმედების გამოკვლევას. ბრალდებული კალინინი მთავარი ინჟენერი იყო ნესვეტაევში. კალინინმა დაწვრილებით აუწერა სასამართლოს თავისი სამსახურის კარიერა, განაცხადა, რომ იგი დამნაშავედ სცნობს თავს იმაში, რომ მან იცოდა საზიანო მუშაობის შესახებ ნესვეტაევში და დონუგოლში, და დაკმაყოფილდა მხოლოდ მოხსენებით უფროსების წინაშე და არ მიიღო უფრო ენერგიული ზომები. გარდა ამისა, იგი დამნაშავედ სცნობს თავს იმაში, რომ მან ბრალდებულ ნეკრასოვისაგან მიიღო ფული. მის მიერ მიღებული თანხა—200 მანეთი დიდი იყო მაშინდელი დროის მიხედვით, და ამან გამოიწვია მასში ერთგვარი ეჭვები. მაგრამ იგი კვლავ განაგრძობდა ფულის მიღებას და არავითარ ზომებს არ იღებდა ამის წინააღმდეგ, ერთხელ შეეწყვიტა ფულის მიღება. ამასთან ერთად კალინინი სრულებით არაფერს ამბობდა, როცა მის თვალწინ ეწეოდნენ მავნებელ მუშაობას. კალინინის ჩვენება ძალიან უახლოვდება იმას, რასაც იგი ლაპარაკობდა წინასწარ გამოძიების დროს.

ამის შემდეგ სასამართლოს საღამოს სხდომა შეწყდა 8 ივნისის დილამდე (ადს).

თათბირი საბჭოთა აღმაშენებლობის შესახებ

კამათი

საგზაო მშენებლობის გარშემო

ამხ. მარდალეიშვილი ეხება იმ ორატორებს, რომლებმაც ადგილებიდან მოხსენების გაკეთების დროს, გზატკეცილების ცუდი მდგომარეობა, სამმართველოს უყურადღებობით და სუსტი მუშაობით ახსნეს. რა უნდა გაეკეთებია გზათა სამმართველოს, როდესაც მას დღემდე არა აქვს მტკიცე ბიუჯეტი და მხოლოდ სუბვენციებით მუშაობს. ისეთს სამუშაოებს, რომლებიც ფულს არ საჭიროებდა, გზათა სამმართველო ასრულებდა. მაგ., ჩვენ მაზრებს რამოდენიმეჯერ მოვთხოვეთ ადგილობრივი გზების საოპერაციო გეგმები, მაგრამ არ წარმოგვიდგინეს ხშირად ჩვენ პირველ მოთხოვნილებისთანავე ვაგზავნიდით ინჟენრებს ადგილებზე ხელმძღვანელობის გასაწევად, მაგრამ თვით სამაზრო აღმასკომები და თემაღმასკომები ვერ ახერხებდენ გლეხების სამუშაოზე გამოყვანას. ჩვენი ინჟენრები ადგილებზე არა თუ საგზაო მშენებლობას ხელმძღვანელობდენ, არამედ სამაზრო აღმასკომების დავალებით, ისინი სხვა საამშენებლო საქმეებსაც აკეთებდენ. ძირულის გზატკეცილის გაყვანა სამმართველოს არ დაუწყია, იგი მას თავზე მოახვიეს და თუ შეჩერდა, იმიტომ, რომ ფული არ მოგვცეს.

ამხ. ღვამიჩავა გზათა სამმართველოს ყურადღებას მიაქცევს ზეკარის გზატკეცილის და უვერილაზე ხიდის აგების საჭიროებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსახლეობა დიდხანს დარჩება რკინის გზის კვანძს მოწყვეტილი.

ამხ. ცუცქერიძე აღნიშნავს, რომ შორაპნის მაზრას სამმართველოსგან არავითარი ხელმძღვანელობა არ ქონია. ამიტომ აღმასკომი იძულებული იყო მიემართა სხვა დარგის ინჟენრებისათვის. სამმართველოს მეთვალყურეობის გარეშე აღმასკომმა ააგო 6 ხიდი. შემდეგ იგი აღნიშნავს, რომ საგზაო ბეგარის გატარებას ხელს უშლის სამუშაო იარაღების უქონლობა. გლეხებს არა აქვთ ბარი, წერაქვი, ლომი და სხვა ასეთი. შემდეგ იგი მოითხოვს, რომ საგზაო ბეგარა გავრცელდეს ყველა იმ მუშა-მოსამსახურეზე, რომელთაც სოფლად მეურნეობა მოეპოვებათ.

ამხ. სუჯიაშვილს მიზანშეწონილად მიაჩნია მოხდეს საფუთო გადასახადისაგან შემოსული თანხების თანაბარი განაწილება. იგი აღნიშნავს აგრეთვე სამუშაო იარაღების სიმცირეს ადგილებზე.

ამხ. მათიკაშვილის აზრით, უარყოფა იმისი, რომ გზათა სამმართველოს ხელმძღვანელობა სუსტია,—არ შეიძლება. საჭიროა დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს ღონისძიებები საგზაო მშენებლობის გასაძლიერებლად. ამისთვის კი უპირველესად უნდა მოხდეს გამოკვლევა, თუ როგორ ტარდება საგზაო ბეგარა. შემდეგ, აღმასკომებთან საჭიროა მოეწყოს სპეციალური აპარატები საგზაო მშენებლობისათვის. ისინი უშუალოდ უნდა დაექვემდებარონ აღმასკომის პრეზიდიუმს. ოპერატიულ მუშაობის დარგში ამ აპარატს უნდა უხელმძღვანელოს უშუალოდ გზატკეცილების სამმართველომ. შემდეგ ორატორი ხაზს უსვამს გზის მოხელეების სიმცირეს და საჭიროდ სთვლის ახალი ძალების მომზადებას. საფუთო გადასახადის ცენტრალიზაცია და მისი განაწილება მაზრებს შორის.—ამხ. მათიკაშვილს მიზანშეწონილად არ მიაჩნია, ეს გამოიწვევს მხოლოდ თანხების დაქუცმაცებას და არავითარ რეალურ ნაყოფს არ მოიტანსო.

ამხ. წულუკიძე აღნიშნავს, რომ რაჭისა და ლეჩხუმის მაზრებში საგზაო ბეგარით მრავალი გზები არის გაყვანილი, მაგრამ გზატკეცილების სამმართველოს ხელმძღვანელობა არ გაუწევია. არაა მართალი მომხსენებლის განცხადება, თითქოს მაზრას საოპერაციო გეგმები არ წარედგინოს. შემდეგ ორატორი საჭიროდ სცნობს, რომ მოხდეს შეთანხმება მაზრებს შორის იმ გზების საერთო ძალებით გაყვანისა და შეკეთების შესახებ, რომელიც ამ მაზრების ტერიტორიებს სჭირიან.

ინჟ. ჭიჭინაძე ამბობს, რომ წინანდელი დაყოფა გზატკეცილებისა—სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობის გზატკეცილებად, დღეს მიუღებელია. ყველა გზატკეცილს ჩვენს პირობებში ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამიტომ საჭიროა ყველა გზებზე შემოღებულ იქნეს ნატურალური ბეგარა. ყველა ევროპიულ ქვეყნებში გზატკეცილების უდიდესი ნაწილი გაყვანილია ნატურალური ბეგარით. ამ ღონისძიებას ვერც ჩვენ ავუხვევთ გვერდს. შემდეგ ორატორი აუცილებლად სთვლის აღმასკომებთან მოეწყოს საგზაო ტეხნიკური აპარატი, საფუთო გადასახადის ანარიცხებიდან სახკომსაბჭოსთან შეიქმნას საგზაო ფონდი და მომზადდეს ინჟენერ-ტეხნიკოსები სახელმწიფო სტიპენდიანტებისაგან ადგილობრივი საგზაო მშენებლობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ამხ. ქუჩულორია წინააღმდეგია აღმასკომებთან მოეწყოს სპეციალური აპარატი, იცავს საფუთო გადასახადის ცენტრალიზაციას და საგზაო ბეგარის გავრცელებას სოფლად მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეებზე.

ამხ. გამყრელიძე აღნიშნავს, რომ მომხსენებელმა თათბირს ვერ მისცა გზატკეცილების მდგომარეობის სრული სურათი. არ უთქვამს, მაგალითად, თუ რა მდგომარეობაშია ბათომ-ოზურგეთის გზატკეცილი. სამმართველოში წარდგენილია მრავალი პროექტები, მაგრამ იგი ინახება კანცელიარიების წიაღში. ორატორი წინააღმდეგია საფუთო გადასახადის ცენტრალიზაციის, რადგან საფუთო გადასახადი, გარდა გზებისა, დებულების ძალით ხმარდება კეთილმოწყობის სხვა დარგებსაც, როგორიცაა კანალიზაცია და სხვა.

ამით დასრულდა კამათი საგზაო აღმშენებლობის გარშემო. რეზოლიუციის დასამუშავებლად არჩეულ იქნა კომისია.

თვითდაბეგვრა

(მომხსენებელი ამხ. მათიკაშვილი)

ამავე სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მათიკაშვილის მოხსენება თვითდაბეგვრის შესახებ.

მომხსენებელი ამბობს, რომ თვითდაბეგვრის საქმეში ადგილი აქვს მთელ რიგ უწესობას და ხშირად კანონის უხეშ დარღვევას. კანონის ძალით, მაგალითად, თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხა არ უნდა აღემატებოდეს ამა თუ იმ რაიონზე გაწერილ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამს. დაცულა თუ არა ეს დებულება? იმ არასრული ცნობებით, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, გორის მაზრაში 1926—27 წელს თვითდაბეგვრით შეგროვილია სასოფლო-სამეურნეო გადასახადზე 25 პროცენტით მეტი, ახალციხის მაზრაში 83 პროცენტით მეტი, სიღნაღის მაზრაში 181 პროცენტით, ხოლო შორაპნის მაზრაში 858 პროცენტით მეტი. ეს არასრული ცნობების მიხედვით. ცხადია, სინამდვილეში თვითდაბეგვრით შეგროვილი თანხის რაოდენობა ადგილებზე გაცილებით მეტია. იმავე არასრული ცნობებით, 1927 წელს, თუ გადასახადს რეალურად გამოვხატავთ, შეგროვილია 2250000 მანეთი, ე. ი. სასოფლო მეურნეობის გადასახადზე მეტი. საკავშირო ცაკის პროექტით გათვალისწინებულია თვითდაბეგვრით რაოდენობა განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამის 35 პროცენტით. ეს ჩვენთვის ძალიან უმნიშვნელო პროცენტია და ჩვენ მას ვერ მივიღებთ. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ვერც იმას დავუშვებთ, რომ თვითდაბეგვრა აღემატებოდეს სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საერთო ჯამს.

როდის შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად სასოფლო კრების დადგენილება თვითდაბეგვრის შესახებ.მოქმედი კანონის ძალით სასოფლო კრებები შეიძლება ჩაითვალონ კანონიერად იმ შემთხვევაში, თუ მათ ესწრება მეურნეთა ორი მესამედი. ამას ამბობს კანონი, სინამდვილეში კი სულ სხვა ხდება. ხშირად საკითხს თვითდაბეგვრის შესახებ სწყვეტს მეურნეთა ერთი მესამედი. უფრო უარესი მოვლენასაც აქვს ადგილი. რაჭასა და აფხაზეთში იყო რამოდენიმე შემთხვევა, როცა თვითდაბეგვრა გაატარეს საბჭოებმა და აღმასკომებმა სასოფლო კრებების მოუწვევლად და მათი დასტურის გარეშე. რასაკვირველია, ეს თვითდაბეგვრა კი არ არის, არამედ ყოვლად დაუშვებელი ბეგარა.

თვითდაბეგვრის გატარების პრაქტიკაში არავითარი გეგმიანობას არ აქვს ადგილი. უმრავლეს შემთხვევაში იგი ტარდება შინაურული წესით. გლეხობა ნაწილდება ჯგუფებად და ყოველივე ჯგუფებისათვის წესდება თვითდაბეგვრის განსაზღვრული რაოდენობა იმისდა მიხედვით, თუ როგორია მეურნეობის ქონებრივი მდგომარეობა. ასეთი წესის დროს ადგილი აქვს მრავალ შეცდომებს, რაც ხშირად დიდ გაუგებრობას იწვევს. ამაზე უფრო მარტივი წესია თვითდაბეგვრის გაწერა სასოფლო-სამეურნეო გადასახადთან შეფარდებით.

აქედან დასკვნა ერთია: აუცილებელია გეგმა, აუცილებელია წინასწარ გათვალისწინება იმისი, თუ რა საჭიროება უნდა იქნეს დაკმაყოფილებული თვითდაბეგვრის საშუალებით. ერთხელ და საბოლოოდ ბოლო უნდა მოეღოს ისეთ მოვლენას, როგორიც არის თვითდაბეგვრის ჩატარება მილიციის შესანახი თანხების (ზუგდიდი) შესაგროვებლად, ანდა საკრავი ორკესტრის (სენაკი) დასაქირავებლად.

—:—

თვითდაბეგვრის საკითხმა გამოიწვია გაცხოველებული აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ამხ. ლომთათიძემ, გაბუნიამ, ქუჩულორიამ, ტალახაძემ, გალალაშვილმა, მგალობლიშვილმა და სხ.

შემდეგ მოსმენილ იქნა ამხ. ორმოცაძის მოხსენება სახელმწიფო დაზღვევის შესახებ. კამათის და მოხსენების ანგარიშს მოვათავსებთ შემდეგ ნომერში.

მუშკოოპის რწმუნებულთა მე-13-ე ყრილობა

მეორე სხდომა

რწმუნებულთა ყრილობის მეორე სხდომის გახსნის წინ, თავმჯდომარე ამხ. თ. ხუხუნაიშვილმა ყრილობას გადასცა ცნობა მიწადმოქმედების სახალხო კომისრის ამხ. ა. გეგეჭკორის ტრაღიკულად დაღუპვის შესახებ. ყრილობამ ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას.

მდგომარეობა ხორცის ბაზარზე

შემდეგ ხორცისა და მწვანილეულობის ბაზრის მოწესრიგების საკითხის შესახებ საანგარიშო მოხსენებით გამოვიდა ხორცისა და მწვანილეულობის სექციის გამგე ამხ. ხ. ავეტისოვი.

მომხსენებელი აღნიშნავს, რომ გასული ორი თვის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ბაზარზე ხორცის პროდუქტების კრიზისს, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ჩრდილოეთ-კავკასიიდან და მესაქონლეობის სხვა კუთხეებიდან შესწყდა საქართველოში რქოსანი-საკლავი საქონლის შემოზიდვა. ეს მოვლენა კი იმით აიხსნება, რომ ხანგრძლივი ზამთრის გამო ჩვენში გაზაფხულზე უბალახობა იყო. ძლიერმა გარემოებამ აიძულა ამხ.-ბა „მწყემსი“ და „მიასოპროდუქტი“, დროებით თავი შეეკავებინათ მუშკოოპთან ახალი ხელშეკრულების დადებისაგან.

ამჟამად მომხსენებლის გადმოცემით, ქალაქს ეძლევა მუშკოოპის საშუალებით ხორცის საკმაო რაოდენობა. მაგრამ ეს ხორცი ჯერ კიდევ ვერაა ისეთი ღირსების, როგორიც საჭიროა. ხელშეკრულებით „მიასოპროდუქტმა“ მუშკოოპს უნდა გადასცეს თვიურად 450 ფ. ხორცი. აქედან 25 პროც. მსუქანი და 75 პროც. უმაღლესი ნასაზრდოები საქონლის ხორცი. ამხ.-ბა „მწყემსმა“ კი უნდა გვაძლიოს სრული 100 პროცენტი უმაღლესი ხარისხის ხორცისა.

მწვანილეულობის ბაზარი

მწვანილეულობისა და ხორაგეულობის შესახებ მომხსენებელი ყრილობას აცნობს, რომ თანახმად სახ. ვაჭრობის კომისარიატის გეგმისა, კოოპერატიულ ორგანიზაციებს მინდობილი აქვთ უზრუნველყონ ქალაქის მოთხოვნილების 50 პროცენტი. სახელდობრ მუშკოოპი, აწოდებს მომხმარებლებს კარტოფილს—337 000 ფუთს, კომბოსტოს—67.000 ფუთს, ლობიოს—65.000 ფუთს, ხახვს—27.0000 ფ. მწვანილეულობას და საერთოდ ხორაგს ამზადებს—„ზაკსოიუზი“, „სოფლის კავშირი“, „ზაკვოენპო“-ს და „ცეკავშირი“.

დასასრულ მომხსენებელი კითხულობს იმ ღონისძიებათა პროექტს, რომელთა განხორციელების შემდეგ მას შესაძლებლად მიაჩნია, როგორც ხორცის ბაზრის, ისე მწვანილეულობის ბაზრის მოწესრიგება.

გამოძახება - მიტინგების კამპანია

შემდეგი მოხსენებით საპაიო თანხის გაძლიერების შესახებ მოხსენებით გამოდის ამხ. ნ. ბერიაშვილი. მომხსენებელი აღნიშნავს, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში აპრილიდან დაწყებულია კამპანია საპაიო თანხის გასაძლიერებლად. მუშკოოპის გამგეობასაც გადაწყვეტილი აქვს შეუდგეს აღნიშნულ კამპანიის ჩატარებას.

ამხ. ა. გეგეჭკორის გარდაცვალების გამო

ამხ. ა. გეგეჭკორის ბიოგრაფია

ამხ. ა .გეგეჭკორი დაიბადა 1887 წელს სამეგრელოში.

ჯერ კიდევ ხუთმეტი წლის იყო საშა, როცა მან მიატოვა ოჯახი და მივიდა მუშებთან, რომლებიც მას ინტიმურად იზიდავდენ. ეს იყო 1901-02 წლებში როცა ჩვენი მუშათა კლასი იღვიძებდა და მიილტვოდა რევოლიუციონურ ბრძოლისაკენ. ამხ. საშა უბრალო მუშად დადგა როტშილდის ქარხანაში, სადაც ორი წელი იმუშავა, აქ ის მოხვდა რევოლიუციონურ წრეში, და ეწაფა რევოლიუციონურ ლიტერატურას, რომელმაც მიიზიდა ის, აქტიურად ჩაება მოძრაობაში. ამ მოძრაობამ მიიყვანა ის, სისხლიან დემონსტრაციამდე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბათომში 1902 წელს. ასე მიიღო მან პირველი რევოლიუციონური ნათლობა, რომლის შემდეგ ის იძულებული გახდა გადავიდეს არალეგალურ მდგომარეობაზე.

მაგრამ მებრძოლის დაუდეგარი, აღგზნებული ბუნება ვერ ურიგდება სახლში ჯდომას. არც ქარხანაში და არც ქუჩაში გამოჩენა არ შეუძლია. მას იზიდავს ბაქო—პროლეტარული ბრძოლის ციტადელი, ის მიემგზავრება ბაქოში და მავ მუშად ეწყობა ბაქოს საქონლის სადგურში. აქ უკვე საბოლოოდ ჩამოყალიბდა მისი მარქსისტული მრწამსი და საშა შედის რუსეთის სოც. დემ. მუშათა პარტიაში. 1903 წელს, როცა ტრამვაის მუშებმა საპროტესტო დემონსტრაცია მოაწყვეს, ამხ. საშა თავში დაჭრეს ყაზახებმა, რომლებიც დაერიენ დემონსტრანტებს. საშა ახერხებს დამალვას და კვლავ გადადის არალეგალურ მდგომარეობაზე. ეხლა ის „ცოვიანოვის ქარხნის მუშათა“ წრის ორგანიზატორი და ტრანსპორტიორია. როცა ჩავარდა ორგანიზაცია 1904 წ., ამხ. საშა მიდის თბილისში, სადაც მას ჯერ კიდევ არავინ იცნობს. თბილისში ის შედის მუშად სარაჯიშვილის კონიაკის ქარხანაში. ქარხანაში ის პირველად აწყობს მუშათა წრეს გიორგი მარსკუცელთან ერთად.

დადგა ბობოქარი 1905 წელი. ამხ. საშა იქ არის, სადაც ამას მოითხოვს მისგან პარტია. როცა პარტიამ გადმოისროლა ლოზუნგი, რომ საჭიროა მებრძოლ ერთეულების მოწყობა მწვავე რეაქციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საშა სათავეში ჩაუდგა ერთ-ერთ მებრძოლ რაზმს.

იარაღით ხელში იგი ებრძვის, როგორც გამძვინვარებულ რეაქციას, ისე მის დამქაშებს, ყველა ჯურის ჯაშუშებს და მოღალატეებს, რომლებიც საშუალებას არ აძლევდენ მუშათა კლასს გაეკეთებია თავისი საქმე. ის იყო რისხვა პროლეტარული რევოლიუციის მტრებისათვის, რომლებთაც ის არ ზოგავდა.

1905 წ. 25 სექტემბერს, როცა რევოლიუციონერები თავს დაესხნენ პოლტავის პოლკის ყაზარმებს, ამხ. საშა მძიმედ დაიჭრა ბარძაყში. მოჯობინდა თუ არა, საშამ წინანდებური ენერგიით განაგრძო მის მიერ დაწყებული საუკეთესო საქმე. 1908 წელს მას აპატიმრებენ და ასახლებენ ჩელიაბინსკის გუბერნიაში. როცა ჩელიაბინსკიდან მცველების თანხლებით მიჰყავთ ს. მიშკინოში, საშა გაიქცევა ,ბრუნდება ჩელიაბინსკში და ისევ არალეგალურად იწყებს ცხოვრებას.ჩელიაბინსკში ის თანამშრომლობს ბოლშევიკურ გაზეთში „პრიურალიე“, მაგრამ ჟანდარმერიის დევნა საშუალებას არ აძლევს ამხ. საშას დიდი ხანს იყოს მალულად. ამხ. საშა მიდის თბილისში და შემდეგ სამეგრელოში, სადაც მეტად მძიმე პირობებში კვლავ ეწევა პარტიულ მუშაობას. 1910 წელს მას კვლავ აპატიმრებენ და ასახლებენ დონის ოლქში—ქ. როსტოვში. იქ ჩასვლისას ამხ. საშას დაეტყო ტუბერკულიოზის ნიშნები. იმ დროს როსტოვის ორგანიზაცია განადგურებული იყო. ამხ. საშას ამხ. ეპიფანე კვანტალიანთან. აკაკი კობახიძესთან, დავით ნასარიძესთან, მიხა ჩოდრიშვილთან, სლავა გასპაროვთან, მასლენიკოვთან და სხ. გადასახლებულებთან ერთად მოუხდა მუშაობის თავიდან დაწყება.

ზემოდ დასახელებული ამხანაგები ვერ ისვენებენ, თავს უყრიან მუშებს, აწყობენ პროფკავშირთა არალეგალურ ბიუროს, საქარხნო კომიტეტებს, აღდგენენ კავშირს როსტოვ-ნახიჩევანის კომიტეტთან.

დაიწყო სახელმწიფო სათათბიროს არჩევნები. ჩამომხმარი, ხშირად დამშეული საშა, გარბოდა ერთი კრებიდან მეორეზე, ერთი ფაბრიკიდან მეორეში და აგიტაციას ეწეოდა მუშათა მასებს შორის. მაგრამ ორგანიზაციაში შეპარულ პროვოკატორ „სკიბას“ მეოხებით ამხ. საშას კვლავ აპატიმრებენ. ჯერ დიდი ხნით ჰყავთ როსტოვის ციხეში და შემდეგ ამხ. ზ. ზალინოვსა და სხვებთან ერთად ასახლებენ პოლტავაში. იქ განადგურებული დახვდა ორგანიზაცია, რომლის აღდგენა მათ მოუხდათ. მათ არალეგალური სტამბაც ჰქონდათ. ამას გარდა ამხ. საშა ახერხებს კავშირის გაბმას დონის, იუზოვკის და მაკეევკის რაიონების მუშათა ორგანიზაციებთან. მაგრამ აქ ის ვერ გაექცა ჟანდარმერიის ფხიზელ თვალს და დააპატიმრეს 1914 წელს.

ამხ. საშა პასუხისგებაში მისცეს 102 მუხლის თანახმად და მიუსაჯეს 1 ნახ. წლის ციხე. ამ რიგად 1914 და 15 წელს ამხ. საშა ციხეში ატარებს. ციხიდან გამოსვლის შემდეგ მას ასახლებენ ასტრახანის გუბერნიაში, სადაც მას მოუსწრო რევოლიუციამ, რომელმაც ის გაანთავისუფლა და საშუალება მისცა დაბრუნებულიყო საქართველოში (ქ. თბილისში).

ის სწორედ იმ დროს დაბრუნდა, როცა ბოლშევიკები საბოლოოდ გაეთიშენ მენშევიკებს და საქართველოში ჩამოყალიბდნენ ბოლშევიკური ორგანიზაციები. საშა შეუდგა ბოლშევიკურ ბიუროს მოწყობას, რომელიც შემდეგში იქცა ბოლშევიკების დასავლეთ საქართველოს კომიტეტად (ქ. ქუთაისში) და რომელიც ამზადებდა გამოსვლას ძალა-უფლების ხელში ჩასაგდებად. ამ მიზნისთვის დაარსდა ბოლშევიკური პარტიის დასავლეთ საქართველოს კომიტეტის მებრძოლი შტაბი, რომლის თავმჯდომარე იყო ამხ. საშა. ის მიემგზავრება სამეგრელოში, რომ ჩაატაროს ორგანიზაციული მუშაობა აჯანყების მოსაწყობად, მაგრამ იქ მას მენშევიკები აპატიმრებენ და ციხეში ჰყავთ თვე-ნახევრის განმავლობაში.

ამხ. საშა აცხადებს სიმშილობას, რის შემდეგ მას ანთავისუფლებენ. ის იწყებს კვლავ არალეგალურ მუშაობას, აწყობს 10—12 მებრძოლი ბოლშევიკებისაგან რაზმს. ამხ. საშას სახელი იმდენად პოპულიარული იყო, რომ მისი რაზმი ყოველდღე იზრდებოდა რიცხვით. ასე რომ 10 დღის შემდეგ 10 კაცის მაგიერ მას 800 კაცი ჰყავდა ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ კი თავი შეუყარა 1,700 თავდადებულმა მებრძოლმა, რომელნიც ყოველ წუთს მზად იყვნენ ბრძოლაში შებმოდნენ კონტრრევოლიუციონერებს. საშას სახელის პოპულიარობა იზრდებოდა. იმ პარტიის პოპულიარობასთან ერთად, რომლის წევრი ის იყო. ბოლშევიკური აჯანყება მოედო მთელს სამეგრელოს. მენშევიკებთან პირველი შეტაკების დროს ამხ. საშა ამარცხებს მათ, ტყვეთ მიჰყავს 89 გვარდიელი ,ართმევს მათ 2 ტყვიისმფრქვეველს. ამ გამარჯვების შემდეგ აჯანყებას უერთდებიან რაჭის, ლეჩხუმის და სხვ. მაზრები. მაგრამ ის გარემოება, რომ გამოსვლა ვერ იყო საკმაოდ მომზადებული, საშუალებას აძლევს მენშევიკებს ცეცხლითა და მახვილით ჩაქრონ გლეხთა მოძრაობა შეთანხმებულ მენშევიკურ რეჟიმის წინააღმდეგ.

ამხ. საშა 300 მებრძოლის თანხლებით ბრძოლით უკან იხევს, გადადის მამისონის უღელტეხილით თერგის ოლქში, საიდანაც უნდა გადავიდეს საბჭოთა კავკავში. მაგრამ, სანამ იქ მივიდოდა, რაზმს უხდებოდა ბრძოლით გზის გაკაფვა. მთელი ეს მანძილი ბრძოლით გადაიარეს. ფეხშიშველნი და მშიერმწყურვალნი, იგერიებდნენ ისინი თავდასხმებს კონტრ - რევოლიუციონერულად განწყობილ სტანიცებისას (არდასის, ალგირის და სხვ.), რომლებიც განუწყვეტლივ გზას უჭრიდნენ მათ. რაზმს მუდმივი შეტაკებები ჰქონდა სხვა დასხვა კონტრ-რევოლიუციონერულ ბანდებთან რაზმელები მხნედ იგერიებდენ კონტრ-რევოლიუციონერთა თავდასხმებს და მტკიცედ მიდიოდენ თავისი გზით. კავკავში, მათ იმ წამსვე კვლავ მოუხდათ ბრძოლაში გასვლა შეკავშირებულ თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ასე გავიდა მთელი 1918 წელი მუდმივ უთანასწორო ბრძოლაში. ერთ-ერთ ბრძოლაში ამხ. საშამ დაჰკარგა ფეხი. ეს წელია მისი გმირობის და უსაზღვრო თავგანწირვის საუკეთესო დამამტკიცებელი.

და მართლაც, რამდენი ძალა, ნების ყოფა და გამძლეობაა საჭირო, რომ შიშველ-ტიტველ, მშიერ-მწყურვალე რაზმით გაუძლო და ნაწილობრივ კიდეც დაამარცხო თეთრგვარდიელები, მომარაგებულნი ინგლის-საფრანგეთის ამუნიციით, და იარაღებით, რომელთაც თავის რიგებში ჰყავთ მეფის ხროვის გამოცდილი სამხედრო სპეცები, როგორიც იყვნენ კორნილოვები, დენიკინელები, შკურო, ოფიცრების ბანდიტური რაზმები და სხვა.

ხოლო საშას ეს არამც თუ არ აშინებდა, არამედ, პირიქით, ენტუზიაზმს იწვევდა მასში, ის მხნედ მიდიოდა წინ და მაგალითს აძლევდა თავის მებრძოლებს. თეთრგვარდიელთა დროებითმა გამარჯვებამ ჩრდილო კავკასიაში, ამხ. საშა აიძულა თავისი რაზმით დაბრუნებულიყო საქართველოში, მაგრამ როგორც კი გადავიდა „მენშევიკების სტუმართმოყვარე დემოკრატიული მთავრობის“ ტერიტორიაზე, იგი, გაწამებული, უფეხო მაშინვე დააპატიმრეს და ჩასვეს მეტეხის ციხეში. მის წინააღმდეგ აღძრეს საქმე, როგორც ისეთი პირის წინააღმდეგ, რომელიც იყო ბოლშევიკური აჯანყების ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი დასავლეთ საქართველოში 1917 წელს. ბრალდების მიხედვით მას დახვრეტა მოელოდა. დაიწყო საქმის გარჩევა სასამართლოს მიერ. ეს იყო აშკარა კომედია. თბილისის მუშათა მასები, მთელი რიგი პროტესტებით გამოეხმაურენ მენშევიკური მთავრობის ამ კონტრრევოლიუციონერულ გამოსვლას. მენშევიკები იძულებული შეიქნენ გადაედოთ საქმის გარჩევა. დადგა 1920 წელი და ამხ. საშა, საბჭოთა რუსეთსა და მენშევიკურ საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების თანახმად, განთავისუფლდა. იგი კვლავ გაემგზავრა თერგის ოლქში და 1921 წელს სახელოვან წითელ არმიასთან ერთად მენშევიკების წინააღმდეგ აწარმოებს შეტევას დარიალის ხეობის გზით და ძლევამოსილი შემოდის თბილისში.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ამხ. საშა მუშაობდა საპასუხისმგებლო საბჭოთა პოსტებზე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა პარტიულ ცხოვრებაში: იგი პირველად იყო თბილისის რევ. საბჭოს თავმჯდომარე, შემდეგ საქ. ს. ს. რ. შინაგან საქმეთა სახ. კომისარი და უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მას ეჭირა მიწათმოქმედების სახ. კომისრის თანამდებობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საექიმო ექსპერტიზის დასკვნა

ამა წლის 7 ივნისს საღამოს 10 საათზე და 30 წუთზე თავის ბინაზე რევოლვერით თავი მოიკლა ალექსანდრე ალექსანდრეს ძე გეგეჭკორმა, 41 წლის დაბადებიდან. თვითმკვლელობის ადგილას გამოცხადდნენ ექიმები, რომლებმაც დაამტკიცეს, რომ სიკვდილი შედეგად მოყვა გულის დაჭრას. ტყვია გასულია გულმკერდის ღრუში მე-5 და მე-6 ნეკნთა შუა არეში მარცხენა ძუძუს ხაზიდან ერთ ნახევარი თითის დაშორებით შიგნით. იმ დროს მეზობელ ოთახში იმყოფებოდა ექიმი, რომელიც ამხ. გეგეჭკორს მკურნალობდა. აღნიშნულ ექიმის სიტყვით ის შევიდა ამხ. გეგეჭკორის ოთახში და დაადასტურა, რომ დაჭრილი მაშინვე გარდაიცვალა.

ამხ. ა. ა. გეგეჭკორს 1918 წელს სამოქალაქო ომის დროს კავკავში მოსჭრეს მარჯვენა ფეხი მძიმე ჭრილობისა და განგრენით გართულების გამო. მას შემდეგ ამხ. გეგეჭკორს დარჩა ძლიერი ტკივილები მოკვეთილ კიდურში. აღნიშნულ ტკივილების გამო ის მკურნალობდა და რამოდენჯერმე გაიკეთა ოპერაცია, როგორც აქ, ისე საზღვარგარეთ. მიმდინარე წლის მარტში ამხ. გეგეჭკორს დაცემის გამო მოსტყდა მოკვეთილი კიდური. მიღებულმა ტრავმამ კვლავ გამოიწვია მოუშუშებელი ტკივილები, რამაც ხელი შეუწყო მკაფიოდ გამოხატულ ნევრასტენიას (Neurasthenia cerebrospinalis gravis).

ამხ. გეგეჭკორი არ დაემორჩილა მკურნალ ექიმების კატეგორიულ მოთხოვნილებას შეეწყვიტა მძიმე და მისი დასუსტებული და დაქანცული ორგანიზმისათვის აუტანელი, რთული და საპასუხისმგებლო მუშაობა და დაეწყო სისტემატიური მკურნალობა,—დაგანაგრძობდა მუშაობას. ამან კიდევ უფრო მეტად დაასუსტა და მოქანცა მისი ნერვიული სისტემა. უკანასკნელ ხანებში ამხ. გეგეჭკორს დაეტყო ზედმეტი აღგზნებულება და ნერვების აშლილობა, ზოგჯერ თითქმის სრულიად უმიზეზოდ.

თუ მივიღებთ მხედველობაში ყოველივე ზემოთ აღნიშნულს, დაბეჯითებით შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ უკანასკნელ ხანებში განვითარებულ ნერვიულ სისტემის აშლილობას შეეძლო თვითმკვლელობამდე მიეყვანა ამხ. გეგეჭკორი.

პროფ. ა. მაჭავარიანი, ექ. მ. ზანდუკელი, ექ. გ. რეკვავა, ექ. ი. მამულია ექ. ი. ფრანგულიანი.

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ვ. კუჟაიძე.

მთავრობის კომისიაში

კომისიის დადგენილება

ამხ. ა. გეგეჭკორის ცხედრის ბინიდან (ჭონქაძის ქ. № 12) შრომის სასახლეში გადმოსვენება მოხდება 9 ივნისს საღამოს 5 საათზე.

ცხედრის ბინიდან გამოტანის დროს, ბინაში დაშვებული იქნებიან ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა და საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები, საქ. კომ. პ. (ბ) ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრები, საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტის, რაიკომების, საქართველოს პროფკავშირების საბჭოს, თბილისის აღმასკომის, სამაზრო აღმასკომების წევრები, წითელი არმიის წარმომადგენლები და მახლობელი ნათესავები. საღამოს 6 საათზე პროფსაბჭოს დიდ დარბაზში შესდგება სამოქალაქო პანაშვიდი. კუბოსთან იდგომება მთავრობის წევრების და ორგანიზაციათა წარმომადგენლების საპატიო ყარაული.

პანაშვიდის დამთავრების შემდეგ, 9 ივნისს საღამოს 7 საათიდან ღამის 12 საათამდე, დაშვებული იქნება კუბოსთან თავისუფალი მისვლა.

გამოსვენება რუსთაველის ქუჩაზე, ისტორიული მუზეუმის ეზოში დასაკრძალავად, მოხდება 10 ივნისს დღის 12 საათზე.

რაიონული ორგანიზაციები ეწყობიან შემდეგი წესით: ლენინის რაიონი—ეწყობა მუშათა სასახლესთან და მიდის რუსთაველის თეატრის მხრიდან; ავლაბარ-ხარფუხის რაიონი ეწყობა ჯორჯიაშვილის ქუჩაზე და მიდის კარლ მარქსის მოედნის მხრიდან; ქალაქის რაიონი—ეწყობა ისტორიულ მუზეუმთან და მიდის თავისუფლების მოედნის მხრიდან.

ლენინის რაიონის და ქალაქის რაიონის ორგანიზაციებს შორის რუსთაველის გამზირზე ეწყობა სამხედრო ნაწილი ერთი ასეულის და ორი ესკადრონის შემადგენლობით.

როგორც ორგანიზაციები, ისე სამხედრო ესკორტი ეწყობა თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსის ამხ. ს. ხმალაძის და ქალაქ თბილისის კომენდანტის ამხ. ლ. აბაშიძის განკარგულებით თანახმად.

ორგანიზაციები და სამხედრო ნაწილები აღნიშნულ ადგილზე მოდიან დილის 10 საათზე და 30 წუთზე.

მთავრობის წევრები იკრიბებიან სახკომსაბჭოს შენობაში დილის 11 საათზე, საიდანაც მიდიან მუშათა სასახლეში.

ცხედრის პროფსაბჭოს დარბაზიდან გამოსვენების დროს, დარბაზში დაშვებული იქნებიან მხოლოდ მეორე პუნქტში ნაჩვენებ უწყებების და დაწესებულებათა წარმომადგენლები.

კუბოს საფლავში ჩაშვებისას, ნიშნად სამხედრო პატივისცემისა ამხ. საშა გეგეჭკორისადმი, ასეული მისცემს სალიუტს სამჯერ ცეცხლით, რის შემდეგაც ორგანიზაციები დაიშლებიან და წავლენ რაიონებისაკენ.

10 ივნისს, დილის 10 საათიდან რუსთაველის გამზირზე შეწყდება ტრამვაის, ავტომობილების, ეტლებისა და სხ. მოძრაობა.

სად მოხდება დაკრძალვა

გუშინ დილით შესდგა ამხ. საშა გეგეჭკორის დამკრძალავ მთავრობის კომისიის სხდომა, რომელმაც დაადგინა ამხ. საშა გეგეჭკორის ცხედარი 9 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ბინიდან გადმოსვენებული იქნეს მუშათა სასახლის დიდ დარბაზში. ამავე საღამოს გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი.

განსვენებულის დაკრძალვა მოხდება რუსთაველის გამზირზე, ამხ. მიასნიკოვის საფლავის გვერდით, კვირას 10 ივნისს შუადღის 12 საათზე.

ბავშვთა ფონდის სასარგებლოდ

მთავრობის კომისია მოუწოდებს უწყება-დაწესებულებებს განსვენებულის კუბოზე გვირგვინების მოტანის ნაცვლად, შეიტანონ შეწირულება უპატრონო ბავშვთა ფონდის სასარგებლოთ.

—:—

უდროოდ დაღუპულ თავდადებულ მებრძოლის ალექსანდრე გეგეჭკორის ცხედრის გვირგვინით შემკობის ნაცვლად, თბილისის საბჭოს პრეზიდიუმმა გადასდო 300 მანეთი უპატრონო ბავშვთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

მიწსახკომში

ამხ. საშა გეგეჭკორის ტრაღიკულად გარდაცვალების გამო, გუშინ დილით შესდგა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის თანამშრომელთა საერთო კრება. კრებამ მოისმინა რა ცნობა მიწად-მოქმედების სახ. კომისრის ამხ. საშა გეგეჭკორის თვითმკვლელობის შესახებ, ფეხზე ადგომით პატივი სცა განსვენებულის ხსოვნას. დასასრულ, არჩეულ იქნა მთავრობის მიერ გამოყოფილ დამკრძალავი კომისიისათვის ხელის შემწყობი კომისია ამხ. ძამანაშვილის, ვლ. ფსიტიძის, ა. კობახიძის, თ. ლუკავას, ი. ბუაძის, გ. ჟორდანიას. ზ. ელიავას, დ ბედიანიშვილის, ვ. ბოგილაძის, დ. ახმეტელის და ს. ბაქრაძის შემადგენლობით.

თანამშრომელთა საერთო კრებამ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა მთავრობის წინაშე, რათა თბილისის ახლად დამთავრებულ ზოოტეხნიკურ სადგურს ეწოდოს ამხ. საშა გეგეჭკორის სახელი. კრებამ სასურველად სცნო აგრეთვე დაარსებულ იქნას განსვენებულის სახელობის ერთი სტიპენდია სპეციალისტის აღსაზრდელად სასოფლო-სამეურნეო დარგში.

ამხ. ა. გეგეჭკორის წარსულიდან

ქვემოთ ჩვენ ვბეჭდავთ ამხ. ა. გეგეჭკორის ავტობიოგრაფიის ერთ ნაწილს, რომელიც შეიცავს ამხ. ა. გეგეჭკორის სახელოვან რევოლიუციონურ მოღვაწეობის პერიოდს 1917 წლიდან 1921 წლის თებერვლამდე.

სამზადისი აჯანყებისათვის

არხანგელსკიდან საქართველოში ჩამოსვლისთანავე ამხ. ბ. ლომინაძესთან, ვ. კანდელაკთან და მ. ოკუჯავასთან ერთად ვაარსებთ ბოლშევიკების ბიუროს ქუთაისში; ვწყვეტთ ყოველგვარ კავშირს მენშევიკებთან და ვაწარმოებთ საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობას მთელს გუბერნიაში; შეიძლება ითქვას, რომ ამ დროიდან ჩვენი ბიურო, რომელიც შემდეგ გადაკეთდა დასავლეთ საქართველოს კომიტეტად, იწყებს მზადებას შეიარაღებულ გამოსვლისათვის ძალაუფლების დაპყრობის მიზნით. ამ დროს ხდება გამოსვლები ლეჩხუმში, ამ დროსვე იმართება ჩვენი საგუბერნიო კონფერენცია ამხ. ფილიპე მახარაძის და ბუდუ მდივანის მონაწილეობით. ამ კონფერენციაზე უარყოფილი იქნა ჩემი, ამხ. ფილიპეს და ნახარიძის წინადადება დაუყოვნებლივ გამოსვლის შესახებ და მიღებული იქნა წინადადება აჯანყებისათვის მზადების შესახებ. ამ მიზნით იქვე აირჩიეთ დასავლეთ საქართველოს კომიტეტის მებრძოლი შტაბი, რომელშიაც შევდიოდი მე თავმჯდომარედ.

წინასწარი მუშაობის საწარმოებლად ამხანაგები დაგზავნილი იქნენ მაზრებში, მაგალითად, მე და ამხ. ბუდუ მდივანი გავემგზავრეთ სამეგრელოში. იგრეთ წოდებულ მოსამზადებელ მუშაობის ჩატარების შემდეგ ჩვენ დაგვაპატიმრეს. დაახლოვებით თვენახევრის შემდეგ, სიმშილობის გამოცხადების გამო, ჩვენ გაგვანთავისუფლეს და გადაგვიყვანეს შინაურ პატიმრობაზე, მაგრამ გაიგეს რა, რომ ჩვენ სავსებით არ ვასრულებთ შინაური პატიმრობის წესებს და განვაგრძობთ მუშაობას, ხელმეორედ დაგვაპატიმრეს. მე მოვახერხე გაქცევა და ხონის ორგანიზაციის დახმარებით გავედი სამეგრელოს მთაგორიან ადგილებში.

ჩემი გაქცევიდან ოთხი დღის შემდეგ მე შევძელი 12 თავდადებული ახალგაზრდა რევოლიუციონერის შეგროვება, იარაღი ავყარე სალხინოს რაიონის მილიციას და დავიკავე სალხინო. იმავე დროს გადავჭერით სალხინოზე მისასვლელი გზა ერთის მხრივ ნაქალაქევიდან და კიწიიდან, და მეორეს მხრივ მარტვილ გაჭედილიდან, რითაც უზრუნველვყავით სალხინო თავდასხმისაგან. დავგზავნე ამხანაგები სენაკის მაზ. ყველა კუთხეებში მოწოდებით:და ვეხმარონ იარაღით ხელში. 10 დღის შემდეგ თორმეტი კაცისაგან შემდგარი რაზმი სალხინოში გაიზარდა 800 კაცამდე, სოფლად კი უჯრედებში თავმოყრილი იყო 1.700 კაცი. ამ ძალების ერთ ადგილას გაჩერება არ იყო საჭირო და არც შესაძლებლობა იყო ამის, რადგან მე არ მქონდა თანხები ასეთი დიდი რაზმის შესანახად, მეორეს მხრივ კი საჭირო იყო მათი ადგილებზე დატოვება გადამწყვეტ მომენტამდე, რათა ამით განგვემტკიცებია საბჭოთა ხელისუფლების იდეა. მოვაგროვე ჩემს გარშემო მნიშვნელოვანი ძალა, მე დავუკავშირდი ზუგდიდის მაზრის მეამბოხეებს, რომელთაც მეთაურობდა გმირულად დაღუპული ამხ. ს. მახარაძე, და რომლებიც მოქმედობდენ დიდი ნეძის,წალენჯიხის და ხაბუმის რაიონებში.

მენშევიკური ჯარების სასტიკი დამარცხება

მუშაობაში გეგმიანობის შეტანის მიზნით მე ვიკისრე მთავარი ხელმძღვანელობა. აჯანყების განვითარებასთან ერთად სტიქიურად ფართოვდებოდა სამოქმედო რაიონები. ამავე დროს არ ეძინა არც მენშევიკურ მთავრობას. პირველი შემოტევა აჯანყებულების წინააღმდეგ მენშევიკების ჯარებმა დაიწყეს ზუგდიდის მხრიდან, მაგრამ წალენჯიხის რაიონში იგემეს სასტიკი დამარცხება: ჩვენ დავიჭირეთ 89 ტყვე, 2 ტყვიისმფრქვეველი და მთელი მათი საომარი მოწყობილობა და სურსათ-სანოვაგე.

მეორე შემოტევა დაწყებულ იქნა მარტვილ გაჭედილიდან. იქაც ბრძოლა ჩვენ სასარგებლოდ დამთავრდა. ამ მეორე თავდასხმის დროს აჯანყებულთა მთავარი შტაბი სალხინოდან გადავიდა ს. გორდში და მოთავსდა დადიანის სახლში. შტაბის გადატანა გამოწვეული იყო სტრატეგიული მოსაზრებით, რომ დაგვეჭირა გამაგრებული და ცენტრალური ადგილი, საიდანაც შეიძლებოდა ხელმძღვანელობის გაწევა მეორე რევოლიუციონური აჯანყებისათვის, რომელიც უკვე ვითარდებოდა რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში.

აჯანყება ფართოვდება

შტაბის გადატანისა და ოთხივე მაზრების რევოლიუციონურ მოძრაობის გაერთიანების შემდეგ ჩვენს წინაშე პირველი რიგის ამოცანად წამოიჭრა აჯანყებულ რაიონების საზღვრების გამაგრება. ამ მიზნით ჩვენ გავამაგრეთ რაჭა-ლეჩხუმის საზღვრები ქუთაისის მხრივ და, მოვახდინეთ რა ყველა ცოცხალი ძალების მობილიზაცია, მოვემზადეთ ქუთაისზე გასალაშქრებლად. ლაშქრობის უმთავრესი მიზანი იყო რკ. გზის რიონ-ქუთაისის ხაზის დაჭერა.

განზრახული ოპერაციის დაწყების წინ, ვღებულობ დასავლეთ-საქართველოს კომიტეტის მოწერილობას, რომლითაც წინადადება მეძლევა გაწარმოო თავდაცვითი ბრძოლა და არავითარ შემთხვევაში არ გადავიდე შეტევაზე. თუმცა მე მაშინ არ ვიცოდი ამ განკარგულების გამომწვევი მოტივი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის ნაკარნახევი იყო ერთი მხრივ ცხინვალის და საჩხერის რაიონების აჯანყებულთა დამარცხებით, მეორე მხრივ—იმ მოსაზრებით, რომ მოგვცემოდა დრო დუშეთის ახლად დაწყებული აჯანყების განვითარებამდე, რომლის მიზანს შეადგენდა მცხეთის აღება და თბილისზე შემოტევა.

ბრძანება თერგის ოლქში გამგზავრების შესახებ

რამდენიმე ხნის შემდეგ მე მივიღე ახალი განკარგულება: დამუშალა ძალები და აჯანყებულთა ერთი ნაწილით გადავსულიყავი თერგის ოლქში დუშეთის აჯანყებულთა დასახმარებლად, რომელთაც მაშინ დაკავებული ჰქონდათ საქართველოს სამხედრო გზა.

ვინაიდან ცენტრიდან მოწყვეტის გამო კარგად არ ვიცოდი საქმის ვითარება, ჩემთვის ძნელი იყო შემესრულებია ეს უკანასკნელი განკარგულება. მაგრამ ამ დროს სასწრაფო წესით გზავნიან ჩემთან ვ. ე. გეგეჭკორს (ჩემს ცოლს), რომლის პირითაც კატეგორიულ წინადადებას მაძლევენ შევასრულო მიღებული განკარგულება. იძულებული შევიქენით სამწუხაროდ დაგვესრულებია დიდებულად დაწყებული საქმე: დაშლილ იქნა სენაკისა და ზუგდიდის მაზრების აჯანყებულთა დიდი ნაწილი; ლეჩხუმის მაზრაში დავტოვე ხელმძღვანელი ჯგუფი და ამხ. ქაჯაია, ოჩიგავა და სხვ.; თვითონ კი, ამხ. მიშა გეგეჭკორთან, ქუჩულორიასთან, ა. ელბაქიძესთან და ჭავჭანიძესთან ერთად 300 კაცისაგან შემდგარი რაზმით გადავედი თერგის ოლქში. ჩვენ გვეგონა, რომ ჩვენი გზა თავისუფალი იქნებოდა, რადგან თერგის ოლქში მაშინ დამყარებული იყო საბჭოთა ხელისუფლება. ეს აზრი არ გამოდგა სწორი.

ალაგირის კონტრ - რევოლიუციონური საბჭო

ოსეთის სამხედრო გზის მთელ მანძილზე რაზმს უხდებოდა აუტანელი გაჭირვების, სიცივის, სიმშილის გადატანა და მუდამ საომარ მდგომარეობაში ყოფნა. მაგალითად, ალაგირში, როგორც ადგილობრივმა, ისე არდონის საბჭოებმა, რომლებიც ცხადია კონტრრევოლიუციონურად იყვნენ განწყობილი, მოგვთხოვეს დაგვეყარა იარაღი და უკანვე დავბრუნებულიყავით. ამავე დროს გვაგრძნობინებდნენ, რომ ჩვენ შეიძლება ისეთივე ბედი გვეწიოს, როგორიც ეწია ამხ .ბუაჩიძეს (რომელიც სწორედ იმ დღეებში ვერაგულად მოკლულ იქნა რევოლიუციის საგუშაგოზე კავკავში). უკან დაბრუნება ამოცანის შეუსრულებლად და ისიც უიარაღოდ, ჩვენთვის უდრიდა დაღუპულ ამხ. ბუაჩიძის ბედს. მე არსებითად არ უპასუხე ალაგირის საბჭოს მოთხოვნილებებზე და საბჭოს თავმჯდომარის თანადასწრებით განკარგულება მივეცი ამხ. ჭავჭანიძეს ბრძოლისათვის მოემზადებია რაზმი, დაეჭირა თავდაცვისათვის მოხერხებული ადგილები და განიარაღების პირველი ცდისთანავე ცეცხლით და მახვილით გაენადგურებიათ ყველაფერი. სათანადო ზომები იქნა მიღებული ამ განკარგულების შესასრულებლად(რაზმის წევრებს დაურიგეთ შესასრულებლად (რაზმის ასანთი). ჩვენი გადამჭრელი მოქმედება ალბად არ მოეწონა ადგილობრივ ხელისუფლებას, უკან წაიღო თავისი მოთხოვნილება და მოგვცა წინადადება არდონში და კავკავში გაგვეგზავნა შიკრიკები შემდგომი წინსვლისათვის ნებართვის მისაღებად, რაიც შესრულებულ იქნა. შევინარჩუნეთ რა არსებული მდგომარეობა ალაგირში, კავკავში გავგზავნეთ ამხ. მიშა გეგეჭკორი და ა. ელბაქიძე; მე კი რაზმის უფროსობა ჩავაბარე ამხ. ჭავჭანიძეს და წაველი არდონში. ამ დროს დეპეშით მიღებულ იქნა თერგის ოლქის საბჭოთა რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სახ. კომისარის ამხ. ფიგატნერის განკარგულება რაზმის დაუბრკოლებლად და დაუყოვნებლივ შეშვების შესახებ კავკავში, რაიც შესრულებულ იქნა.

კვლავ მენშევიკურ ჟირონდის წინააღმდეგ

მაგრამ მიუხედავად ამისა, რაზმს მაინც დაუწყეს სროლა დარკოსში. ამგვარად რაზმი მივიდა კავკავში, სადაც ჩვენ შეგვხვდნენ ჩვენი ძველი საყვარელი ამხანაგები ფილიპე მახარაძის მეთაურობით .ზედმეტია ლაპარაკი იმ სიხარულზე, რომელიც განვიცადეთ ჩვენ ერთმანეთის ნახვით, მაგრამ დაქანცულ რაზმს არ ჰქონდა დასვენებისა და ზეიმის დრო. ჩვენ უნდა დაგვეწყო მზადება ახალი ბრძოლისათვის მენშევიკური საქართველოს წინააღმდეგ დარიალის ხეობიდან, ჩვენ უნდა დავხმარებოდით დუშეთის აჯანყებულებს, რომლებიც პოზიციას პოზიციაზე ჰკარგავდნენ უთანასწორო ბრძოლაში.

ერთი კვირის შემდეგ ჩვენმა მთავარმა რაზმმა ბრძოლა გაუმართა მტერს, რომელიც აჯანყებულებს უტევდა ჯვარის უღელტეხილთან. თუ რაზმის საქმე კარგად მიდიოდა მისი შექმნის დღიდან, სამწუხაროდ იგივე არ შეიძლება ითქვას საქართველოს სამხედრო გზაზე გამართული ბრძოლის შესახებ იმ დროს, როცა რაზმის მცირეოდენი მოწინავე ნაწილი ყაზბეგიდან 18 ვერსის მანძილზე ებრძოდა მოწინააღმდეგის რაზმს, რომლის რაოდენობა ათჯერ აღემატებოდა ჩვენს მოწინავე რაზმს, ჩვენ იძულებული გავხდით მოვწყვეტოდით და დავრჩენილიყავით ყაზბეგში, რომ იარაღი აგვეყარა ყაზბეგის თეთრგვარდიელებისათვის, რათა ისინი შეიარაღებული არ დარჩენილიყვნენ ჩვენს ზურგში. ამ დროს რაზმის შტაბმა მიიღო ცნობა, რომ აჯანყებულები გაიფანტნენ და რაზმის მოწინავე ნაწილმა დასტოვა ჯვარის უღელტეხილი და მიიმართა ყაზბეგისაკენ.

გაცემულ იქნა განკარგულება, რომ რაზმი წასულიყო წინ, მაგრამ მენშევიკური მთავრობის ჯარებმა, რომლებიც როგორც ზემოდ აღვნიშნე, ჩვენს რაზმს აღემატებოდა ათჯერ, დაიჭირეს ყველა მაღლობები ყაზბეგის ირგვლივ, გადასჭრეს გზა გველეთთან (როგორც შემდეგ გამოირკვა) და ჩვენი რაზმი მომწყვდეული აღმოჩნდა. ამ ჯოჯოხეთური მდგომარეობის პირველი მსხვერპლი იყო გმირულად დაღუპული ამხ. ჭავჭანიძე.რაზმის პასუხისმგებელი ამხანაგების თათბირზე გადაწყდა გადავერჩინა ცოცხალი ძალა და არტილერია, ვინაიდან ბრძოლა ასეთ პირობებში დაღუპვას უდრიდა. რაზმი იგერიებდა მტერის იერიშებს და თანდათან იხევდა უკან. ხოლო დაჭრილები, მოკლულები და ავადმყოფები წინასწარ იქნა გაგზავნილი.

მენშევიკების მხეცობის რამდენიმე ფაქტი

მტერმა, რომელიც ჩასაფრებული იყო თერგის იქითა მხარეს გველეთის ხიდთან, უკან დასახევი გზა გადაუჭრა ჩვენი რაზმის უმთავრეს ძალებს. მიუხედავად ამისა, მოწინავე რაზმმა 117 კაცის შემადგენლობით, შესძლო რკალის გარღვევა და დარიალის სიმაგრის (თამარის ციხე) დაჭერა, რათა ამით შეეჩერებია მოწინააღმდეგეების წინსვლა. ეს სიმაგრე სამი დღის განმავლობაში გადადიოდა ხელიდან ხელში. განა საჭიროა ლაპარაკი იმაზე რომ მენშევ.-ბი მხეცურად უსწორდებოდნენ ტყვეებს: ბრძოლის ველიდან წაყვანილი ამხ. ჩუბინიძე და ქუჩულორია მხეცურად მოჰკლეს; გარდა ამისა, დახვრიტეს 10 კაცი მიშა გეგეჭკორის მეთაურობით. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ყველა დახვრეტილ ამხანაგებს თავი ეჭირათ როგორც ჭეშმარიტ რევოლიუციონერებს, სიკვდილის დროს ისინი გაიძახოდნენ: „გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“.

აჯანყებულთა რაზმმა, დამარცხდა რა იგი უკანასკნელ ბრძოლაში, დაიხია კავკავისაკენ რეპრესიებს გამოექცნენ. ამ რაზმის შემადგენ- და მცირე შესვენების შემდეგ შეიერთა აჯანყებულთა ჯგუფი, რომლებიც მენშევიკების

ლობა კვლავ გაიზარდა 287 კაცამდე; რაზმი იმყოფებოდა თერგის საბჭოთა ხელისუფლების განკარგულებაში.

კაზაკების აჯანყება კავკავში

ერთი თვის შემდეგ, 5 აგვისტოს ღამით, თერგის კონტრრევოლიუციამ შავრაზმული გენერლების, პოლკოვნიკების და თერგის ოლქის ყრილობის კონტრრევოლიუციონერი ნაწილის მეთაურობით მოაწყო აჯანყება როგორც ყაზახთა სტანიცებში, ისე ქალაქ კავკავის შიგნით, და 6 აგვისტოს დილის 5 საათზე ფაქტიურად დაიჭირა ქალაქი კურსკის და მოლოკანსკის სლობოდკების და ვლადიმირსკის სლობოდკიდან ნახევარ ვერსის მანძილის რადიუსის გარდა, სადაც იმ დროს დაბანაკებული იყო ჩვენი ქართული სოციალისტური რაზმი. აჯანყება იმდენად მოულოდნელი იყო, რომ სროლამ ყველას ლოგინში მოგვისწრო. მე მოვისწრიე ჩემს რაზმს და ვინაიდან არ ვიცოდი, თუ რაში იყო საქმე, სროლის ხმაზე გამოვარდა გარეთ და ამხ. ფიგატნერთან ერთად ჩავარდი ტყვედ. მე მომთხოვეს გამეცა წერილობითი განკარგულება რაზმის განიარაღების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მემუქრებოდნენ დახვრეტით. მე მინდოდა მოლაპარაკების გაჭიანურება და დროის მოგება; ამიტომ მათ განუცხადე, რომ ასეთი განკარგულების გაცემა არ შემიძლია, ვინაიდან ჩემი რაზმი ემორჩილება სოლქო ხელისუფლებას, და თუ მე მომცემენ საშუალებას მოველაპარაკო ყრილობას ტელეფონით, და თუ ყრილობა გასცემს განკარგულებას განიარაღების შესახებ, მე რაზმს მაშინვე განვაიარაღებ—მეთქი. ლაპარაკში ჩემს დასახმარებლად ჩაერია ჩემთან ერთად დატყვევებული ფიგატნერი, რომელმაც განუცხადა მათ: „რატომ არ თანხმდებით, ჩვენ თქვენს ხელში ვართ და სიკვდილის არ გვეშინია, თუ ჩვენ შევსძლებით რევოლიუციის შექმნა, ჩვენ შევსძლებთ სიკვდილსაც მისთვის. მაგრამ აქ სდგას ტეხნიკური საკითხი: ჩვენ თქვენ არ დაგემორჩილებით, ვინაიდან არ ვიცით, ვინ ხართ თქვენ, თუ თქვენ მართლაც ყრილობასთან ერთად მოქმედებთ, ამხ. გეგეჭკორი შეასრულებს ყრილობის მოთხოვნილებას; ამისათვის საჭიროა გეგეჭკორი თქვენი ყარაულების თანხლებით მიიყვანოთ ტელეფონთან“-ო. ამ ხერხმა გასჭრა და მე ყარაულების თანხლებით წამიყვანეს ტელეფონთან. გზაში ყარაულებს სროლა აუტეხეს პარტიულმა ამხანაგებმა, ლადო დუმბაძის მეთაურობით, რითაც მოგვეცა საშუალება შევერთებოდით ამხანაგების ამ ჯგუფს.

ბრძოლა კავკავის შავრაზმელებთან

ჩემი რაზმი თვითონ გამოვიდა ყაზარმებიდან ქალაქში ჩვენს დასახმარებლად და ჩვენ სხვა ამხანაგებთან ერთად განვდევნეთ მტრები მთავარი ქუჩიდან, მაგრამ მტერი უფრო ძლიერი და დარაზმული აღმოჩნდა, ჩვენ კი დაქსაქსული, რის გამოც იძულებული გავხდით დაგვეტოვებია ქალაქი და დავეხიეთ ნაწილობრივ კურსკის სლობოდკისაკენ და ნაწილობრივ ბეზლანის სადგურისაკენ. აქ კვლავ მოვიკრიბეთ ძალები და ინგუშების რევოლიუციონერ რაზმებთან ერთად დავბრუნდით ისევ ქალაქისაკენ კურსკის სლობოდკას გზით. არ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ შევსძლებდით ქალაქის დაბრუნებას, მაგრამ აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა იქონია ამხ. ორჯონიკიძის მეტად შესანიშნავმა სტრატეგიულმა ხერხმა. იმ დროს, როცა ჩვენ მივდიოდით ქალაქისაკენ, მან შექმნა ინგუშთა რაზმი და ეს რაზმი წაიყვანა იმ სტანიცებისაკენ, რომელთა ყაზახები შეიჭრნენ ჩვენს წინააღმდეგ. ყაზახები შეშინდნენ ამის გამო და მაშინვე გამართეს თავისი სტანიცების დასაცავად, რითაც დაასუსტეს ჩვენი მტრების წინააღმდეგობა თვით კავკავში. ამგვარად კავკავში კვლავ აფრიალდა რევოლიუციის წითელი დროშა.

ბრძოლა პიატიგორსკის შემოერთებისათვის

ქალაქში შესვლისა და კონტრრევოლიუციონურ სოფლების აჯანყების ჩაქრობის შემდეგ, ქართულ რაზმის ერთ ნაწილს დაევალა ქალაქის დაცვა, ხოლო მეორე ნაწილი გაიგზავნა სუნჯენის ხაზზე მოქმედ მთავარ ძალების დასახმარებლად. ამავე დროს მე ვინიშნები ქალაქის რევოლიუციონურ წესრიგის დაცვის კომისრად. სუნჯენის ხაზზე კონტრრევოლიუციის ლიკვიდაციისა და გროზნოსთან კავშირის აღდგენის შემდეგ, სოლქო ხელისუფლების წინაშე დადგა ამოცანა პიატიგორსკის რაიონის შემოერთებისა, რისთვისაც საჭირო იყო სადგურისაკენ მიმავალ გზის გაწმენდა კონტრრევოლიუციონურ ბანდებისაგან,ამ მიზნით მე მივიღე განკარგულება წავსულიყავი რაზმით არხონკის წინააღმდეგ, მაგრამ სამწუხაროდ ეს ოპერაცია მარცხით დამთავრდა: მე მძიმედ დავიჭერ ფეხში და უხელმძღვანელოდ დარჩენილი რაზმი იძულებული გახდა უკან დეხია. მაგრამ მეორე დღეს ეს რაზმი ისევ წავიდა წინ და არა თუ აიღო არხონკა, არამედ დაიჭირა მთელი ოსეთი, რომელიც მაშინ კონტრრევოლიუციონერულად იყო განწყობილი.

საბჭოთა ხელისუფლების შემდგომი ბრძოლა თერგის კონტრრევოლიუციასთან 1918 წლის ნოემბრიდან 1919 წლის თებერვლამდე სწარმოებდა ჩემი მონაწილეობის გარეშე. მე ამ ხანებში დაჭრილი ვიყავი და ვიწექი საავადმყოფოში. 1919 წელს 2 თებერვალს, როცა საბოლოოდ გადაწყდა საკითხი დენიკინელი ბანდებისათვის თერგის ოლქის დროებით ჩაბარების შესახებ ფეხის მე-11-ე ოპერაციის შემდეგ ყველამ გადასწყვიტა მოეჭრათ ჩემთვის ფეხი. ამავე დღეს 12 საათზე ფეხი მომჭრეს და ორი საათის შემდეგ ზარბაზნების გრიალსა და ტყვიისმფრქვეველების ხმაურში ცოლისა და მოწყალების დის თანხლებით მივემგზავრები ინგუშეთის მთიან ნაწილში. მალე იქვე მოდიან უკან დახეული ამხანაგები ორჯონიკიძე, მახარაძე, ნაზარეტიანი, ფიგატნერი, ელერდოვი, ბუტერინი და სხ. მთებში შეფარებულნი, ჩვენ ერთი წუთითაც არ ვანებებდით თავს ბრძოლას, აღვადგინეთ კავშირი თერგის, ინგუშეთის, ჩეჩნეთის, ყაბარდოს, ბალყარეთის, დიგორის და დაღესტნის რევოლიუციონურ ხალხებთან და საქართველოს პარტიულ ორგანიზაციებთან.

ნაცნობ მეტეხის ციხეში

ამავე დროს განვაგრძობთ ახალ-ახალ აჯანყების მოწყობას, რასაკვირველია მთებში ჯდომა მათთვის, რომელთაც მოძრაობა შეეძლოთ, უმიზნო იყო. ამხანაგები ერთი მეორეზე მიემგზავრებიან საქართველოში მუშაობის გასაძლიერებლად. ხუთი თვის შემდეგ მე დიდი ტანჯვა-ვაებით ხან ცხენზე შემჯდარი ხან ამხ. შაქრო ფალავანდიშვილის ზურგზე მოკიდებული ვახერხებ თბილისში ჩასვლას, მაგრამ დიდხანს ვერ შევსძელი კედიასა და რამიშვილისაგან თავის დაფარვა და აი მალე ჩემთვის სარეცელზე მწოლარე—ავადმყოფისათვის იხსნება კარგად ნაცნობი მეტეხის ციხის კარები, ისევ დაცინვა და მასხრად აგდება. ყოველდღე ისევ დახვრეტის ლოდინი, რაც ჩვენ მით უფრო გვაწამებდა, რაც უფრო ხანგრძლივი იყო ეს ლოდინი. მენშევიკურმა მთავრობამ ჩემი და ჩემი ამხანაგების სიცოცხლე დაუკავშირა დენიკინის, მათთვის მეტად ახლობელი გენერლის, დამარცხებასა თუ გამარჯვებას. მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ ძლევამოსილმა წითელმა არმიამ არა თუ მიწის პირისაგან აღგავა გენერლის კონტრ რევოლიუცია, არამედ რკალივით შემოერტყა მენშევიკურ საქართველოს. თავის საცოდავი არსებობის შესანარჩუნებლად მენშევიკური მარიონეტკები, ვითომ მინისტრები, იძულებული გახდენ ხელშეკრულება დაედვათ საბჭოთა რუსეთთან. ამ ხელშეკრულების ერთერთი პირობა იყო დაპატიმრებულ კომუნისტების განთავისუფლება და კომუნისტური პარტიის ლეგალიზაცია. ხელშეკრულების ძალით ყველა პარტიული ამხანაგები თავისუფლდებიან ციხეებიდან, მხოლოდ მე არ მიშვებენ, რადგან მენშევიკების ხელისუფლებას იმ მიზნით, რომ ადვილად მოეღო ჩვენთვის ბოლო, დაპატიმრებული ვყავდით არა როგორც იდეური პარტიული მოწინააღმდეგენი, არამედ როგორც სახელმწიფო მოღალატენი.

ისევ კავკავში

ეხლა არ იცოდენ თუ რა ფორმით მოეხდინათ ჩემი განთავისუფლება, მაგრამ ეს მათ ვერ შესძლეს და 1920 წელს 7 მაისს, მე ციხიდან გავყავდ ამხ. ფიგატნერს, მაგრამ ისევ ვღებულობ წინადადებას დავტოვო საქართველო და მე კვლავ ვბრუნდები თერგის ოლქში, სადაც ჩვენ შევუდექით მშვიდობიან აღმშენებლობას, რასაც ვეწეოდით მანამდე, სანამ მენშევიკებმა საქართველოში ისევ არ დაიწყეს კონტრრევოლიუციონური ძალების დარაზმვა საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად. მენშევიკების ასეთმა საქციელმა,—ჩვენ ისევ ფეხზე დაგვაყენა და შევუდექით მზადებას მენშევიკურ უღელ ქვეშ წამებულ საქართველოს მუშებისა და გლეხების განსათავისუფლებლად, რაც ჩვენ მიერ შესრულებულ იქნა 1921 წელს 25 თებერვალს. და მეც ერთი მათგანი, რომელიც მენშევიკურმა მთავრობამ კანონს გარეშე გამომაცხადა, ამჟამად შეძლების გვარად განვაგრძობ რევოლიუციონურ საბჭოთა მუშაობას.

ა. გეგეჭკორი.

ჰაეროპლანის ავარია თბილისთან

ორი მფრინავის დაღუპვა

გუშინ თბილისში მიღებულ იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ დილის 9 საათზე სამოსწავლო ვარჯიშობის მიზნით გაფრენილი აეროპლანი დაიღუპა ვაზიანის მიდამოებში.

აეროპლანზე იმყოფებოდნენ კავკასიის წითელდროშოვან არმიის № საავიაციო რაზმის უფროსი ავიატორი ამხ. ილია ივანოვი და მეორე უფროსი ავიატორი-მზვერავი ამხ. ალექსანდრე კალინოვსკი. ჰაეროპლანის ავარიისას ორივე მფრინავი ტრაღიკულად დაიღუპა.

მომხდარი ამბის შესახებ კავკასიის წითელდროშოვანი არმიის შტაბის უფროსმა ამხ. ალაფუზოვმა ჩვენს თანამშრომელს დაღუპულ ავიატორების შესახებ გადასცა შემდეგი ცნობები:

ავიატორი ი. ივანოვი და კალინოვსკი დილის 9 საათზე გავიდნენ აეროდრომიდან და 10 საათამდე ისინი არ დაბრუნებულან მიწაზე. დაახლოებით ერთი საათის შემდეგ აეროპლანმა გამოურკვეველი მიზეზებით განიცადა ავარია და ორივე მფრინავი ტრაღიკულად დაიღუპა. ამხ. ივანოვსკი და კალინოვსკის სახით სამხედრო-საავიაციო ფლოტმა და კერძოდ კ. წითელ დრ. არმიის საჰაერო ძალებმა დაჰკარგეს საუკეთესო და საქმის ერთგული, ნაცადი, მებრძოლი ამხანაგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქუთაისი აღდგენილ უნდა იქნეს

„კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა

საქართველოს ტექნიკური საზოგადოების გამგეობის გამოწვევის თანახმად შემოგვაქვს თითო თუმანი—სულ ექვსი თუმანი—ქუთაისში ცეცხლისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და ვიწვევთ ტყიბულიდან შემდეგ ამხანაგებს უფ. მეხ. მასტიცკას, ტექნიკ ხერეჟელს, ილ. სტურუას, ან. ჩხეტიას, ნ. ზალდანაშვილს, გ. ქასრაშვილს და ექიმ ნ. ჭუმბურიძეს,

ა. ფურცელაძე, გ. ჯაოშვილი, ა. ნემსაძე, პ. აბაშიძე, დ. გუაჩიძე და ი. ჯაოშვილი.

—:—

ვახტანგ ქადეიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ბარნაბა გარდავას, ფატმან ხაბურზანიას, კოლია ნაროუშვილს, ტერენტი შამუგიას, გრიგოლ მეუნარგიას, ნინა ქადეიშვილს, ჯოჯი ჯიბლაძეს, ილარიონ ჟვანიას, სევერიან მესერიძეს, დათიკო გიგინეიშვილს.

ვარლამ პაჭკორია.

—:—

გიზო ფაშალიშვილის გამოწვევით ხანძრისაგან დაზარალებულ ქუთათურ ბავშვების სასარგებლოდ შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: მედეა იაშვილს, ტანიტ ტაბიძეს, ფისო ლეონიძეს, თინა უზნაძეს, ლეილა, ტყემალაძეს, ირა და თინა საბენგუსებს, ნუნუ გოლოვინას, ნინა ბარნაბიშვილს, ნუნუ მოზდოკელს და გივი ეღენტს.

ნელი ალექსიძე.

—:—

შემომაქვს სამი მანეთი და ვიწვევ: მედიკო და ვენერა მაისურაძეს, ქეთო გამრეკელს, ცუგა მატბერაშვილს, დარეჯან, ქეთო მჭელაძეს, ლიუბა კალანდაძეს, მათიკო მაჭაძეს, ანიჩკა ძიძიგურს, ქეთო მხატვრიშვილს და ოლიკო ეღენტს.

ვანო ძნელაძე.

—:—

თენგიზ ნიკოლაიშვილის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ზურიკო და ციალა ჭილაძეებს, რუსუდან დუდუჩავას, თამაზ კალანდაძეს, ლეილა ხუნდაძეს, ნანა არდიშვილს, ნათელა დუდუჩავას, რეზიკო ბაშვილს და ედიკ ბიოლლოს.

ოთარ ქორიძე.

—:—

თბ. მე-102 შრომის სკოლის მოწაფეებს შემოგვაქვს 23 მან. და 27 კ. და ვიწვევთ შემდეგი შრომის სკოლის მოწაფეებს: 1, 2, 21, 22, 15, 100, 101, 95, 96, 97, 98.

მე-102 შრ. სკ. მოწაფეების დავალებით თვითმართველობის თავმჯდომარე

ილელ კანზაველი.

—:—

ამხ. ნათელა, ბიჭიკო და ლელიკო გურულის გამოწვევით შემომაქვს 2 მან. 50 კაპ. და ვიწვევ: ლია და დარეჯან ბუაჩიძეებს, დათუ, თინა და ქოცია და ლელო ჩხეიძეებს, გოგი ამაშუკელს, ნინა აბესაძეს, ნელი ქვარიანს, თენგიზ ტყემალაძეს, თინა კობიძეს.

გიზო ლომთათიძე.

—:—

შოთიკო გრიგოლიას გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: შოთა ჩიტაიას, ჟენია, ლინიკა და ოლიკა წულუკიძეებს, ოთარ და ეთერ ლეჟავეებს. ლენა რურუას, ოთარ გრიგოლიას, ბაგა გაბუნიას და ჟორჟ თოფურიძეს.

მურზა რუხაია.

—:—

ქეთინო ლეშკაშელის გამოძახებით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ ქეტიკო და ციცინო ჯაფარიძეებს, ხუტუნა ლოლაძეს და თუნია ლეშკაშელს.

ციალა გელოვანი.

—:—

მე-102 შრომის სკოლის თანამშრომლებმა საერთო კრებაზე დავადგინეთ შევიტანოთ ქუთაისის დაზარალებულთა დახმარების ფონდში ორი დღის ხელფასი. მაისის ჯამაგირიდან შემოგვაქვს 45 მან. 45 კაპ. მეორე დღის ხელფასი კი შემოტანილი იქნება ივნისის ჯამაგირიდან. ვიწვევთ შემდეგი შრომის სკოლის თანამშრომლებს: 95, 96, 97, 98, 1, 2, 8, 15, 22; 70; 71; 100 და 101 და შემდეგ პირებს: ლიზა ანდრიაძეს, ნინა მახარაძეს, ნინო მგელაძეს, ჭიჭიკო იმედაძეს, დიმოევს, [illegible] ყველა წევრებს, იუზბაშევს, ექ. დავით რიჟინაშვილს, ექ. მიხ. თავდედიშვილს, ექ. მირაქოვს, ნარიმანოვს, ზენო გაგულაშვილს, სოსიკო მოშიაშვილს, მიშა რიჟინაშვილს, დავით შაფთოშვილს, ბენო ელიგულაშვილს, იაკობ ჯინჯიხაშვილს, იაშა ბაბანოვს, მარკ ზლატკინს, აბრამ ელიგულაშვილს, გაზო კაკიტელაშვილს, ექ. მინოვიჩს, ზ. კაკიტელაშვილს და როზა თავდიდიშვილს.

—:—

შედიკო ჯაშის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ: ეთერი დოლიძეს; ლუსია და ტოლია დოლიძეებს; რუსიკო კორძაიას; ქუქური როგავას; კოწია გაგუას და ტურიკა კალანდაძეს.

გივი დოლიძე.

—:—

კოლია ინაზემცევის გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ლია და ჟუჟუნა ლეჟავეებს; დევიკო თარხნიშვილს; მარო კაკოვინას; ქუქური ნიკოლეიშვილს; ტატიანა მიშველიძეს; გივი ერისთავს; მიშა ვეშაპელს; ნინა და გოგი ჩიქელაშვილებს; სოსიკო გოგნიძეს და მიშიკო გიუიმურელს.

თინიკო გაჩეჩილაძე.

—:—

ლემზა ქანტურიას გამოწვევით შემომაქვს 1 მან. და ვიწვევ თამრო ბაქრაძეს; მერი გელოვანს; ბიჭუნა ბარქაიას; დიანა ქირიას; ნაზიკო ქეიშვილს; გოგი ქულოკაძეს.

ბებე ქორქია.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: დოდიკა ჯიმშკარიანს; ლამარა ნარიმანიშვილს; გალინა ხაჭაპურიძეს; ოთარ ალიხაზაშვილს; დათუნა კვიციძეს; მიტუშა ავალიანს; ლელო ლორთქიფანიძეს; ალიმი ალსაზაშვილს; ქუკა ბარათაშვილს; ტატო ჯიმშკარიანს; ჭუტა და ჯუმბერი ვაჩიზერიძეებს.

ლუტა ჯიმშკარიანი.

—:—

ბიჭუნა ელიავას და ენრიკო მანჯგალაძის გამოწვევით შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ გივი გვალიას; შოთა ოდილავაძეს; ჩონთო ბალავაძეს; ქუქური ჩიხლაძეს და რეზო ქარციძეს.

რეზო მანჯგალაძე.

—:—

მედეა და ნელი კრავეიშვილების გამოწვევით შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: რევი და ომარ ჩიქოვანებს, მარინა და მერი გაბაშვილებს, ვახტანგ ზააკაშვილს, ლეილა ბერძენიშვილს, დიმიკო ჩოლოყაშვილს, კუკური ქველიაშვილს, იურა ავალიანს, ევა მელვინეთ-ხუცესიშვილს.

რუსუდან ჩიქოვანი.

—:—

შემომაქვს ერთი მანეთი და ვიწვევ: ხუტუნა გაჩეჩილაძეს, გიგო ვარდანიშვილს, ელენა ტატიშვილს, თამარ გოკიელიძეს, კიკლა ჭირაქაძეს. ხლიკა ჭუბაბრიას, გივი და ლეილა ბაქრაძეებს.

დათიკო ბაქრაძე.

—:—

სამტრედიის 9-წლედის მე-3 ჯგ. მოწაფეებს შემოაქვთ 8 მ. და 38 კ. და იწვევენ სამტრედიის ოთხწლედის მოწაფეებს, ვანის, ხონის და სამტრედიის 9-წლედის ყველა მოწაფეებს.

—:—

ქუთაისის ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოდ პატარძეულის მასწავლებლებს შემოგვაქვს 21 მან. და ვიწვევთ სართიჭალის, ხაშმის და საგარეჯოს მასწავლებლებს.

ამხანაგების მინდობილობით სოლომონ ცაიშვილი.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ვარდისუბნის დელეგატ-ქალებს შემოაქვთ 6 მანეთი და 28 კ.

—:—

ქუთაისში ხანძრით დაზარალებულთა სასარგებლოთ ოქტომბრის თემის (ზუგდიდის მაზრა) გლეხობას შემოგვაქვს 25 მან. და ვიწვევთ ზუგდიდის მაზრის შემდეგ თემებს: დარჩელის, ანაკლიის, კოკის, კახათის, ცაიშის, ზუგდიდის, ნიკოზიის, კორცხელის და აბასთუმანის.

—:—

ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ მე-10 რკ. გზ. საექიმო უბნის თანამშრომლებს შემოგვაქვს ერთი დღის ხელფასი: პაატაშვილი ალ.—5 მან. 38 კაპ.; ჯუღელი ნ.—4-90 კ.; ფხაკაძე სიმონ—4-20 კაპ.; სტურუა მარიამ—2 მან. 32 კ.; ბეჟანოვის ს. 2-20 კ.; ლამბაშიძე თამარი—1-50 კ.; გრიგორიანცი ალ. 1 მან. 50 კ. სულ 22 მანეთი.

პროფრწმუნებული ნ. ჯულელი.

—:—

შემომაქვს ერთი მან. და ვიწვევ სიმონ ოდილაძეს, იოსებ ყუბანეიშვილს, ნოე ყუფარაძეს, აქსენტი სირაძეს, კირილე ჩხიკვაძეს, ალიოშა აბულაძეს, ნინა ყუფარაძის ასულს, მიხა ჭიჭინაძეს, შალვა სახელაშვილს და პლატონ ყუბანეიშვილს.

ვანო მაჩალაძე.

გუშინ, გაზეთ „კომუნისტი"-ს კანტორაში შემოვიდა 226 მ. 60 კაპ.
სულ წინათ შემოსულთან ერთად 15.776 მ. 04 კ.

სრ. საქ. ფიზკულტურის დღესასწაული

თბილისი—ბათომი

გუშინ, საღამოთი დინამოს სტადიონზე შესდგა შეჯიბრი თბილისის და ბათომის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. თამაში დაუმთავრებელი დარჩა.

ხიშტით ფარიკაობა

7 ივნისს, ამ.-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლის ეზოში შესდგა შეჯიბრი ხიშტით ფარიკაობაში. მონაწილეობა მიიღო თბილისმა, სოხუმმა, ბათომმა და „დინამო"-მ. პირველი ადგილი დაიკავა მედვედევმა (ამ.-კავ. ქვეითი ჯარის სკოლა), მეორე ადგილი დაიკავა ან. შკეველმა (ამ.-კავ. ქვეითი ჯარის სკოლა), მესამე ადგილი დაიკავა გურგენოვმა (სოხუმი), მეოთხე ადგილი დაიკავა ვასილიევმა (ბათომი), მეხუთე ადგილი დაიკავა ფაგინმა („დინამო").

შეჯიბრი სროლაში

ამავე მოედანზე შესდგა შეჯიბრი სროლაში. მონაწილეობას იღებდა 16 ფიზკულტუროსანი და ყველა უწყებათა წარმომადგენლები რიცხვით 60 კაცამდე. სროლა სწარმოებდა 300 მეტრზე. პირველი ადგილი დაიკავა ბოცმა (ამ.-კავ. ქვეითი ჯარის სკოლა), მეორე ადგილი დაიკავა ჩეკოვმა (ამ.-კავ. ქვეითი ჯარის სკოლა), მესამე ადგილი დაიკავა პოპოვმა („დინამო").

ფიზკულტუროსნებიდან პირველი ადგილი დაიკავა ცოციშვილმა (თბილისი), მეორე—ჯოჯიაშვილმა (გორი), მესამე ადგილი დაიკავა ბაზარაშვილმა (დუშეთი).

ლენინის სახ. მოედანზე

გუშინ, ლენინის სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრი რბენაში—100 მეტრის მანძილზე, სიმაღლეზე ხტომაში გამოურბენით, რბენაში 1500 მეტრის მანძილზე. ქალთა რბენაში 60 მეტრის მანძილზე და შუბის ტყორცნაში; 1-ლ სასპორტო დარბაზში შეჯიბრი სწარმოებდა კრივში, ცილობა ფრანგულ ჭიდაობაში და სიმძიმეების აწევაში. ძალოსანმა წკეპლაძემ (საშუალო წონა) სიმძიმეების აწევაში დაამყარა ამ.-კავკასიის ორი ზეხწევი.

ფრენბურთი

გუშინ, ლენინის სტადიონზე ჩატარდა ცილობა ქუთაისის და სოხუმის ფრენბურთელთა ქალთა გუნდებს შორის. შეჯიბრი დამთავრდა ქუთაისის გამარჯვებით.

მეორე წყებად თამაშობდენ ქუთაისის და თბილისის ფრენბურთელთა გუნდები, გამარჯვება ერგო ქუთაისის გუნდს.

ველო-შეჯიბრი

7 ივნისს, საღამოთი თბილისის ველოდრომზე გაიმართა ველო-შეჯიბრი—1100 მეტრზე. მონაწილეობდა 14 კაცი—თბილისიდან, ქუთაისიდან და ბათომიდან. ფინალში გამოვიდნენ სტეფანოვი (თბილისი), ჯანპოლადოვი (თბილისი), ლისკუტინი (თელავი). პირველი ადგილი დაიკავა სტეფანოვმა, რომელმაც უკანასკნელი 220 მეტრი გაიარა 18 წამში.

გარდა ამისა, ამერიკული ველო-შეჯიბრი დიდ მანძილზე სისწრაფეში. მონაწილეობა მიიღო თბილისმა და ბათომმა (ორ-ორი კაცი). შეჯიბრში გაიმარჯვა თბილისმა.

ცილობა კალათბურთში

დამთავრდა ცილობა კალათბურთში რესპუბლიკის პირველობაზე. მამაკაცთა გუნდებს შორის პირველი ადგილი დაიკავა თბილისის კალათბურთის გუნდმა „სინათლემ", რომელმაც გამარჯვებით დაამთავრა ყველა შეჯიბრი. მეორე ადგილი დაიკავა ქუთაისის გუნდმა.

ქალთა ჯგუფებს შორისაც პირველი ადგილი დაიკავა თბილისმა, ხოლო მეორე ადგილი—ქუთაისმა.

—:—

— **დამთავრდა** შეჯიბრი კომპლექსურ ვარჯიშში, რომელმაც გასტანა სამი დღე.

— **დღეს** შესდგება ინდივიდუალური შეჯიბრი მძლეოსნობაში. სხვათა შორის შეჯიბრის პროგრამაში შეტანილია ათჭიდი.

— **დღეს, საღამოს** დამთავრდება სრ. საქართველოს პირველობის გათამაშება ჭადრაკში.

— **როსტოვი-თბილისი.** თბილისში ჩამოდის როსტოვის ფეხბურთელთა გუნდი, რომელიც 12 ივნისს ეთამაშება თბილისის გუნდს.

— **ველო-გადარბენა.** გუშინ შესდგა ველო-გადარბენა მარშრუტით:— თბილისი-ზაჰესი-თბილისი—30 კილომეტრის მანძილზე.

პურის ფქვილი ამიერ-კავკასიას

საკავშირო ვაჭრობის სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა ხლებოპროდუქტს, ცენტროსოიუზს და ხლებოცენტრს სასწრაფო წესით გასცენ განკარგულება თავის ჩრდილოეთ კავკასიის განყოფილებების მიმართ, რომ მათ ხორბალის და ხორბლის ფქვილის გადმოგზავნა ამიერ-კავკასიისათვის დაწესებულ კონტიგენტების ფარგლებში, აწარმოონ პირველ რიგში და სხვა ტვირთებზე უმალ. (ადს).

ხორცის ბაზარი ამიერ-კავკასიაში

ზაკსოიუზის გამგეობამ აღნიშნა ხორცის ბაზრის მეტისმეტად მძიმე მდგომარეობა ამ.-კავკასიაში, რაც ძლიერ გავლენას ახდენს კოოპერაციის მუშაობაზე.

ზაკსოიუზმა გადასწყვიტა მოითხოვოს ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახალხო კომისარიატისაგან, რომ კოოპერატიულ ორგანიზაციებს უფლება მიეცეთ დასდონ ხელშეკრულებები გარდა „მიასოპროდუქტ"-ისა სხვა ორგანიზაციებთანაც, სანამ „მიასოპროდუქტი" არ წარმოადგენს მის მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულების გარანტიას.

ვინაიდან ლიკვიდაციაქმნილი „მიასტორგის" მთელი აქტივი გადავიდა „მიასოპროდუქტის" ხელში,—ზაკსოიუზი მოითხოვს უკანასკნელისაგან, რომ მან მთლიანად გაუსწოროს ანგარიში ამიერ-კავკასიის კოოპერაციას „მიასტორგ"-ისათვის მიწოდებულ საქონლისათვის. (ა.)

სასამართლო

რამ ჩამოაგდო მტრობა

მელიტონ გობრონიძე ქვილ-სინდისიერ პიროვნებად იყო მიჩნეული ნატანების თემში (ოზურგეთის მაზრა). მისი ცუდი არავის გაუგონია. იყო აქტიური საზოგადოებრივ საქმეში, გულწრფელი და მუდამ პირში მთქმელი.

მელიტონის ყველაზე უფრო დადებითი თვისება ის იყო, რომ სოფლის მავნე ელემენტებს პირში წაუდგებოდა და საჯაროდ ამხილდა.

აი ამან, ამ მისმა გულახდილობამ და სოფლის საქმისათვის თავდადებამ შეიწირა მელიტონის სიცოცხლე.

1925 წელს მელიტონ გობრონიძემ გამოამჟღავნა სამღეროს თემის (ოზურ. მაზ.) აღმასკომის თავმჯდომარის ხურციძის ბნელი საქმეები და აღძრა საჩივარი მის წინააღმდეგ.

საქმე გამოიძიეს, თემაღმასკომის თავმჯდომარე დააპატიმრეს. დანაშაული დაუმტკიცდა ხურციძეს და 6 თვე დაჰყო ციხეში.

— მელიტონ გობრონიძეს ვანანებ მამაჩემის ასე გაწვალებას! თუ ბიჭი ვყოფილვარ, გადაუხდი სამაგიეროს,—იმუქრებოდა „იმკილებიდან დავარდნილ" აღმასკომის თავმჯდომარის შვილი მოსე ხურციძე.

— მე, ჩემის ხელით ჩავაძაღლებ მაგ არამზადას,—ბანს აძლევდა ხურციძეს იმავე სოფლის მცხოვრები გაბრიელ კვაჭანტირაძე.

კვაჭანტირაძეს რაღა უნდოდა?—იკითხავთ, ალბათ.

საქმე იმაშია, რომ გაბრიელ კვაჭანტირაძე ქურდობაზე დაიჭირა მელიტონ გობრონიძემ და ხალხში „თავი მოსჭრა".

ორი დაუძინებელი მტერი უკვე ჰყავს მელიტონს. მუქარა ყოველ დღე ესმის.

— მართლა, არ მოჰკლას მოსიამ ჩვენი მელიტონი! მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი. ვეცადოთ, შევარიგოთ,—იძახოდენ მეზობლები.

ჩამოდგენ შუა-კაცები და თითქოს კიდეც შეარიგეს.

— ხელი ჩამოვართვი, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გული მომიბრუნდა.

გობრონიძემ დაანგრია ჩემი ოჯახი! გობრონიძემ დალუპა მამაჩემი. მას რომ არ დაეწყო კინკლაობა, მამაჩემი ეხლა კიდევ აღმასკომის თავმჯდომარე იქნებოდა. გამიუბედურა ოჯახი. ასე ადვილად არ ჩაუვლის მელიტონს მატრაკვეცობა...

კვაჭანტირაძე თავს უქნევს ხურციძეს და ეთანხმება ყველაფერში.

— ჩავაძაღლოთ! ჩავაძაღლოთ! მე შენზე უარესი საქმე მიყო მელიტონმა,—აჩქარებს ქურდი კვაჭანტირაძე.

გაერთიანდენ მტრები და გადასწყვიტეს შეერთებულ ძალ-ღონით გობრონიძის თავიდან მოშორება.

შარშან, აგვისტოს ერთ-ერთ საღამოს მელიტონი სადგურ ნატანებიდან ბრუნდებოდა სახლში თავის მეზობელთან ერთად.

მეზობელი უკვე გამოემშვიდობა მელიტონს და თვითონ ნელის ნაბიჯით უახლოვდებოდა თავის სახლს.

ამ დროს მელიტონს თავს წაადგა ორი შეიარაღებული კაცი.

— ხელი არ გაანძრიო, შე მამაძაღლო,—დაიყვირა ერთმა. დაყვირება და გავარდნა ერთი იყო.

მელიტონ გობრონიძე დაეცა უსულოდ მიწაზე. თავდამსხმელები გაიქცენ. მოიყვანეს სისრულეში, რაც დიდი ხნის წინ გადაეწყვიტათ.

ხელისუფლებამ თავდამსხმელები აღმოაჩინა. მოსე ხურციძე და გაბრიელ კვაჭანტირაძე.

გაასამართლა ოზურგეთის სამაზრო სასამართლომ და მიუსაჯა თითოეულს ექვს-ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა.

გერ.

ქრონიკა

პურის მიწოდება ამიერ-კავკასიისათვის

„ცენტროსოიუზმა" წინადადება მისცა ზაკსოიუზს იკისროს პურის პროდუქტების მიწოდება ამიერ-კავკასიისათვის 1928—29 წელში.

ზაკსოიუზის გამგეობამ ეს წინადადება მიიღო, ზაკსოიუზი იმუშავებს პურის შეძენის ოპერაციების გეგმას 1928—29 წლისათვის.

შემოდგომის თესვის კამპანია 1928-29 წელში

ამიერ-კავკ. სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა საკითხი 1928—29 წლის შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების შესახებ და კამპანიის ძირითად ამოცანებად ამიერ-კავკასიაში: ხორბლეულის ბაზის განმტკიცება, საქონლის საკვების ბაზის გაფართოება და მიწის საკმაო სივრცის გამოყოფა ტექნიკურ კულტურების რაიონებში ამ კულტურების შემდგომ განვითარებისათვის.

რესპუბლიკანურ საგეგმო კომისიებს დაევალათ სასწრაფოდ დაამუშაონ ძირითადი ღონისძიებები, რომლებიც განხორციელებული უნდა იქნეს შემოდგომის კამპანიის დროს; ამასთანავე გამორკვეული უნდა იქნეს საჭირო კრედიტების რაოდენობა და მათი მიწოდების ვადები.

საწარმოო თათბირების მუშაობის შედეგების აღრიცხვა

ს.მ.უ. საბჭომ წინადადება მისცა ყველა ტრესტებს და წარმოებებს დაუყოვნებლივ შეუდგენ საწარმოო თათბირების და ეკონომიური კომისიების მუშაობის შედეგების აღრიცხვას. ამასთანავე აღრიცხული უნდა იქნას ყველა ის წინადადებები, რომლებიც შემოაქვთ მუშებს წარმოების გაუმჯობესების მიზნით.

ტრესტები და წარმოებები ეხლავე უნდა შეუდგენ იმ ეკონომიის გამოანგარიშებას, რომელიც მიიღო წარმოებამ საწარმოო თათბირის წინადადების განხორციელების შემდეგ.

ფსიქიატრიულ დაწესებულებების მუშაკთა მდგომარეობის გაუმჯობესება

საქართველოს სახკომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მომუშავე საექიმო პერსონალის მდგომარეობა. ამჟამად კვალიფიციური ფსიქიატრები მცირე რაოდენობით მოიპოვება და არსებული ფსიქიატრიული დაწესებულებები არ არიან უზრუნველყოფილი საექიმო პერსონალით. ამ დაწესებულებებში მედიკურ მომუშავეთა მეტი რაოდენობის მოზიდვის მიზნით, საქართველოს სახკომსაბჭომ დაადგინა:

ფსიქიატრიულ დაწესებულების მედიკური მუშაკები, რომლებიც უშუალოდ უვლიან სულიერად ავადმყოფებს, პროფესიონალური ავადმყოფობით დაავადების შემთხვევაში, უთანაბრდებიან იმ პირთ, რომლებმაც შრომის უნარი დაჰკარგეს დასახიჩრების გამო.

ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში მომუშავე ექიმები, ყოველი ხუთი წლის სამსახურის შემდეგ, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის და ჯანმრთელობის ორგანოების ხარჯზე ცოდნის გასაფართოებლად იგზავნებიან სამთვიან სამეცნიერო მივლინებაში.

იმ მედიკური მუშაკების შვილები, რომელნიც ფსიქიატრიულ დაწესებულებებში უმუშავნიათ არა ნაკლებ სამი წლისა, სასწავლებლების მიღების მხრივ უთანაბრდებიან ფიზიკურად მომუშავეთა შვილებს.

გლიცერინის წარმოება

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტი ახლო ხანში შეუდგება გლიცერინის დამზადებას ბამბის ზეთისაგან. გლიცერინი დამზადებული იქნება განჯის და ერევნის ქარხნებში. დამზადებული პროდუქციის ნაწილი გატანილი იქნება საზღვარგარეთ.

პირველ წელში განზრახულია დამზადებული იქნეს 10.000 ფუთი გლიცერინი 8 მანეთის ანგარიშით ფუთი. შემდეგში გლიცერინის დამზადება გაძლიერებული იქნება. სათანადო მოწყობილობა შეკვეთილი იქნება ადგილობრივ ლითონის ქარხნებს. მებამბეობის მთავარ კომიტეტის მიერ ამ საქმისათვის გადადებულია განსაზღვრული თანხა.

თბილისის აღმასკომში

◆ **ტრამვაის მუშათა კლუბის** დასამთავრებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 5.000 მ.

◆ **კომუნართა ბაღი.** თბ. აღმასკომის დადგენილებით ამიერიდან ღია იქნება ღამის 12 საათამდე.

◆ **მუშათა უნივერსიტეტის** საჭიროებისათვის თბ. აღმასკომმა გადასდო 3.000 მანეთი.

◆ **მაზრაში გაჩენილ კალიის** წინააღმდეგ ბრძოლის საწარმოებლად თბ. აღმასკომმა დანიშნა ცალკე კომისია ამხ. ვ. ბოლქვაძის თავმჯდომარეობით.

◆ **დარიბთა დამხმარე ფონდის** გასაძლიერებლად თბ. აღმასკომმა გადასდო 10.000 მანეთი.

◆ **ტრამვაის დირექცია** შეუდგა ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანას საბჭოთა ქუჩაზე.

საქ. პროფსაბჭოში

◆ **დაწინაურებულთა კონფერენცია.** პროფსაბჭოს კულტგანყოფილება 12 ივნისს იწვევს დაწინაურებულ მუშათა რესპუბლიკანურ კონფერენციას.

◆ **ექსკურსია.** კულტგანყოფილება 1 ივლისს მოსკოვსა და ლენინგრადში აწყობს ექსკურსიას 30 კაცის შემადგენლობით.

◆ **მუშათა სამკითხველო.** ჩაქვში მუშათა სამკითხველოს მოსაწყობად პროფ. საბჭომ გადასდო 1.500 მან.

სხვადასხვა

◆ **დოლი.** ქუთაისში ხანძრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ კვირას გაიმართება დიდი დოლი-ლატარია.

◆ **საჰაერო მიმოსვლა.** ახლო ხანში დაიწყება საჰაერო მიმოსვლა მოსკოვსა და თბილისს შორის.

—:—

ხელოვნების ქრონიკა

◆ **პიანისტ ობორინის კონცერტები.** ახლო ხანში მუშათა კლუბებში გაიმართება პიანისტ ობორინის კონცერტები.

◆ **საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში** დღეს გაიმართება ბაქოს მუშათა თეატრის წარმოდგენა.

◆ **ქუთაისის სატირის თეატრი.** ამ დღეებში მუშათა კლუბებში დაიწყება ქუთაისის სატირის თეატრის წარმოდგენები.

◆ **ხელოვანთა სასახლეში** დღეს, საღამოს, ამხ. სუტირინი წაიკითხავს მოხსენებას პროლეტმწერლების საკავშირო ყრილობის შედეგების შესახებ.

შემთხვევები

ქურდების ბანდის ლიკვიდაცია

ამ დღეებში თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ქურდების ორგანიზაცია.

როგორც გამოირკვა, ქურდების ორგანიზაციის წევრები დიდი ხანია, რაც სისტემატიურად ეწეოდენ სახელმწიფო, კოოპერატიულ და კერძო სავაჭროებისა და ბინების გაქურდვას.

თავიანთ სამოღვაწეო ასპარეზად ორგანიზაციის წევრებმა გაიხადეს თბილისი. თუმცა იყო შემთხვევები, როცა ზოგიერთი მათგანი „საგასტროლოდ" მიემგზავრებოდა სხვა ქალაქებში, უფრო ხშირად ნაქურდალ საქონლის გასასყიდათ.

გამორკვეულია, რომ უკანასკნელ ხანებში რეციდივისტებმა გაქურდეს ალექსანდრე გორგოლაძის და ალექსანდრე მამალაძის ბინა (ცხემის შესახ. № 10), ივანე აკოფოვის ბინა (კრილოვის ქუჩა № 12), გ. ჯავახიშვილის დუქანი (არაქელის ქ. № 11) და ამიერ-კავკ. საგზაო-სატრანსპორტო კოოპერატივის მაღაზია (მდებარე ლოტკინის ქ. № 37).

ამით დასრულდა რეციდივისტების „მოღვაწეობა". დაპატიმრებულია: გრიგოლ იაკობას ძე მინასიანცი; კარაპეტ მარქარის ძე აკოპიანცი და სოფიო ალაჯანის ასული ანანოვა.

გაჩხრეკისას ს. ს. მილიციის თანამშრომლებმა ანანოვის ქალის ბინაზე (9 ძმათა ქ. № 37) აღმოაჩინეს ნაქურდალი ნივთების ნაწილი.

ს. ს. მილიციის ცნობით, მინასიანცს აქვს ქურდობისა და ჯიბგირობის 14 რეგისტრაცია.

რეციდივისტები გამოტყდენ დანაშაულში.

ქურდების პასუხისგებაში მიცემა

სისხლის სამართლის მილიციამ ქურდობისათვის პასუხისგებაში მისცა: მეჰრამ ელაზოღლი, ანა დავითის ასული გაციშვილი და შაქრო არაზოვის ძე არაზოვი.

ჯიბგირობა

გუშინ, დილით, იოსებ ქუცურაშვილს მისმა ამხანაგმა—სერგო სტეფანიშვილმა ჯიბიდან ამოაცალა 90 მანეთი და განიზრახა მიმალვა, მაგრამ დააპატიმრეს;—გუშინ, ნიკოლოზ ბერიძეს ვიღაც ჯიბგირმა ტრამვაის ვაგონში ჯიბიდან ამოაცალა 129 მანეთი და მიიმალა.

ქურდობა

გუშინწინ, ღამით, გაქურდეს ალექსანდრე ტრუტნისკის ბინა (პეროვსკის ქ. № 33); წაიღეს ტანსაცმელი და „ნაგანის" რევოლვერი;—გაქურდეს მერი ნომიროვსკაიას ბინა (დ. ჰონქაძის ქ. № 13), წაიღეს სხვადასხვა ნივთები; ელ. ბოკუჩავას ქალს კომინტერნის ქ. № 3-ში მდებარე სავაჭროში ვიღაც უცნობმა პირმა მოჰპარა რედიკული და 125 მანეთი;—გაქურდეს არ. ჩილინგაროვის ბინა (კლარა ცეტკინის ქ. № 120), წაიღეს 150 მანეთად ღირებული ოქროს საათი;—გაქურდეს პოლოს ნაზარეტოვის სამჭედლო სახელოსნო (დავით კლდიაშვილის ქ. № 14), წაიღეს 200 მანეთის რკინეულობა.

გამფლანგველის დაპატიმრება

გუშინ, თბილისის სისხლის სამართლის მილიციამ დააპატიმრა სოფ. ლამისყანაში (გორის მაზრა) არსებულ ამხ. ფილიპე მახარაძის სახელობის კომუნის ყოფილი მოლარე ვიორგი სიმონის ძე ხაბუტაშვილი, რომელმაც მიითვისა და გაფლანგა 2.000 მანეთი.

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის მილიციამ აღმოაჩინა ნაქურდალი ხალიჩები, პალტოები და სხვა ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს ს. ს. მილიციაში, ოთახი № 6, გ. ნაჭყებიასთან.

ჭადრაკი

შეჯიბრი საქართველოს პირველობაზე

V ტური

ამ ტურის ყველაზე საინტერესო პარტიას წარმოადგენდა გოგლიძის და ტალვიკის შეხვედრა (ლაზიერის პაიკთა დებიუტი). ტალვიკმა თანასწორ მდგომარეობაში დაიწყო თამაში გართულებაზე. გოგლიძემ ფიგურის ლამაზი შეწირვით გაანადგურა მოწინააღმდეგეს მეფის ფრთა და რამოდენიმე მეტევითი სვლით ჩააყენა ტალვიკის მეფე შამათის მუქარის ქვეშ; შამათის თავიდან ასაცდენად ტალვიკი იძულებული იყო შეეწირა ლაზიერი და მხედარი ორ ეტლში და რამოდენიმე სვლის შემდეგ დანებდა.

ებრალიძე—კომაროვი (სიცილიური) ებრალიძემ დებიუტით მიიღო უკეთესი მდგომარეობა, შემდეგში მხედრის დროებით შეწირვით გაართულა მდგომარეობა, კომაროვი ვერ გაერკვია ამაში და დაკარგა ორი ფიგურა. საბოლოოდ ებრალიძემ შესწირა ლაზიერი და შამათის მუქარის ქვეშ აიძულა კომაროვი დანებებულიყო.

სოროკინი—ფეოდოროვი (ვენური). ფეოდოროვი არ იცავდა კარგად თავს, რის გამო ცუდი მდგომარეობა მიიღო. ჩაეკეტა ლაზიერი და რომ არ დაჰკარგოდა იგი, იძულებული იყო შეეწირა მხედარი ორ პაიკში, სოროკინმა თავისი უპირატესობით აიძულა ფეოდოროვი ჩქარა დანებებულიყო.

ოგანეზოვი—მედვედევი (რეტის დებიუტი). პარტია როგორც დებიუტში, ისე შემდეგში იყო თანასწორი და მოსალოდნელი იყო ყაიმი. მაგრამ ოგანეზოვმა გაარღვია მედვედევის პაიკები, შეიჭრა ეტლით მის ბანაკში და მოიგო ერთი პაიკი, შემდეგში გაიყვანა პაიკი ლაზიერათ და მედვედევს დანებების მეტი არაფერი დარჩა.

წინად გადადებული ებრალიძე—ოგანეზოვის პარტია (ესპანიური) დამთავრდა ებრალიძის მოგებით.

შეჯიბრის მდგომარეობა მეხუთე ტურის შემდეგ: გოგლიძე, სოროკინი+4 ნახ., ებრალიძე+3 ნახ., ტალვიკი+3. ფეოდოროვი+2, ოგანეზოვი+1 (1 დაუმთავრ.), მედვედევი+ ნახევ.; კომაროვი (1 დაუმთ.).

—:—

დღეს, 9 ივნისს, შესდგება შეჯიბრის უკანასკნელი ტური, ამ დღეს საბოლოოდ გამოირკვევა პირველობის საკითხი. თამაშობენ. სოროკინი—ებრალიძე, გოგლიძე—ოგანეზოვი, მედვედევი—ფეოდოროვი და ტალვიკი—კომაროვი.

თამაში იქნება ჩატარებული ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში საღამოს 6 საათიდან.

ვ. გოგლიძე.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 9 ივნისი

დღეს, 9 ივნისს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.
გლეხთა გაზეთი—ქართულ ენაზე.
პოლიტიკური მიმოხილვა—მოხსენება ქართულ ენაზე.
ტეხნიკურ მცენარეულობის კულტურა—ქართულ ენაზე.
წითელი არმიის ნაწილების საბანაკო მუშაობა—რუსულ ენაზე.
საუბარი მალარიაზე—რუსულ ენაზე.
ლენინი კოოპერაციის ამოცანების შესახებ—რუსულ ენაზე.
გაზეთი „ენი კენდ"—თურქულ ენაზე.
გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
კვირეული ცხრილის გადაცემა.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.

ავიაქიმში

ავიაქიმი ტრანსპორტზე

ამიერ-კავკ. თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებამ შეიმუშავა ტრანსპორტზე მუშაობის გეგმა.

ავიაქიმის მუშაობას ტრანსპორტზე ხელმძღვანელობას გაუწევს სატრანსპორტო სექცია. ტრანსპორტზე მოეწყობა ავიაქიმის და სამხედრო კუთხეები და სპეციალური ვაგონები, სადაც იქნება ავიაქიმის ლიტერატურა, თვალსაჩინო საგნები და ხელსაწყოები.

მთავარი ყურადღება მუშაობის დროს მიექცევა ტრანსპორტის მომზადებას თავდაცვისათვის, რისთვისაც კლუბებსა და კუთხეებში ჩატარებული იქნება მოხსენებები და საუბრები ტრანსპორტის მნიშვნელობაზე ომის დროს და თავდაცვის საშუალებებზე.

თათბირი გასამხედროების საკითხების შესახებ

თათბირზე გასამხედროების საკითხების შესახებ მოსმენილ იქნა სასროლო და მშრომელთა გასამხედროების სექციების თავმჯდომარეების მოხსენებები. მოხსენებების ირგვლივ გამართულ კამათში გამოირკვა, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში სასროლო საქმე და მშრომელთა გასამხედროება დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. კარგად არის დაყენებული განსაკუთრებით სასროლო საქმე, რასაც მოწმობს სასროლო წრეების და ტირების რიცხვი.

თათბირის მორიგ სხდომაზე მოსმენილ იქნება მოხსენება თავდაცვის კვირეულის ჩატარების შესახებ.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 9 ივნისს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოებზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევართ: **კვალიფიცირ. მუშაკთა პირველ სექციიდან:** მარიამ ტამარშუკი; ტიგრან დანდაშიანი; რუბენ ცატუროვი; მარტიროს ოსებაღიანი; ტატიანა პოზდეევა; ნინო მეპალოვა; იუზა ზანდერენი; მისაკ არაქელოვი; მ. საკოვი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** გრიგოლ კოტეტიშვილი; დიმიტრი ხიმშიაშვილი; ეკატერინე გაგუა; იოსებ მჭედლიშვილი; ანნა ბელაევსკაია; ანტონინა ზაბროცკაია; გრიგოლ ანანიანი; ელისაბედ ზაიცევა; ბარბალე ისაგულოვა; გიორგი ფალავანდიშვილი; ილია კიკალიშვილი; გიორგი შახბაგულოვი; პარასკევა კობახიძე; რიფსიმე გაბელაშვილი; არშალუის მაქსიმოვი; გიორგი ზარულოვი; კაზიმირ ისტრაჟევსკი; გარეგინ არკადუნცევი; მარიამ გორლაჩოვა; მარგარიტა სულავა; ტატიანა კორჩინსკაია; მარიამ რცხილაძე; მარიამ გეპნერი; მიკიჩ ოლაგოვი; ქაქი კობალაძე; ივანე დანდუროვი და არჩილ მხეიძე; **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** მარიამ ტესილოვა; ვასილ ასანიშვილი; მაგდუნ ტერისიანი; გუსეინ იულდაშევი; ხამი პასტერნაკი; იაკობ საკუბაშვილი; ალექსი სტეფანიანცი; ერვანდ მრავოთიანი; დავით დეჟანოვი; ნერსეს მოსიაშვილი; თამარ ლომიძე; დავით ჯაშიაშვილი; ამაიაკ იორხელიანი; მიხეილ სოხაძე; ვასილ ჯორჯაძე; ანდრონიკ დურბანიანი; ანდრონიკ მანუკიანი; ანდრონიკ ზახოლიანი; არტემ არაქელოვი; გარეგინ საკიანი; გრიგოლ ისიაროვი; აზოტ მირზოევი; პავლე ბაქრაძე; ბანიამინ პეტროსიანი; არტაშეს დავითიანი; ილია ყვათელაძე; კალენიკე ზეროძე; იოსებ პოჩნიკოვი; პეტრე კოკოსიანი; ივანე ახარაბაშვილი; გარეგინ არაქელოვი; გიორგი ჩივაძე; ი. იუზბაშევი და გაბრიელ გევორქოვი; **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** იაკობ ბუტ-აბრამოვი.

უმუშევარი **ალექსანდრე ბელოუსოვა** უნდა გამოცხადდეს 11 ივნისს, დილის 9 საათზე; შრომის ბირჟის კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. არუშიძესთან.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს პროფსაბჭოსთან არსებულ პროფესიონალურ ისტორიის შემსწავლელი კომისია სთხოვს იმ მოქალაქეს, რომელსაც აქვს პროფკავშირების მიერ 1906 წელში ქართულად გამოცემული მ. შიპელის ბროშურა: „მუშათა პროფესიონალური კავშირები", წარმოადგინოს პროფსაბჭოში (ოთახი № 12), რისთვისაც მიიღებს შესაფერ ჯილდოს.

—:—

სახელმწ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიურო აცხადებს, რომ დღეს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე (აუდიტორია 58) შესდგება ამავე უჯრედის კრება. დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

—:—

საქართველოს ა.ლ.კ.კ. თბილისის კომიტეტი იუწყება, რომ დღეს, 9 ივნისს, საღამოს 5 საათზე, თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილებაში (რუსთაველის პრ. № 20) შესდგება თბილისის კომიტეტის მიმღები კომისიის სხდომა. სავალდებულოა კომისიის წევრთა და აგრეთვე იმ პირთა დასწრება, რომელთა ანკეტები უნდა იქნას დამტკიცებული თბილისის კომიტეტის მიერ.

—:—

დღეს, 9 ივნისს, საღამოს 6 საათზე მოწვეულია თბილისის სახელმწ. უნივერსიტეტის სოციალ-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის მორიგი გაერთიანებული კრება კომკავშირელებთან ერთად. დღის წესრიგში სდგას მეტად სერიოზული საკითხები.

კომუჯრედის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტის პარტკოლექტივის უჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგებს 9 ივნისს, დღის 1 საათზე გამოცხადდენ კომკავშირის ბიუროს კოლექტივის ოთახში ამხ. სვანიძესთან: ალექსანდრე ნაკაიძე; ეკატერინე გოგუაძე; ნინო ძაგნიძე; ნინო ჯღარკავა; მიხეილ კახიძე; კორნელი ბახტაძე და ნიკო ჯალიაშვილი.

—:—

დღეს, 9 ივნისს, საღამოს 5 საათზე შესდგება სახ. უნივერსიტეტის პედაგოგიურ ფაკულტეტის ა.ლ.კ.კ. უჯრედის ბიუროს სხდომა. ბიუროს სხდომაზე უნდა გამოცხადდენ ამავე ფაკულტეტის მე-4 კურსელი კომკავშირელები და აგრეთვე ამხ. საუნიკ ბერუჩიანი.

საქ. კომპარტიის (ბ) ა.-კ. საოლქო კომიტეტი, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი და საქ. კომპ. (ბ) თბილისის კომიტეტი
ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს
ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცაკი და ამიერ-კავკასიის სახკომსაბჭო
ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს
ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ.

საქართველოს ცაკი, საქართველოს სახკომსაბჭო და თბილისის აღმასკომი
ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს
ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალების შესახებ.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება სახალხო კომისართა საბჭოსი და ეკონომიური საბჭოს წევრის, მიწადმოქმედების სახალხო კომისარის, ძველი რევოლიუციონერის ამხ.
ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას, რაც მოხდა ივნისის 7-ს საღამოს 10 ნახ. საათზე. დაკრძალვა მოხდება კვირას 10 ივნისს შუადღის 12 საათზე.

გულდათუთქული მეუღლე ვერა ეონესტის ასული გეგეჭკორისა, შვილი ლეონიდე, რძალი თინა, შვილისშვილი საშურკა და სიდედრი ფეოდოსია გლიოკე დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ამა წლის ივნისის 7-ს საღამოს 10 საათ. და 30 წუთზე ტრაგიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი
საშა (ალექსი) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი
დაკრძალვა კვირას, 10 ივნისს, შუადღის 12 საათზე 2—1

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი რევოლიუციონერ-მებრძოლის, საქართველოს სოფლის მეურნეობის მესაჭის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის
ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულ გარდაცვალებას.

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის კოლეგია ულრმესი მწუხარებით იუწყება ძველ პარტიულ მებრძოლის, კოლეგიის ხელმძღვანელის მიწათმოქმედების სახალხო კომისრის
ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას.

ს. კ. პ. (ბ) სენაკის ორგანიზაციის სამაზრო პარტიული კომიტეტი დიდი მწუხარებით აუწყებს სენაკის ორგანიზაციის დამაარსებელის და მისი ღირსეული ხელმძღვანელის
ამხ. საშა გეგეჭკორის
უდროოდ დაღუპვას. 2626 2—1

ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს მაზრის მშრომელებს ღირსეული რევოლიუციონერის
ამხ. საშა გეგეჭკორის
ტრაგიკულად დაღუპვას. ნ. 1217 2—1

ზუგდიდის ორგანიზაციის პარტიული კომიტეტი მწუხარებით აუწყებს ორგანიზაციას ძველი ბოლშევიკის
საშა გეგეჭკორის
ტრაგიკულად დაღუპვას. ნ. 1216 2—1

საქ. კომ. პარტიის (ბ) დუშეთის სამაზრო კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს საქ. კომ. პარტიის (ბ) ცეკას წევრის, 1818 წლის დუშეთის მაზრის ბოლშევიკური აჯანყების მონაწილის და ერთ-ერთი ხელმძღვანელის
ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას ღამით 7 ივნისს, 11 ნახევარზე. 2630 1—1

საქ. ძველ ბოლშევიკთა საზოგადოების ბიურო ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს, რომ ივნისის 7-ს, საღამოს 10 ნახ. საათზე ტრაგიკულად გარდაიცვალა თბილისში ძველი ბოლშევიკი
ამხ. საშა გეგეჭკორი
ნ. 2—1

ს.კ.პ. (ბ) ლეჩხუმის სამაზრო პარტიული ორგანიზაცია ულრმეს მწუხარებას გამოსთქვამს თავიდან მის რიგებში მებრძოლი ძველი რევოლიუციონერის
ამხ. საშა გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. (გ)

დუშეთის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს დუშეთის მაზრის მშრომელთ, ძველ-ბოლშევიკ-რევოლიუციონერის დუშეთის მაზრის 1918 წლის ბოლშევიკური აჯანყების აქტიურ მონაწილის და ერთ-ერთ ხელმძღვანელის საქ. მიწსახკომისარის
ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. ღამით 7 ივნისს 11 ნახევარზე. 2631 1—1

ს.ს.ს.რ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მოწვეულ თათბირზე მყოფნი აჭარისტანისა და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკების სახკომსაბჭოების, სამხრეთ-ოსეთის ცაკისა და სამაზრო აღმასკომების თავმჯდომარეები: ლაკობა, გამყრელიძე, ჯატიევი, გურგენაძე, გაბუნია, ქუჩულორია, ლეამიჩავა, წულუკიძე, ტალახაძე, ქურდაძე, გულბანი, ნავერიანი, ნაზაროვი, შაბანოვი, სუჯიაშვილი, ლომთათიძე, ბაბალაშვილი და მაისურაძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ძველი რევოლიუციონერის და დაუღალავი მებრძოლის ამხანაგ
ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულ გარდაცვალების გამო. ნ. 1226 1—1

მ. ძმანაშვილი, ა. ბერია, ა. კობახიძე, ვ. სიხარულიძე, ა. საჯაია, ლ. ჯანჯღავა, ვ. ფსიტიძე, თ. ლუკავა, მ. ფირცხალავა, კ. ბარბაქაძე, ქ. როჯავა, კ. ხამაშურიძე, გრ. შელია, ი. ხუნწარია და ი. ნიკოლაიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან ძველი ბოლშევიკის, ამხანაგის და ხელმძღვანელის, სამოქალაქო ომის ვეტერანის
საშა გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომელმაც მთელი თავისი ძალღონე შეალია რევოლიუციის საქმეს.

სენაკის მუშათა-გლეხთა და წით. არმ. საბჭოების დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი ღრმა მწუხარებით აუწყებს სამეგრელოს მშრომელებს, რომ ტრაგიკულად და უდროოდ დაიღუპა მათი საამაყო ხელმძღვანელი და დიდი რევოლიუციონერი
ამხ. საშა გეგეჭკორი
2626 2—1

სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ამავე საზოგადოების ერთ-ერთ დამაარსებელის, ს.ს.ს.რ. მიწათ-მოქმედების სახკომისარის
ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. 2627 1—1

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის სავეტერინარო ბაქტერიოლოგიური ლაბორატორიის მუშა-მოსამსახურეები ღრმა მწუხარებით აცხადებენ ძვირფასი და დაუვიწყარის, რევოლიუციის ერთგულ მებრძოლის და ძველ ბოლშევიკის, საყვარელი ხელმძღვანელის
ამხ. საშა გეგეჭკორის
მოულოდნელ ტრაგიკულად გარდაცვალებას. 2922 1—1

სახალხო სარდაფის მუშა-მოსამსახურეები უსაზღვრო მწუხარებით გლოვობენ საუკეთესო ხელმძღვანელის, უსაყვარლესი ამხანაგისა და გმირი რევოლიუციონერი მებრძოლის სახალხო კომისარის
საშა გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალების გამო. 2626 2—1

საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სააქციო ამხანაგობის საბჭო, სარევიზიო კომისია, გამგეობა და თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან საბჭოს თავმჯდომარის
ალექსი (საშა) ალექსანდრეს-ძე გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. ნ. 1218 1—1

მიწსახკომის ტექნო-დახმარება და ცენტრო საწყობის მუშა-მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგ მეგობრებს, ძვირფასი ამხანაგის
ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას. 2635 1—1

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში მომუშავე აგრონომები ულრმეს მწუხარებით იუწყებიან კომისარიატის ხელმძღვანელის, საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენა-განვითარების საქმის გულწრფელ მოამაგის, საპატიო სოფლის მეურნის
ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას.

მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის საქ. კ.პ. (ბ) უჯრედი ღრმა მწუხარებით იუწყება ძველი ბოლშევიკის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის უდრეკ მებრძოლს, ძვირფას ამხანაგის
ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას.

საქ. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის და მის ორგანოთა მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით იუწყებიან კომისარიატის ხელმძღვანელის, მიწათმოქმედების სახალხო კომისრის
ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას.

საქართველოს კომუნალური ბანკის გამგეობა ღრმა მწუხარებით იუწყება ბანკის პირველი ყოფილ თავმჯდომარის
ამხ. ალექსანდრე (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულათ გარდაცვალებას. ნ. 1223 1—1

მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის სახალხო მამულთა ტრესტის მმართველობა ღრმა მწუხარებით იუწყება სახალხო მამულთა ტრესტის დამაარსებლის და ხელმძღვანელის, მიწადმოქმედების კომისარის
ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის
ტრაგიკულად გარდაცვალებას.

სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის სრულიად საქართველოს ცენტრალური გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს სასოფლო სამეურნეო და ტყის მუშა-მოსამსახურეებს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის, ძველი ბოლშევიკის და დაუღალავი მებრძოლის

ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის

ტრაღიკულ გარდაცვალებას. ნ. 1225 2—1

მიწსახკომის სახალხო მამულთა ტრესტის მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ მიწადმოქმედების სახალხო კომისარის

ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის

ტრაღიკულად გარდაცვალების გამო.

საქართველოს მიწსახკომის ადგილკომი ულრმესი მწუხარებას გამოსთქვამს მიწადმოქმედების სახალხო კომისარის

ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის

ტრაღიკულად გარდაცვალების გამო.

გრიშა და ივანე ალექსანდრეს ძენი გეგეჭკორები, და არჩილ, ლავრენტი და ნიკო ხაინდრავები შვილებით, რძლები ოლღა და ნინო გეგეჭკორები, ჩატუ და ჩონთო ხაინდრავები დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა | წ. ივნისის 7 საღამოს 10 საათ და 30 წუთზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

საშა (ალექსი) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი

დაკრძალვა კვირას 10 ივნისს შუადღის 12 საათზე. 2—1

ნადია ალექსანდრეს ასული ქმრით ვასილ სიმონისძე გეგეჭკორები შვილებით დიდისმწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ა | წ. ივნისის 7 საღამოს 10 საათ. 30 წუთზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

საშა (ალექსი) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი

დაკრძალვა კვირას 10 ივნისს შუადღის 12 საათ. 2—1

პელო სილოვანის ასული, ვლადიმერ ბესარიონის ძე ხაინდრავები შვილი შოთათი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა | წ. ივნისის 7 საღამოს 10 საათ. და 30 წუთზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

საშა (ალექსი) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი

დაკრძალვა კვირას 10 ივნისს შუადღის 12 საათზე. 2—1

თბილისის ალმასკომის საადგილ-მამულო განყოფილება მთელი თანამშრომლებით ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს იშვიათ ადამიანის და საუკეთესო ხელმძღვანელის მიწ. მოქ. სახალხო კომისარის

ამხ. საშა გეგეჭკორის

ტრაღიკულად დაღუპვის გამო. 2636 1—1

სასოფლო მეურნეობის და ტყის მუშათა კავშირის მიწისმომწყობთა, მეტყევეთა, აგრონომთა და მელიორატორთა სექციები ღრმა მწუხარებით აცნობებენ სასოფლო და ტყის მეურნეობის სპეციალისტებს მიწათმოქმედების სახალხო კომისრის, ძველი ბოლშევიკის და დაუღალავი მებრძოლის

ამხ. ალექსი (საშა) გეგეჭკორის

ტრაღიკულად გარდაცვალებას. ნ. 1224 1—1

თელავის მაზრის სასოფლო სამეურნეო და ტყის დარგის მუშაკთა კავშირის გამგეობის სარევიზიო კომისია და სპეციალისტთა ბიუროს წევრები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს

ამხ. საშა გეგეჭკორის

ტრაღიკულად გარდაცვალებას დ.

ნინო თეიმურაზის ასული და ლავრენტი პავლეს ძე ბერია დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა | წ. ივნისის 7 საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და ძვირფასი

საშა (ალექსი) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი

დაკრძალვა კვირას, 10 ივნისს, შუადღის 12 საათზე. 2—1

ედუარდი ისიდორეს ძე გეგეჭკორი, ქალიშვილი ლიზა, ტონია და ანიკოთი, ნიკოლოზ ლუარსაბის ძე გეგეჭკორი მეუღლე ნინოთი და შვილი ოთარით დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ა | წ. ივნისის 7 საღამოს 10 საათსა და 30 წუთზე ტრაღიკულად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

საშა (ალექსი) ალექსანდრეს ძე გეგეჭკორი

დაკრძალვა კვირას, 10 ივნისს შუადღის 12 საათზე 2—1

კომპარტიის წევრები: ანდრო დოლიძე, მამია დოლიძე, თედორე დოლიძე მოსე კვარაცხელია, ვალერიან გოგიბერიძე, სერგო მეგრელიშვილი, ნოე ზამბახიძე ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლის ძველი ბოლშევიკის

ამხ. ალექსი გეგეჭკორის

ტრაღიკულად გარდაცვალების გამო

დამწუხრებულნი ოლღა ზაქარიას ასული, გენო ლევანის-ძე დიდებულიძეები პატარა შვილებით დოდოთი და ვახტანგით მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობმეგობრებს, რომ 8 ივნისს უდროოდ გარდაიცვალა მათი საყვარელი

ლევან (ლე[illegible]) ევგენის-ძე დიდებულიძე

გამოსვენება მოხდება კვირას, 10 ივნისს, შუადღის 4 საათზე ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს (ყოფ. არამიანცის) პროზექტურიდან, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე დასაკრძალავად. (ე)

დამწუხრებულნი მშობლები: მელანო, ბიქტორ, დები: ოლღა, ფელიციტატა, ეკატერინე, ძმა ანდრო, ბიძები; დიმიტრი, ვლადიმერ შოთაძეები, სიძე გრიგოლ ჟღენტი, დეიდები: ანა, ნიტრო აუწყებენ საზოგადოებას, რომ შაბათს, 9 ივნისს, საღამოს 5 საათზე, ფოთის დიდი კუნძულის სასაფლაოზე გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის, დაუვიწყარ

ალექსანდრა (საშა) ბიქტორისძე შოთაძის

ხსოვნის აღსანიშნავად. 2628

ღრმად დამწუხრებულნი დედა მარგალიტა მეუღლე ხიხუცა, შვილები: გივი და გელა, დები: ლოლა ჯოჯუასი, ძაბუ დოლბაიასი, სიძე ეწუქი ჯოჯუა, ბიძა პამენ თოფურია მეუღლით და ქვისლი კოსტა გოგინავა მეუღლით აუწყებენ ამხანაგებს, ნათესავთ და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ 7 ივნისს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი-დაუვიწყარი

გრიგოლ (გრიშა) სპირიდონის ძე მატახერია

რომლის დაკრძალვის დღეთ დანიშნულია კვირა, 10 ივნისს, დღით 4 საათზე ქალ. ახალ-სენაკში 2627

ღრმად დამწუხრებულნი მამა იაგორ, დედა კესარია მეუღლე მარო შვილებით, ძმა შალიკო და დები ნინა და თამარა ბუხროშვილები, სიძე მალაქია გოშაძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ რომ გარდაცვალებული

ვასილ იაგორის ძე ბუხროშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქ. პანაშვიდი კვირას, 10 ივნისს, 12 საათზე, კუკიის სასაფლაოზე. 2604

მედსანშრომის საზაფხულო კლუბი (ყ. სტელა)

ნ. 1221

დღეს, შაბათს, გაიმართება

დიდი კონცერტი--ბალეტი

მონაწილეობენ: ვ. ძაძაკაშვილი, ლ. კავსაძე, ბაღრიძე, ოქროპირიძე, ვაშჩენკო, დიმიტრიევი, ბაუერი, ჭყონია, დავიდოვი, სუხიშვილი, გვარამაძე და სხვა

როიალთან სახ. ოპერის დირიჟ. მელიქ-ფაშაევი

საღამოს ხელმძღვან. ესკინი

ბალში დაუკრავს ქართ. ცხენ. ლეგიონის სამხედრო ორკესტრი.

ფასები ჩვეულებრივია

სახქინმრეწვის კინოთეატრები

საზაფხულო ეთერი	დუგლას ფერბენქსი, ადოლფ მენჟუ და ბარბარა ლა-მარ საუკეთესო სურათში „სამი მუშკეტერი“
მინიონი	
საზაფხულო დარბაზი	მეორე კვირა „კენიგსმარკ“ პროგრამის გარდა ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა ხანის ჩამოსვლა პიერ ბენუას რომანის მიხედვით
საზაფხულო პალასი	უკანასკნელ 3 და 4 სერია ერთად „ზღვის გმირი“ პროგრამის გარდა: ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა ხანის ჩამოსვლა
აპოლო	კუინჯი და კუტუზოვი მხატვრულ სურათში „კვანძი“ პროგრამის გარდა: ავღანისტანის ფადიშაჰის ამანულა ხანის ჩამოსვლა
სოლეი	ამერიკის საუკეთესო ტრიუკისტი ვილიამ დესმონდი საინტერესო კინო-რომანში „საიდუმლოებათა კუნძული“ 1 და 2 სერია ერთად
ოდეონი	მხატვრული ფილმი უცხოეთის ნაწარმ. დედის გული
პროლეტარი ავლაბარი	თავის დადგმით გრანდიოზული ფილმი ორი მსოფლიო 2 სერიათ ორივე სერია ერთად

ანონსი: —ამ დღეებში კინო „ბანთიადის“ გახსნა ნაძალადევში. 0—8

მუშათა ცენტრალური კლუბი (პლეხანოვის პროსპ. 123)

დღეს, 9 ივნისს,

სახელმწიფო ოპერის აკადემიური ორკესტრის (55 მსახ.

პირველი სიმფონიური კონცერტი

სახ. მსახ. მ. ი. ჩერნიახოვსკის ხელმძღვანელობით

დასაწყისი საღამოს 9 ს.

ხვალ, 10 ივნისს კონცერტი მედსანშრომის კლუბში ნ. 1222

იყიდება

გიორგი გოგელიასეული სახლი

ქალ. ოზურგეთში, ალმასკომის ქუჩაზე, სადგურის ახლოს, ხუთი თვალი წაბლის, დადგმული მაღალ ცემენტის სვეტებზე, კრამიტით დახურული, პირობების გაგება შეიძლება გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარ კანტორაში, თბილისი, რუსთაველის პრ. № 34. და სამტრედიაში ლასა გოგელიასთან.

0—10 „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.

ქალ. ლომბარდის სააუქციონო კამერა

აცხადებს, რომ კვირას, 10 ივნისს, დილის 10 საათზე, კომინტერნის ქ. № 3, საქფინკომის და დამზღვევი კომიტეტის დავალიანებათა ასანაზღაურებლად დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება: ბუფეტები, შკაფები, კამოდები; საგალანტერეიო საქონელი, საღებავი და სხვა მრავალი საოჯახო ნივთები. ნ. 1215

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი ზ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს რომ, ის ა/წ 11 ივნისს, დღის სრულ 12 საათზე, გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** სოფ. პერევისში (იგივე ბარბარეწმინდაში) გალაქტიონ ამირანის ძე დევიძის ერთი ბეღელს, ერთ სასიმინდეს და ერთ საბძელს დაფასებულს ყველა 400 მანეთად. დასაკმაყოფილებლად არტემ ალექსის ძე იაკობიძის 445 მან. თანახმად ჭიათურის სინოტარო კანტორის პროტესტქმნილ თამასუქზე წარდგენისა 27 მარტს, 1928 წლ. № 33 თუ ამ ღღეს საჯარო ვაჭრობა არ შედგა მეორე დანიშნული იქნება ა/წ. 18 ივნისს, დღის 12 საათზე. ნ. 1227

გაზ. „კომუნისტი“-ს

ხელისმომწერთა საყურადღებოთ

გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა **დაბეჯითებით სთხოვს** ხელისმომწერლებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საჭიროა მისამართებში ცვლილებების შეტანა ან სრულიად გამოცვლა, პროვინციის ხელისმომწერლებმა გამოგზავნონ ის მისამართი, რომლითაც გაზეთს იღებენ, ხოლო თბილისელებმა აუცილებლად წარმოადგინონ ის **ქვითარი (ან ქვითარის №-რი)**, რომელიც მიღებული აქვთ „კომუნისტი“-ს კანტორიდან ხელის მოწერის დროს.

წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველგვარი კორესპონდენცია, მისამართებთან დაკავშირებული, უყურადღებოთ იქნება დატოვებული.

ხარჯების დასაფარავად, მისამართების შეცვლის მსურველები მოვალენი არიან წარმოადგინონ კანტორაში 25 კაპ.

0—1 მთავარი კანტორა.

მიხეილ გედევანიშვილის

სახელობის

სამკურნალო

საწოლებით

ელექტრონით და სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—4

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

ავადმყოფების მიღება **ფსიქოტერაპიის** დარგში; სქესობრივი აშლილობა, მავნებელი ჩვეულებანი, უძილობის ყველა სახეები. 5—8 საათამდე. სიფილისით დაავადებულთა მიღება დღის 11—1 საათამდე და საღამოთი დანიშვნით. საბჭოთა №48 (ყოფ. ჩერქეზიშვილის)ყორესის ქ. კუთხე.

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ. 25—1

ექიმი

ი. ი. ჭერიშვილი

ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა

დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის შესახვევი პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

თმის მკურნალობა

საექიმო კოსმეტიკა, ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი

ნ. ბ. კონტოროვიჩ სა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მჭამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

დავკარგე: კავშირის საწევრო წიგნაკი № 5256 ივანე ოსეკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2624

დავკარგე: ს. ა. ლ. კ. კ. ერთიანი საკავშირო ბილეთი № 51.419 დათიკო პეტრესძე ვაშაყმაძეს სახელზე, ჩ. გ. 2625

თვალის საავადმყოფო

მუდმივ საწოლებით და ამბულატორით. ღებულობენ ექიმები:

ა. ნ. შატილოვი

საოპერაციო დღეებში

ა. გ. მალაევი

დილით 8—9 საათ. საღამოთი 6—7 ს. სტაციონალური ავადმყოფობის მიღება ყოველ დროზე. კლარა ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) № 47 ტელეფონი № 5—90. 25—1

ექიმი **ჯალალოვი**

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა

ავადმყოფ. მიღება: მამაკაცების დილით—7—8. საღამოთი—5—8 ქალების: დილით—8—9 საღ.—4—5 მისამართი. კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ტელეფ. № 1—90 25—1

ა. ვ. მიქ ბერიძე

პარიზში 1923 წელს დაამთავრა

„სილამაზის ინსტიტუტი“

მასაჟი სახის, კისრის, ხელების და სხვ. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 2-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 25—1

ექიმი

გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) ჩასახვევი ოლღის ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.

იღებს: დილის 7—9 საათამდე

საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.

კბილის ექიმი

დ. ს. რიჟინაშვილი

კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა. პლომბები, კბილების **უტკივნელოდ** ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა. ავადმყოფთა მიღება: 10—3 საათ. და 5—7 საათ. საღ.—მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის გამზირის კუთხე. 25—2

ექიმი

დარეჯან ე. თაყაიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება საღამოს 6—8 საათამდე. მისამართი: ვარციხის ქ. (ყოფ. სემიონოვის) № 16. 21—1



სათვალეების შერჩევა

— და —

მათი სწორად მორგება

უფასოდ სპეციალისტ ექიმის მიერ

„სახმედვაჭრობა“

პლეხანოვის პროსპ. № 106

აქვე **ხელოვნურ თვალების** არჩევა. 25—1

დავკარგე: დაზღვევის წიგნაკი № 61 სოლომონ ბუაძის სახელზე, ჩ. გ. 2637

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი გოგი იასონისძე პატარიძეს სახელზე, ჩ. გ. 2634

დავკარგე: საბინაო დავთარი № 13832 ვერა ტარუაშვილის სახელზე, ჩ. გ. 2629

დავკარგე: პროფ-კავშირის წიგნაკი № 14/20,577 ანდრო სიმონიძეს სახელზე, ჩ. გ. 2632

დავკარგე: მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 19442 შალვა გრამიტონისძე გამყრელიძის სახელზე, ჩ. გ. 2622

დავკარგე: კომპარტიის საწევრო წიგნაკი № 0857674 ივანე მურუსიძეს სახელზე, ჩ. გ. 2622

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 1929 პელაგია გასიშვილის სახელზე, ჩ. გ. 2621

საქ. სმუს სამთო მრეწველობის სახელმწიფო ტრესტის „სამთო ტრესტი“-ს

დასკვნითი ბალანსი

1927 წლის I-ლ ოქტომბრისათვის

აქტივი

მუხლების დასახელება	თანხა			
	კერძო		საერთო	
I. ქონება.				
1. შენობები საწარმოო, დამხმ. და სავაჭრო მნიშვნ.	307.473	76	—	—
2. საცხოვრებელი ბინები	385.309	07	—	—
3. ნაგებობანი	372.285	72	—	—
4. ძალური დადგმულება	76.244	58	—	—
5. ტეხნიკური გაწყობილება და მანქანები	50.546	65	—	—
6. იარაღი	37.767	48	—	—
7. სამნეო ინვენტარი	96.893	36	—	—
8. ტრანსპორტი	93.849	97	—	—
9. მ/მოსამს. ყოფა-ცხოვრ. გაუმჯობეს. ფონდის ქონება	13 015	88	1.433.386	47
II. სათადარიგო გაწყობილება	—	—	84.533	58
III. დაუმთავრებელი ნაშენი	—	—	618.073	36
IV. დაუმთავრებელი კაპიტალური რემონტი	—	—	47.443	71
V. მასალა.				
1. ნედლეული და ძირითადი მასალა	115.761	20	—	—
2. დამხმარე მასალა	81.98[illegible]	32	—	—
3. სათბობი მასალა	5.710	12	—	—
4. სარემონტო-საამშენებლო მასალა	157.661	60	—	—
5. მასალა გზაში	12.741	94	373.860	18
VI. დაუმთავრებელი დამზადება	—	—	5.571	50
VII. დაუმთავრებელი წარმოება	—	—	588	07
VIII. ნახევარ-ფაბრიკატები (საწყობებში)	—	—	41.244	04
IX. საქონელი და მზა-ნაწარმი.				
1. ქარხნების საწყობებში	87.698	88	—	—
2. სამმართველოს საწყობებში და განყოფილებებში	79.224	18	—	—
3. საკომისიოთ გადაცემული საქონელი	38.368	18	—	—
4. საქონელი გზაში	7.567	91	212.859	15
X. ფულადი სახსარი.				
1. კასა (ნაღდი ფული, ჩეკები, მარკები, და სხვ.).	2.280	14	—	—
2. მიმდინარე ანგარიშები	332.497	98	334.778	12
XI. ფასიანი და % % ქაღალდები	—	—	7.473	44
XII. პაიები და აქციები სხვა საწარმოთა	—	—	3.000	—
XIII. სამისაღებო თამასუქები და დოკუმენტები.				
1. თამასუქები პორთფელში	66.299	20	—	—
2. პროტესტქმნილი თამასუქები	4.679	84	—	—
3. ბანკებში განაღდებული თამასუქები	309.318	29	—	—
4. ფასდადების და სხვა სამისაღებო დოკუმენტები	14.740	07	395.037	40
XIV. ანგარიშ-სავალდებულო თანხები	—	—	8.579	01
XV. დებიტორები.				
1. მუშა-მოსამსახურენი	4.756	39	—	—
2. მომწოდებლები და მონარდენი	92.177	08	—	—
3. მყიდველები და დამკვეთელები	243.131	29	—	—
4. სხვადასხვა დებიტორები	120.376	02	—	—
5. საეჭვო დებიტორები	363	14	—	—
6. უიმედო დებიტორები	6	—	460.809	92
XVI. მომავალ წლების ხარჯები	—	—	107.467	53
ბალანსი	—	—	4.134.705	48

პასივი

მუხლების დასახელება	თანხა			
	კერძო		საერთო	
I. კაპიტალები				
1. საწესდებო კაპიტალი	—	—	1.847.656	1
2. საამორტიზაციო კაპიტალი	—	—	96.344	45
3. სარეზერვო კაპიტალი	—	—	95.298	41
II. ფონდები.				
1. მუშა-მოსამსახ. ყოფა-ცხოვრ. გაუმჯობეს. ფონდი:				
ა. ქონებაში	13.015	88	—	—
ბ. თავისუფალი ნაშთი	38.706	65	51.722	53
2. საწ. ხელმძღვ. პერსონ. წამახალ. ჯილდოს ფონდში	—	—	618	33
3. მუშების გამოგონებათა წამახალისებელი ფონდი	—	—	539	45
III. რეზერვები:				
1. საეჭვო ვალების რეზერვი	—	—	181	57
2. ფასების დაკლების რეზერვი	—	—	53	28
IV. სესხები და კრედიტები.				
1. ცენტრალ. კომუნალურ ბანკის სესხი (საბინ. მშენ.)	193.000	—	—	—
2. ფინსახკომის სესხები.	340.000	—	533.000	—
V. გაცემული თამასუქები.	—	—	212.556	40
VI. ბანკები განაღდებული თამასუქებით.	—	—	309.318	29
VII კრედიტორები				
1. მუშა-მოსამსახურენი.	76.149	73	—	—
2. მომწოდებლები და მონარდენი	189.610	31	—	—
3. მყიდველები და დამკვეთლები.	42.861	99	—	—
4. გადაუხდელი გადასახადები და ვალდებულებანი:				
ა. სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადი	16.445	36	—	—
ბ. სოცდაზღვევის.	2.095	45	—	—
გ. წიაღის გადასახადი	2.994	60	—	—
დ. ანარიცხი გრძელვადიან კრედიტის ფონდში	36	—	—	—
ე. სხვადასხვა გადასახადები და ანარიცხები	337	52	—	—
5. სხვადასხვა კრედიტორები.	514.669	80	845.200	76
VIII. მოგება საანგარიშო წლისა.	—	—	142.215	50
ბალანსი	—	—	4.134.705	48

ბალანსის იქითა მუხლები

1. იჯარით აღებული ქონება	—	—	10.681	90
2. უზრუნველსაყ. გაცემული თამასუქების პატრონნი	—	—	472.467	50
ბალანსის იქითა ჯამი	—	—	483.149	40
სულ . .	—	—	4.617.854	88

1. იჯარით აღებულ ქონების პატრონნი	—	—	10.681	90
2. გაცემული საგარანტიო თამასუქები	—	—	472.467	50
ბალანსის იქითა ჯამი	—	—	483.149	40
სულ . .	—	—	4.617.854	88

ბალანსის გარეშე:

1. მიწა	—	—	88.440	00
2. წიაღი	—	—	34.336	02
3. საწესდებო კაპიტალზე დარიცხ. I—X—26 წ. საამორტ. ანარ. ნაშთი	—	—	141.257	20

მოგების განაწილება

მოგება—142.215—50, საშემოსავლო გადასახადის 10 პროც. 14.221—55 გამოკლებით—127.993—95 განაწილებულია შემდეგნაირად:

1. მუშა-მოსამსახურ. ყოფა-ცხოვრ. გაუმჯობეს. ფონდში	10%	12.799—39
2. სარეზერვო კაპიტალში	10 „	12.799—39
3. გრძელვადიან კრედიტის ფონდში	10 „	12.799—39
4. საწარმოს გაფართოებ. კაპიტალში	25 „	31.998—50
5. საწარმოთა ხელმძღვ. პერსონალის წამახალისებელ ჯილდოს ფონდში	0,25 %	319—98
6. ხაზინის სასარგებლოდ	44,75 %	57.277—30
ჯამი.	100 %	127.993—95

ეს ბალანსი დამტკიცებულია ბალანსების განმხილველ საუწყებათაშორისო კომისიის მიერ და ხებადართულია გამოსაქვეყნებლად (ოქმი № 1 17 აპრილის—1928 წ. მუხ.—7).

საქ. სმუს მთავარი ბუხჰალტერი **ჯანელიძე.**

მოგება-ზარალის ანგარიში

დებეტი

მუხლების დასახელება	თანხა			
	კერძო		საერთო	
1. სავაჭრო ხარჯები	—	—	240.117	59
2. საერთო-საადმინისტრაც. ხარჯი	—	—	279.311	16
3. გადახდილი პროცენტები	—	—	37.440	13
4. მასალის, ნახევარ-ფაბრიკ. და საქონლის დანაკლისი.	—	—	1.688	39
5. უიმედო ვალების ჩამოწერა.	—	—	14.469	92
6. ანარიცხი საეჭვო ვალების რეზერვში	—	—	181	57
7. გადახდილი ჯარიმა და საურავი	—	—	100	—
8. ფასების დაკლების რეზერვი (ფასიანი ქაღალდებზე)	—	—	53	28
9. ზარალი საწარმოთა შეჩერების გამო	—	—	13.279	04
10. ზარალი სტიქიურ უბედურობათაგან	—	—	37.584	68
11. ზარალი გასულ ქონებიდან	—	—	3.130	40
12. სხვადასხვა ხარჯი და ზარალი	—	—	40.738	56
ჯამი	—	—	668.094	72
სალდო: წმინდა მოგება	—	—	142.215	50
ბალანსი	—	—	810.310	22

კრედიტი

მუხლების დასახელება	თანხა			
	კერძო		საერთო	
1. მოგება საქონლის რეალიზაციიდან (შინაგ. ბაზ.)	—	—	630.282	74
2. მოგება მასალის რეალიზაციიდან	—	—	1.972	96
3. მიღებული პროცენტები				
ა. % %-იან ქაღალდებიდან	148	99	—	—
ბ. მიმდინარე ანგარიშებიდან	2.096	73	—	—
გ. ანგარიშიდან და თამასუქებიდან	28.415	36	30.661	08
4. მასალის, ნახევ.-ფაბრიკატ. და საქონლის მეტობა.	—	—	16.441	0
5. მიღებული ჯარიმა და საურავი	—	—	6.800	—
6. შემოსავალი საიჯარო მუხლებიდან.	—	—	626	53
7. სხვადასხვა შემოსავალი და მოგება	—	—	123.525	81
ჯამი	—	—	810.310	22
სალდო: წმინდა ზარალი	—	—	—	—
ბალანსი	—	—	810.310	22

სმუს სამთო-ტრესტის მმართველი **ბორქენი**

სმუს მთ. ბუხჰალტერი **ზაიცი**

მთავლიტი № 904.

პოლიგრაფტრესტის [illegible] სტამბა, კამოს ქ. № 68